



ხელოვნების მკვლევართა XV
საერთაშორისო კონფერენცია

15th International Conference
of Arts Researchers

კულტურა და გლობალური გამოწვევები

Culture and Global Challenges



29-30

ივნისი June

ანოტიაციები

Abstracts

თბილისი 2022 TBILISI





ხელოვნებს მკვლევართა XV საერთაშორისო კონფერენცია
15th International Conference of Arts Researchers

კულტურა და გლობალური გამოწვევები

Culture and Global Challenges

29-30 ივნისი 2022
June

ანოტაციები
Abstracts



საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

SHOTA RUSTAVELI THEATRE AND FILM
GEORGIAN STATE UNIVERSITY

თბილისი • Tbilisi

კრებული წარმოადგენს ხელოვნების მკვლევართა მე-15 საერთაშორისო კონფერენციის თეზისებს. კონფერენცია დაფუძნებულია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე. 2022 წლის კონფერენციის პრიორიტეტული თემაა „კუტურა და გლობალური გამოწვევები“. კონფერენცია მოიცავს თავისუფალი თემატიკის სექციებსაც.

The collection consists of the theses of the 15th International Conference of arts researchers. The conference was founded at the Faculty of Art Sciences, Media and Management of Shota Rustaveli Theater and Film Georgia State University. The topic of the 2022 conference is “Culture and Global Challenges”. The conference also includes sections with free topics.

ორგანიზატორი: **ნატო გენგიური**, პროფესორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

კოორდინატორი: **ზვიად დოლიძე**, პროფესორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დეკანი.

Organizer: **Nato Gengiuri**, Professor, Head of the Quality Assurance Department of the Faculty of Art Sciences, Media and Management

Coordinator: **Zviad Dolidze**, Professor, Dean of the Faculty of Art Sciences, Media and Management

ლიტერატურული რედაქტორი: **მარიამ იაშვილი**

გარეკანის დიზანი: **ივანე კიკნაძე**

დამკაბადონებელი: **ეკატერინე ოქროპირიძე**

კორექტორი: **მანანა სანადირაძე**

Literary Editor: **Mariam Iashvili**

Cover design: **Ivane Kiknadze**

Bookbinder: **Ekaterine Okropiridze**

Proof-reader: **Manana Sanadiradze**

© საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „კენტავრი“, 2022

© Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University Publishing House “Kentavri”, 2022

ISBN 978-9941-9800-5-3

სარჩევი

თეატრმცოდნეობა

მარინე (მაკა) ვასაძე გლობარული გამომწვევები მსოფლიო რამათურბინასა და უახლეს ქართულ საშემსრულებლო ხელოვნებაში (სპექტაკლები: „არაფერი ჩვენს შესახებ უჩვენოდ“, „ინციდენტი მეტროში“, „მწვანე კატა“)	17
მაია კიკნაძე რუსთაველის სახელობის თეატრი საგამულო ომის წლებში (1941-1945)	18
თამარ ქუთათელაძე ჟანაპირობა	20
მარიამ მარჯანიშვილი „ვეფხისტყაოსანი“ პარიზის სცენაზე	22
თამარ ცაგარელი XXI საუკუნის არქივი	24
გიორგი ცქიტიშვილი უბედურება, სახელად ომი	26
სანდრა რასვანა ჩერნატი ლუკა რონკონის შემოქმედების აგია	27
ლაშა ჩხარტიშვილი ახალი სათეატრო ფორმა - ონლაინ თეატრი?	29

კინომცოდნეობა

ზვიად დოლიძე ამერიკული კინო და პირველი მსოფლიო ომი	33
თამთა თურმანიძე გლობალური კატასტროფების გამოქაჩილი კინემატოგრაფი.....	34
მაია ლევანიძე სულიერი, მორალურ-ფნეობრივი ღირებულებების სახეცვლა 21-ე საუკუნის კულტურაში	36
ანდრონიკა მარტონოვა სულისა და ბედნიერების ძიება შორეული აღმოსავლეთის კულტურებში (გლობალური და პერსონალური სახეები თანამედროვე ბულგარულ დოკუმენტურ კინოში)	37

ანა კლდიაშვილი ხელოვნება „წინასწარმეტყველებს“ (ლია ბაგრატიონის გამოფენა „ვარდნის საშიშროება“)	63
დავით ნიორაძე ბუნების დამორჩილების იდეა 1920-1930-იანი წლების ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში (ზაჰესის მშენებლობის მაგალითზე)	65
ლალი ოსეფაშვილი მკურნალ წმიდანთა გამოსახულებანი ქართულ ხელოვნებაში	66
ქეთევან ოჩხიციძე „დღე განკითხვისა“ კარადიგმა აღმოსავლეთ და დასავლეთქრისტიანული ტაძრების რელიეფურ მანდაკებაში	68
შორენა ფხაკაძე მდგრადი განვითარების მიზნებისა და სახელოვნებო-კულტურული მემკვიდრეობის საკითხისათვის	69
თამარ (თამთა) შავგულიძე XX-XXI საუკუნეების დასავლურ და ქართულ ვიზუალურ ხელოვნებაში სხეულის რეკრეაციონალური კრიზისებით გაპირობებული ცვლილების გააზრების მსვლელობა	70
<u>ქორეოლოგია</u>	
ეკატერინე გელაშვილი ქორეოგრაფიული სექტორი საქართველოში გლობალური კანდემის გამოწვევების პირისპირ	75
ანანო სამსონაძე “Danse Macabre” – სიკვდილის ცეკვა	76
სალომე შეთეკაური გლობალიზაცია, როგორც გამოწვევა ქართულ საცეკვაო კულტურაში	78

მუსიკოლოგია

თეონა უგულავა
სონორული სინთეზის გამოვლენის თავისებურებები
იოსებ კაჭავაძის საბუნდო ციკლში
„ფშაური იდილიები“ 83

მარინა ქავთარაძე
ეროვნული ჰიმნი, როგორც პოლიტიკური
დისკურსის შანრი და მისი სემიოტიკა 84

გვანცა ღვინჯილია
საბჭოთა იდეოლოგია და მუსიკალური
საშემსრულებლო ხელოვნება 86

თამარ ჩხეიძე
ლიბურგიული დროის აღქმა შუა საუკუნეების
გალობის ხელოვნებაში
(დასავლური და აღმოსავლური ქრისტიანობის მუსიკალური
გამოცდილება)..... 88

თამარ წულუკიძე
ეროვნული ოპერის დაბადება ამიერკავკასიის
ქვეყნებში 88

მედის კვლევები

ნანა დოლიძე
მეორე ფრონტი - კოვიდის ფენომენიდან
მსოფლიო საინფორმაციო ომამდე 93

ვაჟა ზუბაშვილი
კინოქრონიკა გუშინ, დღეს. ხვალ? 96

ლაურა კუტუბიძე, ლალი ძამუკაშვილი
ინფორმაცია, დეზინფორმაცია და პროკაბანდა
ომის არსენალში 98

გიორგი ჩართოლანი
კულტურა ჰიბრიდული ომის
მედიაკლანდფორმაცია 99

თამთა ცინცაძე
თანამედროვე მულტიმედიალური ფრანგა 102

რევაზ ჭიჭინაძე
თანამედროვე მოქალაქე, როგორც
მედის გამოწვევა 103

თავისუფალი თემების ხელშეწყობა

კინოფესტივალი

ქეთევან პატარაია

ქუთაისი, რაფო გაბრიანი, რაფო ჯიშვილი

ხელოვნებათმცოდნეობა 107

ხელოვნებათმცოდნეობა

რუსუდან დოლიძე

ევროპული მხატვრობის ტენდენციები ქართული

მხატვრების შემოქმედებაში XIX -XX

საუკუნეების მიჯნაზე (გიგო გაბაშვილის და მოსე თოიძის

შემოქმედების მაგალითზე)..... 109

მზია მილაშვილი, ვალერი მჭედლიშვილი

სერაფიმე საროველის სახელობის პირველი

თაძარი საქართველოში 110

სანდრო მირცხულავა

გია ბუღაძის ფერწერული სერია „სთუმრები“ და

ეროვნული თვითგამორკვევის პრობლემა 1980-იანი

წლების ქართულ დაზღვრულ ფერწერაში 112

ხელოვნების ფილოსოფია

სოფიო მოდებაძე

შემოქმედების თავისუფლების პრობლემა 114

ეტიმოლოგია

ლევან ალიაშვილი

ქადაგობის რიტუალი ლაშარობის

დღესასწაულზე 116

ხათუნა დამიძე

სართულებიანი ფერხულები ქართულ

სახეკვანო დიალექტებში 118

ანა ღვინიაშვილი

ინკლუზიური ცეკვის დისტანციური გაკვეთილის

მოდელის ხარისხის კვლევა 120

დილარა შომაგვა

ფემინისტური კრიტიკის მეთოდების შესახებ

სახეკვანო ხელოვნების ისტორიული ანალიზის

კონტექსტში 121

მედიის კვლევები

თეა ჭანტურია
**ეკრანული კულტურა - თანამედროვე
ცივილიზაციის ფლაგმანი 123**
ლევან ჯუღელი
**თელავიზიიდან ნეთფლიქსამდე - XXI საუკუნის
ახალი მედიუმი ალგორითმები და
გემოვნების მოდიფიკაცია 125**

ხელოვნების მენეჯმენტი და კულტურული თურიზმი

ნაირა გალახვარიძე
**ინვესტიციები, კულტურის დიფუზიის 127
განვითარებაში**
ზურაბ ზანგურაშვილი, მალხაზ ჭემმარიტაშვილი
**ეთნოგრაფიული მუზეუმის როლი კულტურულ
თურიზმში (საქართველოს მაგალითზე) 130**
ნიკო კვარაცხელია
**კულტურული თურიზმის პერსპექტივები რეგიონული
დესტინაციების დონეზე (შატლი)..... 131**
ნათია კოპალეიშვილი
**კოკროდუქცია - კინოინდუსტრიის
განვითარების ეტაპი 133**
გიორგი ფხაკაძე
**კულტურა, როგორც კრეატიული მენეჯმენტი
რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში 134**
მაია ლვინჯილია, მალხაზ ლვინჯილია
**კულტურული ღონისძიებების როლი თურისტების
გადაწყვეტილების მიღებაში 136**
დოდო ჭუმბურიძე
**კარძო სემეორის როლი კულტურის სფეროს
ორგანიზაციების გაძლიერებაში 137**

CONTENTS

THEATRE STUDIES

Marina (Maka) Vasadze

Global challenges in world drama and in the latest Georgian performing arts (Performances: Nothing About Us Without Us, Incident In Metro Station, The Green Cat) 139

Maia Kiknadze

Rustaveli Theater during the Patriotic War (1941-1945)..... 140

Tamar Kutateladze

Timing..... 141

Mariam Marjanishvili

The Knight in the Panther's Skin on Paris Stage 143

Tamar Tsagareli

Ares of the XXI century 145

George Tskitishvili

Disaster, called war 146

Sandra Rasvana Cernat

The magic of Luca Ronconi's creation 147

Lasha Chkhartishvili

New Theatrical Form - Online Theater? 149

FILM STUDIES

Zviad Dolidze

American Film and World War I 151

Tamta Turmanidze

The Global Disasters Echo in Cinematography 152

Maia Levanidze

Changing spiritual and moral values in the culture of the 21st century 153

Andronika Martinova

Between Soul searching and Happiness in Far East`s Cultures (images of the global and the personal in the contemporary Bulgarian documentary cinema) 154

Lela Ochiauri

Russian Terror from the Soviet Union to Donbas 156

Manana Paitchadze	
The novel „The Reader“/“Der Vorleser” by Bernhard Schlink and the Movie-Adaptation by Stephen Daldry 2008 – Concept of guilt and punishment	157
Nino Popiashvili	
From Local to Global - from Conflict to War in Literature and Cinematography	159
Giorgi Razmadze	
The Challenge for Cinema and Performance on behalf of Matthew Barney	160
Ketevan Trapaidze	
Sometimes, Reality is Different	161
Giorgi Ghvaladze	
You Can't Live Like That? Manuela Cernat Odessa in flames, a Romanian feature still censored	162
Manuela Cernat	
Odessa in flames, a Romanian feature still censored	164
Marian Țuțui	
Is It Better to Have a Bad Image than to Have No Image at All?	166
Theo Khatiashvili	
“Son of Saul” - a “barbaric” expression of non-articulated pain	167
<u>ART STUDIES</u>	
Ekaterina Bagdavadze	
Power and The Categories of Ornament	169
Nato Genruiri	
De-Heroization of War in Soviet Modernism-Era Sculpture (Vazha Melikishvili’s Memorial Cube in Senaki)	170
Irma Dolidze	
Along the Occupation line	171
Ekaterina Kenigsberg	
The Global and Local Context of Japanese Contemporary Art Triennales	173
Ana Kldiashvili	
Art “Foretells” (Lia Bagrationi’s exhibition “Fall Hazard”) ...	174

Davit Nioradze	
The Idea of Subjugation of Nature In the Georgian Soviet art 1920-1930	
(On the example of The Zahesi construction)	175
Lali Osepashvili	
Images of healing saints in Georgian art	176
Ketevan Ochkhikidze	
„The Last Judgment“ paradigm in Easter and Western Christian church relief sculptures	178
Shorena Pkhakadze	
About the Issue of Sustainable Development Goals and Artistic-Cultural Heritage	179
Tamar (Tamta) Shavgulidze	
Human Body and Global Crisis Analyzing Shifted Representation Strategies in XX-XXI Western and Georgian Visual Art	180

CHOREOLOGY

Ekaterine Geliashvili	
The choreographic sector in Georgia is facing struggles due to the global pandemic	181
Anano Samsonadze	
“Danse Macabre” - Dance of Death	182
Salome Shetekauri	
Globalization as a challenge in Georgian dance culture	183

MUSIC STUDIES

Teona Ugulava	
Peculiarities of sonorous system detection in Ioseb Kechakmadze’s choral cycle “Pshavian Idylls”	185
Marina Kavtaradze	
National Anthem as a Genre of Political Discourse and its Semiotics	187
Gvantsa Ghvinjilia	
Soviet Ideology and the Musical Performing Art	188

Tamar Chkheidze	
Perception of Liturgical Time in Chanting Art of the Middle Ages (Musical experience of Western and Eastern Christianity)	190
Tamar Tsulukidze	
Birth of National Opera in the Countries of the South Caucasus	190

MEDIA STUDIES

Nana Dolidze	
The second Front – From the Phenomenon of Covid to the worldwide information war	192
Vaja Zubashvili	
Film Chronicles Yesterday, Today, Tomorrow?	195
Laura Kutubidze, Lali Dzamukashvili	
Information, disinformation and propaganda in the period of war	196
George Chartolani	
Culture on the Hybrid War Media Platform	197
Tamta Tsintsadze	
The Modern Multimodal Phrase	200
Revaz Tchitchinadze	
The modern citizen as a challenge to the media	201

FREE THEME SECTION

FILM STUDIES

Ketevan Pataraiia	
Kutaisi, Rezo Gabriadze, Rezo Cheishvili	203

ART STUDIES

Rusudan Dolidze	
The influence of European painters on the works of Georgian artists on the threshold of XIX -XX centuries (As illustrated by the works of Gigo Gabashvili and Mose Toidze)	204
Mzia Milashvili, Valeri Mchedlishvili	
The first church of Seraphim of Sarov in Georgia	205

Sandro Mirtskhulava	
G. Bugadze's painting series "Guests" and the Problem of National Self-Determination in Georgian Easel Painting of the 1980s	206

ART PHILOSOPHY

Sophio Modebadze	
The Problem of Freedom of Creativity	208

CHOREOLOGY

Levan Aliashvili	
Sermon Ritual on the Feast of Lasharoba	209
Khatuna Damchidze	
Storeyed Round Dances in Georgian Dance Dialects	211
Ana Gviniashvili	
Quality study of the inclusive dance online lesson model	213
Dilara Shomayeva	
On the issue of methods of feminist criticism in the historical analysis of dance art	214

MEDIA STUDIES

Tea Chanturia	
"Screen Culture - The Flagship Of Modern Civilization"	215
Levan Jugeli	
From Television to Netflix - New Medium of XXI century Algorithms and taste modification	217

ART MANAGEMENT AND CULTURAL TOURISM

Naira Galakhvaridze	
Investments in the development of cultural diffusion	218
Zurab Zangurashvili, Malkhaz Cheshmaritashvili	
Role of ethnographic museums in cultural tourism (Georgian examples)	221

Niko Kvaratskhelia	
Perspectives of cultural tourism at the level of regional destinations (Shatili)	222
Natia Kopaleishvili	
Co-production - The development stage of film industry	224
Giorgi Pkhakadze	
Culture as a creative mechanism in the development of the region's economy	225
Maya Gvinjilia, Malkhaz Gvinjilia	
The role of cultural events in tourists' decision making	226
Dodo Tchumburidze	
The Role of the Private Sector in Strengthening Cultural Organizations	227

თეატრმცოდნეობა

მარინე (მაკა) ვასაძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი

**გლობალური გამოწვევები მსოფლიო
დრამატურგიასა და უახლეს ქართულ
საშემსრულებლო ხელოვნებაში**

(სპექტაკლები: „არაფერი ჩვენს შესახებ უჩვენოდ“,
„ინციდენტი მეტროში“, „მწვანე კატა“)

- გლობალური გამოწვევები მსოფლიო დრამატურგიასა და ქართულ საშემსრულებლო, სათეატრო ხელოვნებაში.
- ძალადობის თემა სხვადასხვა სოციალურ ფენასა თუ ასაკობრივ ჯგუფებში: ძალადობა ქუჩაში, ძალადობა ოჯახში, სახელმწიფო სტრუქტურების დიქტატი სხვადასხვა სოციალურ ფენაზე. ამის მაგალითებია, 2021-22 წლის სეზონზე, თბილისის სხვადასხვა თეატრში განხორციელებული სპექტაკლები;
- ბიდგოშჩის პოლონური თეატრის (Teatr Polski w Bydgoszczy) და სამეფო უბნის თეატრის კოპროდუქცია „არაფერი ჩვენს შესახებ უჩვენოდ“ რეჟისორმა დათა თავაძემ განახორციელა. სპექტაკლის დადგმის ინსპირაცია კმიშტოვ კიშლიოვსკის დოკუმენტური ფილმებია. ქართული ტექსტის ავტორი - დათო გაბუნია.
- ლევან წულაძის და თემო კუპრავას მარჯანიშვილის თეატრში დადგმული „ინციდენტი მეტროში“, ლარი პირსის ფილმის „ინციდენტი“ (1967 წ.), გასცენიურებული ვერსიაა (ინსცენირების ავტორები: ლევან წულაძე, თემო კუპრავა). თავად ფილმი ნიკოლას ბაერის ტელესპექტაკლის „მგზავრობა ტერორით“ მიხედვით შეიქმნა. სპექტაკლი ჩვენს ცხოვრებაში არსებულ მტკივნეულ და საჭირობო-როტო საკითხებს ასახავს.

- მოზარდ მაყურებელთა თეატრის ექსპერიმენტულმა სცენამ კიდევ ერთი საინტერესო სპექტაკლი შესთავაზა მაყურებელს. ახალგაზრდა რეჟისორმა ლუკა ინჭვირ-ველმა თანამედროვე რუმინელი დრამატურგის, ელის უილკის პიესა – „მწვანე კატა“ – განახორციელა. პიესაშიც (თარგმანი: ანა მირიანაშვილი) და სპექტაკლშიც გარეუბანში მცხოვრებ მოზარდთა პრობლემებია წარმოჩენილი. რეჟისორმა ახალგაზრდა თანამოაზრეთა ჯგუფთან ერთად 16-19 წლის თინეიჯერების ფიქრები, ტკივილები, საზრუნავი, ოცნებები გააცოცხლა სცენაზე.

მაია კიკნაძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რუსთაველის სახელობის თეატრი სამამულო ომის წლებში (1941-1945)

საკვანძო სიტყვები: ქართული დრამატურგია, საშეფო ბრიგადები, პროპაგანდა, ოპტიმისტური სულისკვეთება.

1. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, საქართველომ არაერთ გლობალურ გამოწვევას გაუძლო - იქნებოდა ეს ომები, რევოლუციები, პანდემიები, ოკუპაცია თუ სხვადასხვა სახის რეპრესიები. (ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ქართვეილები დიდ გავლენას ახდენდა კულტურულ პროცესებზე, მათ შორის თეატრალურ ხელოვნებაზეც). ერთ-ერთი ყველაზე საშინელი გამოწვევა კაცობრიობის ისტორიაში თავისი სისასტიკით და მასშტაბებით იყო მეორე მსოფლიო ომი.
2. ომის დროს, საბჭოთა კავშირში თეატრები არ დაკეტილა. ამ დროს გაჩნდა ახალი დასები, ეგრეთ წოდებული სა-შეფო ბრიგადები, რომლებიც ჯარის ნაწილებსა და ჰოს-

პიტლებში მართავდნენ წარმოდგენებს. საქართველოში არაერთი მსახიობი იყო გაერთიანებული საშეფო ბრიგადებში. ქართველი მსახიობები იბრძოდნენ, როგორც ფრონტზე, ასევე ზურგში. შოთა რუსთაველის სახელობის თეატრიდან ბევრი მსახიობი, სცენის მუშა, მოკარნახე და ორკესტრის მსახიობი გაიწვიეს, რომლებიც შინ არ დაბრუნდნენ.

3. რუსთაველის თეატრმა 1941-1945 წლებში 18 ახალი პრემიერა გამოუშვა. აქ იდგმებოდა კლასიკა, პატრიოტული პიესები, კომედიები და ომის თემაზე დაწერილი თანამედროვე ქართული პიესები.
4. ომის დროს თეატრს თავისი ვალდებულებები გააჩნდა. მას პროპაგანდის დანიშნულება ჰქონდა. თეატრს უნდა ჩაესახა მაყურებელში ოპტიმისტური განწყობა, გამარჯვების რწმენა. წარმოეჩინა საბჭოთა ჯარისკაცის თავდადება. მებრძოლი ადამიანის გმირული სული, ქვეყნისათვის თავგანწირვა.
5. 1941 წელს, რეჟისორმა დოდო ალექსიძემ განახორციელა გერმანელი ებრაელი მწერლის, ფრიდრიხ ვოლფის პიესა „პროფესორი მამლოკი“, რომელიც ანტიფაშისტური სულისკვეთებით იყო გამსჭვალული.
6. მეორე მსოფლიო ომის დროს, ქართული დრამატურგია არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიახლეებითა და მაღალმხატვრული ნიმუშებით, უფრო მეტიც, ამ პერიოდში ომის თემაზე ცოტა პიესა დაიწერა, ამდენად, რუსთაველის თეატრს არჩევანის საშუალებაც არ ჰქონდა და რაც დაიწერა, ყველა პიესა დაიდგა. (მაგ., გ. მდივანი - „ბატალიონი მიდის დასავლეთისკენ“, გ. მდივანი - „მოსკოვის ბჭესთან“, ს. კლდიაშვილი - „ირმის ხევი“).
7. ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის თეატრებმა, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მოსახლეობაში ოპტიმისტური განწყობილების შექმნასა და პატრიოტული იდეების გავრცელებაში.

თამარ ქუთათელაძე,
თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის
სახელობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ჟამიანობა

თანადროული სინამდვილე უაღრესად საინტერესო, მრავალი გაუთვალისწინებელი სირთულით დატვირთული აღმოჩნდა, რაც თავისთავად ახალ გამოწვევებს გვთავაზობს, უსწრაფესად მოითხოვს ჩვენგან სულ უფრო ახალ, არაპროგნოზირებად სინამდვილესთან ადაპტირებას, კრიტიკულ აზროვნებას, მობილურობას, სწორი რეაგირების ფორმების შექმნას. ვფიქრობ, ამ არცთუ უხიფათო რეალობაში თავად სათეატრო ხელოვნების მოღვაწეებმაც უნდა გაითვალისწინონ შექმნილი სიტუაცია და მოიძიონ ახალი ათასწლეულის მთავარ პრობლემებზე ზუსტი რეაგირების ხერხები, საზოგადოებასთან ურთიერთობის ამაღლების, კონსოლიდაციის, შექმნილ კრიზისულ ყოფაში მესამე ხელი-სუფლების აღსრულების პრაქტიკულად საჭირო მეთოდები.

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში კვლავ გაისმა ჩვენი ყოველდღიური ყოფისათვის თითქმის გაუცხოებული ცნებები, პანდემიათა სერია, ომი, ფაშიზმი, სამყაროს აღსასრულის მოახლოების, განკითხვის დღის, მეორედ მოსვლისა თუ სხვა მოსალოდნელი აპოკალიფსური თემები. საზოგადოებამ ისევ გაიხსენა გასული საუკუნის დასაწყისში შექმნილი, ამჟერად თითქოსდა მოძველებული ნაშრომები და პიესები, ახალი თვალთახედვით დაიწყეს ახლო წარსულის გაჩხრეკა, რთული პერიოდების ანალიზი. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, სასიცოცხლოდ აუცილებელი გახდა გონივრული სიმშვიდის შენარჩუნება, ჯანსაღი აზროვნების გააქტიურება, სწორი დასკვნების გამოტანა. გაცხადდა, რომ

ისტორია მეორდება და XXI საუკუნის დასაწყისი ლამის ნათესაურ კავშირში იმყოფება XX საუკუნის 20-იან წლებთან. ამიტომაც გამორჩეულად საინტერესო აღმოჩნდა კამიუს „შავი ჭირი!“, მრავალი წლის მანძილზე უტოპიურ თხზულებებად აღიარებული ნაშრომები. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სასწავლო თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკაც შეეხმინა ჩვენს რეალობაში წარმოქმნილ ცვლილებებს. მიმდინარე სეზონში დაიდგა სოსო ნემსაძის განხორციელებული კარლ ჩაპეკის „თეთრი ჟამი“, ალექსანდრე ქანთარიას „მარიამობის თქვე 1924“, სულ მალე ვიხილავთ თემურ ჩხეიძის მიერ დადგმულ არტურ მილერის „სეილემის პროცესს“ და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ჯერ კიდევ სტუდენტი მსახიობებისთვის ძალზე მტკივნეული, ჯერ კიდევ ბოლომდე გაუცნობიერებელია უფროსი თაობის მიერ შემოთავაზებული პრობლემების სიღრმისეული წვდომა, ვფიქრობ, აუცილებელია კვლავ გავიხსენოთ და გავიაზროთ ჩვენი ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდი, სისხლიანი წლები, სახელოვანი ავტორების ნააზრევი, მათ მიერ შეფასებული მსოფლიო ისტორიის მრავალმხრივ ტრაგიკული XX საუკუნის 20-30-იანი წლების კატაკლიზმები, მით უფრო, რომ შესაძლოა მართლაც იკვეთებოდეს მასთან გარკვეული პარალელები.

მარიამ მარჯანიშვილი,
ფილოლოგიის დოქტორი
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული
მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი

„ვეფხისტყაოსანი“ პარიზის სცენაზე

*საკვანძო სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“, სერჟ ლიფარი,
ბალეტი „შოთა რუსთაველი“, რეჟებ ჟორდანია,
მონტე-კარლოს ოპერა.*

XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს საქართველოში „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა და დასურათება გიორგი ქართველიშვილმა ითავა. ხოლო ემიგრაციაში ამ გენიალური ქმნილების პარიზის საბალეტო სცენაზე წარმოდგენის დაფინანსება მეცენატმა ემიგრანტმა ბერიძემ განახორციელა, რომლის შესახებაც საინტერესო მოგონებას გვაწვდის რეჟებ ჟორდანია თავის წიგნში „გავიზარდე ლევილიში“: „დედაჩემს დაებადა აზრი, დაედგა ბალეტი მეთორმეტე საუკუნის დიდი ქართველი პოეტის – შოთა რუსთაველის პოემის – „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე. მისი წამოწყება წარმატებით დაგვირგვინდა“.

გადაიჭრა ფინანსური და პასუხისმგებლობის საკითხები. მთავარ მონაწილეებთან დაიდო კონტრაქტები. მალე ელისეის მინდვრების ერთ-ერთ დარბაზში რეპეტიციებიც დაიწყო. შეკრებები ყოველდღიურად დილის ათი საათიდან ოთხ საათამდე იმართებოდა. ბალეტის ხელმძღვანელი სერჟ ლიფარი, ყველაფერს წარმართავდა და ქორეოგრაფიც თვითონ იყო. მოწვეულთა შორის იყო ნიკოლაი ევრეინოვი, ცნობილი თეატრალური კრიტიკოსი და მსოფლიო სცენებზე დადგმული მრავალი პიესის ავტორი, რომელსაც შოთა რუსთაველის პოემის მიხედვით დადგმული ბალეტის სცენარის დაწერა დაევალა.

ევრეინოვმა სცენარში ჩართო ეპიზოდები რუსთაველისა და თამარ მეფის ცხოვრებიდან, რადგან პოეტმა თავისი

ქმნილება ამ უკანასკნელს მიუძღვნა. ბალეტის დადგმაზე მოწვეულ იყვნენ ასევე რუსი მხატვრები ნატალია გონჩაროვა და მიხაილ ლარიონოვი, რომელთაც დეკორაციები და კოსტიუმები შექმნეს.

ლიფარმა ქორეოგრაფიულ კონსულტანტად რუსული ბალეტის მხცოვანი მანესტრო მოიწვია, რომლის გასაოცარი გონების წყალობით განხორციელდა მოძრაობის, რიტმის გამოსახვის ცალკეული დეტალების წარმოდგენა.

ვინაიდან ბალეტი „შოთა რუსთაველი“ ახალი დადგმა იყო სცენაზე, ლიფარს მოუხდა ღრმად შეესწავლა ბალმონტისეული რუსულად ნათარგმნი პოემა და მხატვარ მიხაილ ბინის მიერ დასურათებული ქართული „ვეფხისტყაოსანი“, რათა გაეთავისებინა ყველა დეტალი თუ მიზანსცენა. ამიტომაც იყო, რომ ლიფარმა ბალეტში ქართველი მოცეკვავე პეტრი-აშვილი მოიწვია, მისთვის ქართული ცეკვისათვის დამახასიათებელი საბალეტო პას გასაცნობად, რადგან დადგმაში ქართული დეტალის შეტანა აუცილებელი იყო.

ბალეტზე მუშაობა არნახული ტემპით მიმდინარეობდა. სერჟ ლიფარმა ახალი შემოქმედებითი მეთოდი შემოიტანა. როგორც წესი, ქორეოგრაფი ჯერ მუსიკას ირჩევს, ან მუსიკა მისთვის სპეციალურად იწერება, რომლის მიხედვითაც იგი დგამს ცეკვებს. ბალეტი „შოთა რუსთაველში“ კი ყველაფერი პირიქით მოხდა: ლიფარმა ჯერ ცეკვები დადგა, ხოლო კომპოზიტორებმა კი მუსიკა ქორეოგრაფის მიერ შემუშავებულ სქემაზე შექმნეს.

სამწლიანი რეპეტიციების შემდეგ 1946 წლის გაზაფხულზე მონტე-კარლოს ოპერაში პრემიერა შედგა. პარიზის სცენაზე ბალეტის წარმოდგენა პრემიერის შემდეგ ოთხჯერ გაიმართა. მერე კი შოთა რუსთაველის პოემის მიხედვით დადგმული ბალეტი სცენიდან გაქრა და აღარასოდეს დაბრუნებულა. დღესაც არავინ იცის, თუ რა ბედი ეწვია მუსიკას, დეკორაციებსა თუ კოსტიუმებს.

ახლისაკენ მისწრაფება ადამიანის წარმოსახვის პირველი მოთხოვნილებაა და საბოლოოდ, აშკარად გამოიკვეთა

ის ჭეშმარიტება, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრანტებისა და საბალეტო დასისათვის შემოქმედებით ტკობაზე უფრო დიდი სიამოვნება არ არსებობდა. მით უფრო, როცა საქმე ქართველებისათვის უძვირფასეს საგანძურს - შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ ეხებოდა.

თამარ ცაგარელი,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თეატრმცოდნე. თბილისის მერიის მუზეუმების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის - ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა-მუზეუმის კურატორი

XVI საუკუნის არესი

ძველი ბერძნული მითოლოგიიდან ყველასთვის ცნობილია არესი (Arēs), ომის მრისხანე ღმერთი, ზევსისა და ჰერას ძე, რომელიც, უპირისპირდება ათენა ქალღმერთს - სამართლიანი ომის მფარველს. არესი, როგორც ცნობილია, თავდაპირველად (ჰომეროსის ხანამდე) ქთონური ბუნების (ქვესკნელის) ღვთაება იყო, როგორც კეთილდღეობის, ისე სიკვდილის მომტანი, შემდგომში კი – მხოლოდ სიკვდილისა და უბედურებისა.

დღეს, XVI საუკუნეში ომის მრისხანე ღმერთი მძვინვარებს მსოფლიო რუკაზე აღნიშნულ გარკვეულ ტერიტორიებზე და საზოგადოება, რეალურად თუ გარდასახვით, სახელოვნებო სივრცეში, განიცდის მის შედეგებს: როგორც ფიზიკურ, ასევე მორალურ გარდაცვალებას. როგორც ცნობილია, ომისა და სიკვდილის თემა, ისტორიულად, არა ერთი ლიტერატორისა თუ ხელოვანის ინტერესის საგანი ყოფილა,

სადაც ნათლად წარმოჩინდება ადამიანის უსუსურობა და უსუსურობის შედეგად გამოწვეული ფსიქო-ფიზიკური აშლილობა თუ სიკვდილის აქტამდე და მის განხორციელებაამდე მისვლა. სწორედ, პიროვნების „კარდიოგრამული ნილაბი“ შექმნა პოლონელმა რეჟისორმა ინგმარ ვილკვისტმა (ნამდვილი სახელი და გვარი იაროსლავ შვერში (Jarosław Świercz), რომელიც თავისი შემოქმედებით თანამედროვე პოლონური თეატრის ერთ-ერთი გამორჩეული, მნიშვნელოვანი ფიგურაა. ვილკვისტის პიესები ხშირად იდგმება არა მარტო პოლონეთში, არამედ ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში. არც ქართველი რეჟისორები დარჩენილან გულგრილად ამ დრამატურგის შემოქმედებით და, დღეს, როცა რეალურად გაგვახსენა საკუთარი ძალაომის მრისხანე ღმერთმა არესმა, რომელმაც უკრაინაში „დაიდო დროებითი თავშესაფარი“, თბილისში, გრიბოედოვის თეატრის სცენაზე რეჟისორი გიორგი მარგველაშვილი აცოცხლებს ვილკვისტის დრამას „ჰელვერის ღამე“ და მაყურებელს წარმოუდგენს ინტელექტუალურ სპექტაკლს ფსიქო-დრამატულ, ფსიქო-სოციალურ ჭრილში აგებულს. მიუხედავად იმისა, რომ ამბავი XX საუკუნის 30-იანი წლების ევროპაში, კონკრეტულად კი, პოლონეთში ვითარდება, ჩვენთვის, მაყურებლებისთვის, ეს ორი პერსონაჟი და გარე სამყაროს შორის არსებული დაძაბული დამოკიდებულება, ურთიერთობა, ნაცნობია და მტკივნეული. მიზანი მიღწეულია, როგორც დრამატურგის, თუნდაც ამ ერთი პიესით, ასევე, რეჟისორ გიორგი მარგველაშვილის სპექტაკლით „ჰელვერის ღამე“. ამის მიზეზი კი, რეალური ცხოვრებისეული მოქმედებაა, რომელსაც თავისი სპეციფიკურობა ახასიათებს. იგი წარმოიშობა, როგორც პიროვნების, გმირის, ნების გამოხატვის შედეგი და თავის განხორციელების გზაზე მას წინ არაერთი დაბრკოლება ხვდება: სხვა გმირების საპასუხო მოქმედება იწვევს კონფლიქტურ დაპირისპირებას და ბრძოლას, რომლის გარეშე როგორც დრამის, ასევე სპექტაკლის არსებობა შეუძლებელია. ვლინდება კონფლიქტი,

რადგან კონფლიქტებით სავსე სიტუაციები და ხასიათები ქმნიან დრამის, როგორც ჟანრის ნიადაგს, განსაზღვრავენ მისი არსის მთელ ზნეობრივ მნიშვნელობას.

გიორგი ცქიტიშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს
შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

უბედურება, სახელად ომი

განმანათლებლობის ეპოქის (XVIII საუკუნე) ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფრანგი მოაზროვნე, პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, დრამატურგი, ვოლტერი (1694-1778) აღნიშნავდა, რომ ომი ერთდროულად უბედურებაცაა და დანაშაულიცო. ალბათ, ამ ძალზე ლაკონიურ გამონათქვამში ამომწურავადაა ამოხსნილ-შეფასებული ომის არსი. თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში, ვერც ერთ ეპოქაში კაცობრიობამ ვერ მოახერხა ამ დამანგრეველი ძალისა და შედეგის მქონე გლობალური კატასტროფის, აპოკალიფსის სრულად თავიდან აცილება. ყოველივე ამან კი რა მსხვერპლი, ნგრევა მოიტანა, მეტ-ნაკლებად, ესეც ყველასთვის ცნობილია.

ნაშრომში საუბარია იმაზე, რომ ეს პრობლემა ყველა ეპოქაში აქტუალური გახლდათ. ბუნებრივია, იგი თეატრის მოღვაწეებსაც აღელვებდათ. ამის სამაგალითოდ, ავტორი საუბრობს ორ პიესაზე, რომლებიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაშია შექმნილი. ესენია: ანტიკური ბერძნული კომედია „ლისისტრატე“, ავტორი არისტოფანე (დაბადებული დაახლოებით, ძველი წელთაღრიცხვის 446, გარდაცვლილი 387-სა და 380 წლებს შორის) და ფრანგული ინტელექტუალური დრამა „ტროას ომი არ იქნება“, ავტორი ჟან ჟიროდუ (1882 - 1944). მხოლოდ ამ ორი მაგალითითაც

ნათელია, თუ რამდენად საჭირობოროტო, აქტუალური იყო ომისა და მშვიდობის თემა ყველა ეპოქაში.

როცა ომი სამყაროს გრიგალივით გადაუვლის, შედეგად მხოლოდ ნანგრევები და სასაფლაოები არ გვრჩება. არანაკლებ ტრაგიკულია ის ჭრილობები, რომლებსაც იგი ცოცხლად გადარჩენილებს გულსა და ტვინში უტოვებს. ბევრი მათგანი ამ სინდრომს მთელი სიცოცხლე თავს ვერ აღწევს.

სანდრა რასვანა ჩერნატი,
ბუქარესტის ეროვნული თეატრისა და კინოს
უნივერსიტეტის ლექტორი

ლუკა რონკონის შემოქმედების მაგი

თანამედროვე ევროპული თეატრისა და ოპერის საკულტო პიროვნება, აბსოლუტური ინტელექტუალი, იტალიელი რეჟისორი ლუკა რონკონი, უპირველეს ყოვლისა, სცენის ფილოსოფოსი იყო. რეფორმატორი, მხატვარი, რომლისთვისაც თეატრი და ოპერა არ იყო გამიჯნული ისტორიის ფილოსოფიისგან, შილერის შეხედულებით, სცენა გვიპირისპირებს როგორც ისტორიას, აგრეთვე უკანასკნელ სამსჯავროს. ლუკა რონკონისთვის ტექსტი, დრამატული თუ მუსიკალური, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი სამყაროს გამოხატვის საშუალებაა. შესაბამისად, სპექტაკლის მთავარი ავტორი არის რეჟისორი და არა დრამატურგი ან კომპოზიტორი, ტექსტი და მუსიკა მხოლოდ სცენური ფონი უნდა იყოს ორიგინალურობისთვის. ამიტომ, მის შემოქმედებას ხშირად უსტვენდნენ კონსერვატიული ოპერის მაყურებლები, რომლებიც დაბნეულნი იყვნენ მისი ინოვაციური ხედვით.

ის უარს ამბობს ჩვეულებრიობაზე და ამცირებს კავშირს მუსიკასა და სიტყვებს შორის. რინკონიმ ყურადღება გაამახვილა სიმღერის რეალურ ფუნქციაზე, დაწყებული უკიდურესად მარტივი, მაგრამ, ზოგადად, უგულვებელყოფილი აქსიო-

მიდან „თითოეული ტექსტი ასხივებს საკუთარ სივრცეს“. მას სურს გააუქმოს ძველი კლიშეები – „აზრი, რომ საზოგადოება ვიოლეტას კაბას აქლემებით მოქარგვას ელის და კავალერიის ეკლესია იმავე ადგილას დადგმულიყო“ – მან თანაბარი ზიზღით უარყო ნატურალისტური და ფერწერული ხედვა.

ამის ნაცვლად მან ყურადღება გაამახვილა ოპერის სოლისტებთან ურთიერთობაზე. ფსიქოლოგიური მოტივებით არ ინტერესდებოდა და ნამდვილად არ იყო მსახიობის/მომღერლის პერსონაჟთან იდენტიფიკაციის კლასიკური თეორიის გულშემატკივარი. როდესაც დაევალა პროექტის „L'incoronazione di Poppea“ განხორციელება, გადაწყვიტა სპეციალური სემინარის გამართვა მომღერლებისთვის, რათა შეესწავლათ მონტვერდისდროინდელი რეციტარული კანტანდოს სტილი. მოგვიანებით სემინარი დრამატული ხელოვნების აკადემიის სასწავლო გეგმაში დაამატეს.

რინკონის შემოთავაზებული ხელახალი თეატრალიზაცია ამბიციურ ინტელექტუალურ პირობას ეფუძნება: დააკავშიროს მისი თანამედროვეების კულტურული სამყარო იტალიური ბაროკოს ოპერის ბრწყინვალე მემკვიდრეობასთან. მისი ესთეტიკური რეფორმა ძვირფასი ეროვნული ფასეულობების მიზანმიმართული და ღირებული გამოჯანსაღების შედეგი იყო.

2008 წლის ევროპული თეატრალური დაჯილდოების ცერემონიაზე წარმოთქმული სიტყვა დღემდე აქტუალურია: „მჯერა, რომ „ევროპის პრიზის“ დაარსება შესაძლებლობას მოგვცემს დაფიქრდეთ კავშირზე, რომელიც ჩვენ ყველამ, ჩვენი საქმიანობით უნდა დავამყაროთ ევროპულ ჰორიზონტსა და ეროვნული იდენტობის გადარჩენას შორის, რომელშიც წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული ევროპული ქვეყნის თეატრალური ცივილიზაცია. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ხელოვნება და კულტურა ბარბაროსების წინააღმდეგ“.

ლაშა ჩხარტიშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ახალი სათეატრო ფორმა - ონლაინ თეატრი?

აისახება, თუ არა პანდემიით განპირობებული გამოწვევები და ცვლილებები ხელოვნების, კერძოდ, სათეატრო ხელოვნების შემდგომ განვითარებაზე, პანდემიის დასრულების შემდეგ უფრო ნათელი გახდება, თუმცა ჩვენ უკვე ვართ ახალი ჰიბრიდული ხელოვნების გაჩენის მომსწრენი. პანდემიამ, რომელიც სამყაროს თავს მოულოდნელად დაატყდა, საგრძნობლად შეცვალა მსოფლიოს დღის წესრიგი. დაწესდა ახალი რეგულაციები, დაირღვა ჩვეული ცხოვრების წესი, სამყარო უამრავ სირთულეთა პირისპირ მოუშვადებელი აღმოჩნდა.

პანდემიით შექმნილი მოცემულობიდან გამომდინარე, ხელოვნებაც, ისევე, როგორც მრეწველობა-წარმოების თითქმის ყველა სფერო, იძულებული აღმოჩნდა თამაშის ახალ წესებს შეჰგუებოდა და ჯერ გადარჩენის, ხოლო შემდეგ განვითარების გზები ეპოვა. ხელოვნების ახალ თუ ძველ დარგებს შორის საშემსრულებლო ხელოვნება ერთადერთია, რომელიც მაყურებელთან ცოცხალ კომუნიკაციაზეა დაფუძნებული. სწორედ, ცოცხალი ურთიერთობაა მისი ერთ-ერთი მთავარი ძალა. ცოცხალი ურთიერთობის პლატფორმა თეატრს პანდემიამ ჩამოართვა.

სათეატრო პროდუქტი ცოცხლობს მხოლოდ მაშინ, როცა მას ჰყავს თუნდაც ერთი ცოცხალი მაყურებელი. პანდემიის პირობებში კი, სათეატრო ხელოვნებას შეექმნა ავთენტური ფორმით არსებობის საფრთხე. პანდემიამ წარმოშვა ახალი ტიპის ხელოვნება, რომელიც გამოიხატა თეატრისა და კინო-ხელოვნებების სინთეზურ, ჰიბრიდულ პროდუქტში, რომელსაც პირობითად შეგვიძლია ონლაინ თეატრი ვუწოდოთ.

არსებობის ასეთი ფორმა ძირეულად, კონცეპტუალურად და რადიკალურად ეწინააღმდეგება თეატრის არსს. თეატრი ყოველთვის უმკლავდებოდა წინააღმდეგობებს, გამოწვევებს, ითვისებდა ტექნოლოგიურ პროგრესს, ნერგავდა მას და თავის სასარგებლოდ, განვითარებისთვის იყენებდა, მაგრამ „დისტანციურად“ არასდროს უარსებია, მაყურებელთან უშუალო კომუნიკაციის, ირიბი ან პირდაპირი ინტერაქციის გარეშე. მაგრამ შეუძლია თეატრს მაყურებელთან ცოცხალ ურთიერთობაზე უარის თქმა?

კინომსოფენობა

ზვიად დოლიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ამერიკული კინო და პირველი მსოფლიო ომი

1914 წლის ზაფხულში, როდესაც ევროპის ტერიტორიაზე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, ამერიკის შეერთებული შტატები, სხვადასხვა მიზეზის გამო, არ ჩაერთო მასში 1917 წლის აპრილამდე. რასაკვირველია, ამ გლობალურმა მოვლენამ მსოფლიოში ბევრი რამ შეცვალა და მათ შორის, კინოს განვითარებასაც დაატყო კვალი.

ომის წინა პერიოდსა და ომის პირველ ხანებში ჰოლივუდურმა კინოკომპანიებმა წარმატებით ჩამოაყალიბეს ვერტიკალურად ინტეგრირებული სტრუქტურები, რაც ნიშნავდა იმას, რომ თითოეულს უკვე ჰქონდა მუშაობის სამი ძირითადი მიმართულება: ფილმების წარმოება, მათი დემონსტრაცია საკუთარ კინოთეატრებში და მათი დისტრიბუცია როგორც აშშ-ის ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ. ასეთი სისტემა ჰოლივუდმა გადაიღო ევროპელებისაგან, რადგან მანამდე ცნობილმა კინომაგნატებმა: შარლ პატემ და ლეონ გომონმა საფრანგეთში და ოლე ოლსენმა დანიაში შექმნეს მსგავსი სისტემები, თუმცა ომის დაწყებისთანავე ევროპელების ამ, ერთი შეხედვით, მყარსა და საიმედო სტრუქტურებს სერიოზული საფრთხე დაემუქრა და მალე სამივე მათგანი ერთი მეორის მიყოლებით ჩამოიშალა. ამას გარდა, ამერიკელებმა „ძველი სამყაროს“ კინემატოგრაფისტებისაგან გადაიღეს სხვა სტრატეგიული, ტექნიკური, ჟანრობრივი, სარეჟისორო, სამონტაჟო და ა. შ. თავისებურებებიც, რამაც ხელი შეუწყო მათი მძლავრი და მწყობრი კინობიზნესის დამკვიდრებას.

მართალია, ომში ჩაბმული ევროპული სახელმწიფოები ფილმებს აწარმოებდნენ, მაგრამ მათი რაოდენობა საგრ-

ძნობლად დაეცა, რამეთუ ბევრი ევროპელი კინემატოგრაფისტი არმიაში გაიწვიეს, კინოსტუდიების ნაწილი სამხედრო მიზნებისათვის გადააკეთეს (საწყობები, ჰოსპიტლები და ა. შ.), არაერთი კინოოპერატორი მიაგვლინეს სამხედრო შტაბებში, სადაც შეიქმნა საგანგებო განყოფილებები, რომლებსაც ევალეობდა კინოქრონიკის გადაღება და მიმდინარე საომარი მოქმედებების ოპერატიული გაშუქება. ამით ისარგებლეს ამერიკულმა კინოკომპანიებმა და ევროპის კინოთეატრებს ბლომად შესთავაზეს თავიანთი კინოპროდუქცია. აქედან იღებს სათავეს ჰოლივუდის მიზანმიმართული შეჭრა ევროპულ კინობაზრებზე, თუმცა ამ პროცესს ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში (მაგ., დიდ ბრიტანეთში) უფრო ადრეც ჰქონდა ადგილი. სწორედ პირველი მსოფლიო ომის წლებიდან იწყება ჰოლივუდის ჰეგემონია საერთაშორისო არენაზე, რაც მოულოდნელზე დიდხანს გაგრძელდა.

თამთა თურმანიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი

ბლობალური კატასტროფების გამოძახილი კინემატოგრაფში

კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში მომხდარი ომები, პანდემიები, ეკოლოგიური ცვლილებები თუ კატასტროფები სხვადასხვა სახით ყოველთვის აისახებოდა ხელოვნებაში. მასშტაბური ეპიდემიების პერიოდში ადამიანებში ძლიერდებოდა სამყაროს დასასრულის შიში და ეს განცდა გარკვეულ მხატვრულ სახეებად ტრანსფორმირდებოდა.

კინემატოგრაფში, ჯერ კიდევ მისი განვითარების გარიჟრაჟზე ჩნდება ფილმები კატასტროფებზე, სადაც სუჟეტური

ხაზი მოახლოებული თუ მიმდინარე კატასტროფის ფონზე ვითარდება. ამ მიმართულების ფილმებთან დაკავშირებით გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, სპეციალისტთა ნაწილი მათ დამოუკიდებელ ჟანრად მიიჩნევს, ნაწილი კი, ტრილერის ერთგვარ ქვეჟანრად თვლის. მაგრამ, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ფაქტია, რომ ამ ლამის თავად კინემატოგრაფის თანატოლმა ჟანრმა, რომლის პირველი ნიმუშები შეგვიძლია ჟორჟ მელიესთან და ბრაიტონის სკოლის წარმომადგენლებთან აღმოვაჩინოთ, გაუძლო დროს და პერიოდულად საკმაოდ მოთხოვნადიც ხდება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კაცობრიობა გლობალური გამოწვევების წინაშე დგას.

ხშირად კატასტროფის ფილმების სიუჟეტი რეალური სტიქიური მოვლენებითა თუ ტექნიკური კატასტროფებით არის შთაგონებული, მაგრამ ზოგჯერ თავად ეს ფილმები ერთგვარად წინასწარმეტყველებენ მომავალს და მათში აღწერილი მოვლენები, გარკვეული სახეცვლილებით, რეალურადაც ხდება. მაგალითად, კორონავირუსის პანდემიის პერიოდში აქტუალური გახდა 2011 წელს გადაღებული ფილმი „ინფექცია“, რომლის სიუჟეტიც პრაქტიკულად 2020 წლის მოვლენებს იმეორებდა.

საინტერესოა, ერთგვარად გავყვით კატასტროფის ფილმის ჟანრის ევოლუციას, გავავლოთ პარალელები რეალურ მოვლენებსა და ამ სურათებში აღწერილ ამბებს შორის, რა დროს და რატომ აქტიურდება მოთხოვნა მსგავსი ხასიათის ფილმებზე, ვიმსჯელოთ იმ მიზეზებზე, რომლებიც განაპირობებენ თავად ჟანრის პოპულარობას.

მაია ლევანიძე,
ასოცირებული პროფესორი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

სულიერი, მორალურ-ზნეობრივი ღირებულებების სახეცვლა 21-ე საუკუნის კულტურაში

21-ე საუკუნე 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტით დაიწყო, რომელმაც ამერიკის, როგორც ზესახელმწიფოს მითი დაანგრია. ამ ფაქტს მოჰყვა მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება, ავღანეთის, ერაყის ომები, სამოქალაქო ომი სირიაში, განახლებული კონფლიქტები კავკასიაში, რევოლუციური მოვლენები პოსტსაბჭოთა სივრცეში და ა.შ დროში გაწეილ საომარ მოქმედებებს, აქტიურ დესტრუქციულ ცვლილებებს, მუდმივად ნეგატიურ გარემოში არსებობას 2020 წელს დაემატა ახალი ვირუსი, რომელსაც მსოფლიოში კოლოსალური რაოდენობის მსხვერპლი მოჰყვა. უხილავი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ადამიანებს გაუჩნდა ფიზიკური განადგურების შიში, დაუცველობის სინდრომი. გაჩნდა ამ გრძნობით გაერთიანებული მიკროსამყაროებში ჩაკეტილი საზოგადოება. ეს პროცესები ერთგვარად „დაავიღვივინა“ რუსეთ-უკრაინის ომმა, რომელმაც სამყარო ორ ნაწილად გაყო: რუსეთი და დანარჩენი მსოფლიო.

21-ე საუკუნის კულტურა, რეალობაში არსებულ პროცესებს სხვადასხვა ფორმით ასახავს, თუმცა ამ სხვადასხვაობაში შესაძლებელია ერთი გამაერთიანებელი „ნიშნის“ დანახვა. ატმოსფერო, განწყობა, გარემო, რომელიც სულ უფრო მწვავედ აყენებს ადამიანის შინაგანი, სულიერი კრიზისის თუ გრძნობათა, ტრადიციული ღირებულებების რადიკალური სახეცვლის საკითხს. როგორი გახდა 21-ე საუკუნის კატაკლიზმების ფონზე განვითარებული თანამედროვე საზოგადოება, ადამიანი, რა მორალურ-ზნეობრივი კატეგორიებით, ურთიერთობებით, გრძნობათა სპექტრით გამოირჩევა

ის? მიხეილ ჰანეკეს „სიყვარული“ (2012) ანდრეი ზვაგინცევის „უსიყვარულო“ (2017) და ჯონ ჰო ბონის „პარაზიტები“ (2019), ვფიქრობ, სხვადასხვა კულტურათა წიაღში შექმნილი ნამუშევრების ანალიზი საშუალებას იძლევა პასუხი გავცე ამ კითხვას.

ანდრონიკა მარტონოვა,
ასოცირებული პროფესორი,
კინოხელოვნების დეპარტამენტის ხელმძღვანელი,
ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების
კვლევითი ინსტიტუტი

სულისა და ბედნიერების ძიება შორეული აღმოსავლეთის კულტურებში

(გლობალური და პერსონალური სახეები თანამედროვე
ბულგარულ დოკუმენტურ კინოში)

წარმოდგენილი ნაშრომი მოიცავს რამდენიმე ბულგარულ დოკუმენტურ ფილმს, რომლებშიც განხილულია ბედნიერების ცნება და აღწერილია ბულგარელების მიგრაცია შორეულ და უცნობ ტერიტორიებზე. ნამუშევრები შექმნილია ახალგაზრდა და საყოველთაოდ აღიარებული ავტორების მიერ: ატანას კუცევის „ჭეშმარიტი ბედნიერება“ (2016), ბორისლავ კარამელსკისა და ანტონი კრასტევის „უხილავი ძაფები“ (2016), მარიო მარკოვის „გამარჯობა, პაპუა!“ (2009) და პანჩო ცანკოვის „ნიანგის გრძელი გზა“ (2011). ეს სათაურები წარმოადგენს როგორც შორეული აღმოსავლეთის კულტურულ მრავალფეროვნებას (ნეპალი, ინდოეთი, პაპუა-ახალი გვინეა), ასევე ასახავს ბულგარელს, როგორც ეგზოტიკურსა და განსხვავებულს. მიუხედავად იმისა, რომ სტილითა და რეჟისორული მიდგომებით ძალიან განსხვავებულია თითოეული მათგანი, ამ დოკუმენტურ ფილმებს მნიშვნელოვანი საერთო საფუძველიც აქვთ. მათში სწორედ

სულიერი ჰარმონიისა და ბედნიერების ძიების იდეაა გად-
მოცემული და ემსახურება განსხვავებების დაძლევის რე-
ლიგიური, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების
მხრივ. ზემოთ ხსენებულ დოკუმენტურ ფილმებში, აგრეთვე,
განსაკუთრებული აქცენტი კეთდება გლობალური სამყაროს
გამოწვევებზე: იდენტობისა და სულიერი წარმომავლობის
შენარჩუნება მზარდ მატერიალურ სამყაროში. ამავე დროს,
ისინი ეძებენ იმ ღირებულებებს, რომლებიც კი არ ყოფს,
არამედ აერთიანებს კაცობრიობას.

კინო და ტელევიზია, როგორც მასმედია, თავისუფალი
სივრცეა ხელოვნების სხვადასხვა სფეროთა, კულტურათა
და ფენომენტთა შორის კონტაქტისთვის (ფილმი სინკრე-
ტულია). კინოხელოვნება ადვილად ახდენს კულტურული
იდენტობის დეცენტრალიზაციას მისი დამაჯერებელი გახს-
ნით. ასევე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ზემოთ ხსენებული
ნამუშევარი ერთობლივი საქმიანობის შედეგს წარმოად-
გენს, რაც სხვადასხვა კულტურულ ფენთა სპეციფიკის გაც-
ნობის შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა.

ფილმებს აქვთ უნიკალური უნარი - გადალახონ ეროვ-
ნული და რეგიონული საზღვრები, გაეცნონ მაცურებელს
სხვადასხვა ტერიტორიაზე და ეკრანზე გამოსახულების წყა-
ლობით დაამყარონ კომუნიკაცია ზესახელმწიფოებსა და
ტრანსნაციონალურ სფეროებთან. ახალი საყოველთაო მა-
ყურებლის აღსანიშნავად არჯუან აპადრუიმ შეიმუშავა ტერ-
მინი „დეტერიტორიალიზებული“ მაცურებელი.

ლელა ოჩიაური,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

რუსული ტერორი საბჭოეთიდან დონბასამდე

კულტურის ისტორიაში არსებობს შემთხვევები, როდესაც ხელოვნების დამოუკიდებელი ნიმუშიც კი (და არა, დავუშვათ, მიმდინარეობები, მიმართულებები თუ პერიოდები) ქმნის ეპოქის პანორამას, მოვლენათა მასშტაბურ სურათს, მათ განზოგადებულ მოდელად იქცევა და ამით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება, ვთქვათ - პაბლო პიკასოს „გერნიკა“, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, ჩარლი ჩაპლინის „დიდი დიქტატორი“, რობერ ვინეს „ექიმ კალიგარის კაბინეტი“, რაინერ-ვერნერ ფასბინდერის „მარია ბრაუნის ქორწინება“ და სხვა და სხვა.

ხელოვნების ასეთი ნაწარმოებები სცილდებიან კონკრეტულ ჩარჩოებს, არ აღიქმებიან და არ განიხილებიან როგორც მხოლოდ ფილმი, ფერწერული თუ პროზაული ქმნილება, რადგან არსებული საზღვრები მათში მოქცეულ სათქმელს, პრობლემებს, კონცეფციებს ვერ იტყვენ და ყველაფერი სხვა მასშტაბში გადადის.

ასეთ შემთხვევებად შეიძლება განვიხილოთ ახალგაზრდა ლატვიელ პოლიტოლოგ, ისტორიკოს და რეჟისორ ედვინს შნორეს მრავალმხრივ გახმაურებული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური კინოსურათი, ფილმის ფორმატში მოქცეული ისტორიული დოკუმენტი, კვლევა-ანალიზი, „საბჭოეთის ისტორია“ (2008) და უკრაინელ რეჟისორ სერგეი ლომნიცას ასევე მრავალი კუთხით ცნობილი და აღიარებული, დოკუმენტურ-მხატვრული კინოსურათი „დონბასი“ (2018).

ხელოვნების ამ ნაწარმოებებს ვერ გავანალიზებთ მხოლოდ როგორც ფილმებს და მათზე, როგორც მხოლოდ „დამოუკიდებელ შემოქმედებით პროდუქტზე“ ვერ ვისაუბ-

რებთ, რეალობის ასახვის, პრობლემატიკის, ისტორიული და თანამედროვე კონტექსტის გამო. და ამავე დროს, რუსეთის ხელისუფლების მწვავე და აგრესიული რეაქციის მიხედვით. რაც ტოტალიტარული ქვეყნისთვის დამახასიათებელი ტერორის, აკრძალვის, ცენზურისა და მეტიც, ფილმებისა და რეჟისორების დევნის, პერსონა ნონ გრატად გამოცხადებისა და სიკვდილით მუქარაში გამოიხატა.

მანანა პაიჭაძე,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ბერნჰარდ შლინკის რომანი „წამკითხველი“ და მისი სტივიენ დოლდრისეული 2008 წლის კინოდაძახცია - დანაშაულის და სასჯელის რეჟისჟი

საკვანძო სტყვები: ბ. შლინკი, წამკითხველი, ქ. უინს ლეტი, რ. ფაინსი, სტ. დოლდრი, დ. კროსი

ბერნჰარდ შლინკი დიდი სახელია თანამედროვე გერმანულ ლიტერატურაში. პირველი პროფესიით იურისტი, სამართალმცოდნეობის პროფესორი, 13 წიგნის ავტორია. მაგრამ ჭეშმარიტად დიდი აღიარება ლიტერატურის ასპარეზზე მას მოუტანა 1995 წელს დაწერილმა რომანმა „წამკითხველი“ („Der Vorleser“). ეს ნაწარმოები თავისი ნარატოლოგიური ტექნიკით თითქოს არაფრითაა გამორჩეული - სადა, დინჯი, მშვიდი თხრობა, რომელიც არც ერთ მონაკვეთში არ კარგავს თავის ტემპო-რიტმიკას; ამასთან თემატური კოლიზიების სწრაფი და კონტრასტული დინება, მთავარი მოქმედი გმირების - მიხაელ ბერგის და ჰანნა შმიცის ხასიათების თანდათანობითი გაშლა და მათი ფსიქოტიპების სიღრმისეული არსის გაშლა. ამ ნაწარმოებ-

ში დანაშაულის და სასჯელის რეცეფცია უკავშირდება ჰანა შმიცის პიროვნებას. იგი ჩადის ორ დანაშაულს – 1. სექსუალურ ურთიერთობას ამყარებს არასრულწლოვანთან; 2. მეორე მსოფლიო ომის დროს SS-ის რიგებში ეწერება და საკონცენტრაციო ბანაკის ზედამხედველი ხდება. ჰანა შმიცის ფსიქოტიპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ანალფაბეტიზმი – წერა-კითხწერა-ვის უცოდინარობა. ანალფაბეტიზმის მიზეზი სხვადასხვაა – რიგ შემთხვევებში ეს შეზღუდულ შესაძლებლობებზეც მიგვანიშნებს. ჰანა შმიცის წერა-კითხვის უცოდინარობის მიზეზი არის მისი დაბალი სოციალური წარმომავლობა. ანალფაბეტები, როგორც წესი, მაღავენ ამ ფაქტს. ასევე იქცევა ჰანა შმიცი, რომელიც ამ ნაკლის დამალვის მსხვერპლი ხდება და მას სასამართლო პროცესზე მიუსჯიან უვადო თავისუფლების აღკვეთას. პატიმრობაში ყოფნისას ჰანა შმიცი იღებს აუდიოკასეტებს მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ჩანაწერებით, რომლებსაც მისთვის მიხაელ ბერგი კითხულობს. ამის წყალობით იგი მეტამორფოზს განიცდის – ის დაეუფლება წერა-კითხვას და გაიაზრებს თავის დანაშაულს, რის შედეგადაც ციხეში თავს ჩამოიხრჩობს. ის თავის ადგილს თანამედროვე რეალობაში ვეღარ ხედავს. ცნობილი ბრიტანელი თეატრისა და კინოს რეჟისორის სტივენ დოლდრის მიერ 2008 წელს გადაღებული კინო- ადაპტაცია თავისი ვარსკვლავური შემადგენლობით (ქეთი უინსლეთი, რალოფ ფაინსი, დავიდ კროსი) საკმაოდ ზუსტად მიყვება ლიტერატურულ პირველწყაროს. როგორც წიგნი, ისე ფილმი წარმოადგენს დიდ სასიყვარულო დრამას და პოლიტიკური და ანტიჰუმანური დანაშაულის ჩამდენის გასამართლების დრამას, რაც კარლ იასპერსის ცნობილი ლექციის „გერმანელთა დანაშაულის საკითხი“ (1946 წ.) ტრილში უნდა განვიხილოთ.

ნინო პოპიაშვილი,
ფილოლოგიის დოქტორი
შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ლოკალურიდან გლობალურამდე - კონფლიქტიდან ოპამდე ლიტერატურასა და კინოში

ომი ხელოვნებაში, ლიტერატურასა და კინოში აისახება როგორც ჰეროიკული აქცენტით, ისე ინდივიდების მიერ განცდილი ომის ტრაგიზმით, ანტიომის, მშვიდობის დისკურსით.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დამკვიდრებული ტერმინი, ომის ლიტერატურა აღნიშნავს ომით ინსპირირებულ ლიტერატურულ ტექსტებს, სადაც ომი გლობალური და ლოკალური პერსპექტივიდან არის ასახული. ომის ლიტერატურის კლასიკური ტექსტებია ერნესტ ჰემინგუეის „მშვიდობით, იარაღო!“, ერიხ მარია რემარკის „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ და სხვ. ამ ნაწარმოებებში ნაჩვენებია ომის ადამიანური სახე. ომის ლიტერატურის განვითარებული ტერმინები, ანტიომის ლიტერატურა და მშვიდობის ლიტერატურა ომის ტრაგიზმს კიდევ უფრო მძაფრად აჩვენებს.

ომი, როგორც აქტორი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში, მნიშვნელოვანი თემაა. თანამედროვე ქართველი მწერლის, თამარი ფხაკაძის მოთხრობა, „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“, რომელიც 2005 წელს გამოქვეყნდა. მასში ვითარება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მიმდინარეობს. მოთხრობის მთავარი გმირები ქართველი და ოსი მეზობლები, რობინზონა და ოლეგა არიან. გაუგებრად დაწყებულ ომს ოსი ოლეგა ემსხვერპლება. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ავტორმა შეცვალა მოთხრობის ფინალი, რაც სრულიად ცვლის ტექსტის ძირითად აქცენტს. შეცვლილი ფინალით ქართველი რობინზონაც კვდება. გმირის სიკვდილი კი ბოლო აბზაცში ერთგვარი მითოსური გარდასახვაა, რობინზონა წინაპრების დარგულ კაკლად გადაიქცა და თავის ბოსტანში გაუდგამს ფესვი.

„ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ დაიდგა მესხეთის სახელმწიფო თეატრში, დამდგმელი რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი. ხოლო 2021 წელს, რეჟისორმა ბესო სოლომანაშვილმა ამავე სახელწოდების ფილმი გადაიღო.

მოხსენებაში ვისაუბრებთ ომის მხატვრულ რეპრეზენტაციაზე ლიტერატურასა და კინოში, ყურადღებას გავამახვილებთ ომის ლიტერატურის, ანტიომისა და მშვიდობის ლიტერატურის კონტექსტებზე, ამასთან, ომის, როგორც მხატვრული ნაწარმოების ძირითად გმირსა და მთავარ აქტორზე, რომელიც ცვლის დასრულებული მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურას, შინაარსს, აზრს და ძირითად საკითხებს.

გიორგი რაზმაძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი

ბაშოვკევა კინოსა და პერფორმანსის მეთიუ ბარნის სახელით

ამერიკელი არტისტი მეთიუ ბარნი თავდაპირველად მხატვარი და პერფორმერი იყო, თუმცა მალევე ვიდეოარტის მედიუმში გადაინაცვლა. მისი ეს ტრანზიციია არ წარმოადგენდა რომელიმე დარგთან გამომშვიდობებას, ბარნი ინსტალაციებსა თუ პერფორმანსებს უბრალოდ რეალურ დროსა და სივრცეში კი აღარ ქმნიდა, არამედ ვიდეოს/კინოს გარემოში. ის პირველი არ იყო, ვინც ასე იქცეოდა, თუმცა მისი შემოქმედების მასშტაბურობამ და ინტენსივობამ ვიზუალურ ხელოვნებაში წამოჭრა უმნიშვნელოვანესი საკითხი, უპირველეს ყოვლისა, კინოს, ვიზუალური ხელოვნებისა და პერფორმანსის საზღვრების, მაშასადამე, თანამედროვე კონტექსტში ამ მედიუმების გადააზრების პრობლემა.

მეთიუ ბარნის „კრემასტერის“ ციკლი მეგა პერფორმანსია, რომელიც არსებობს და განიცდება მხოლოდ ვიდეო-არტის გარემოში. მისი შემდგომი პროექტებიც ხელოვნების საზღვრების დადგენას ეძღვნება. ამ დროისთვის ბოლო ნამუშევარი „რედუტი“ (2019) წინა ნამუშევრებისგან განსხვავებით, კინოსთან მეტად მიახლოებულია და არანარატიული კინოს დეფინიციის ქვეშ ექცევა, რომელშიც პერფორმანსიც სუფთა სახით აღარ გვხვდება. დიანასა და აქტეონის მითზე დაფუძნებული ფილმი გამოწვევაა როგორც კინოს ახალი შესაძლებლობების გააზრების კუთხით, აგრეთვე პერფორმანსის, ქორეოგრაფიის, მხატვრობისა და ინსტალაციის რემედიაციის გზების კვლევის თვალსაზრისითაც.

ქეთევან ტრაპაიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი

ზოგჯერ, რეალობა სულ სხვანაირია

უფრო შორეულ წარსულს თავი რომ დავანებოთ, XX საუკუნეში კაცობრიობამ არაერთი გლობალური კატასტროფა იწვნია. მათ შორის, რამდენიმე სახელმწიფო გადატრიალება, რევოლუცია, სამოქალაქო ომი, ადგილობრივ-ლოკალური თუ უფრო ფართომასშტაბიანი საომარ-საბრძოლო კონფლიქტი. რაც ყველაზე მთავარია, გასულ ათწლეულში გაჩაღდა ორი (პირველი 1914-1918 წლებში; მეორე - 1939-1945 წლებში) მსოფლიო ომი; მათ გამანადგურებელი შედეგები ჰქონდათ, დაიღუპა მილიონობით ადამიანი; დაინგრა და განადგურდა უამრავი დასახლებული პუნქტი, შენობა-ნაგებობანი (მათ შორის ისეთებიც, რომლებიც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში იყო შეტანილი). სა-

ერთოდ, თავისი არსებობის ისტორიის მანძილზე, კაცობრიობა არაერთხელ იდგა აპოკალიფსის წინაშე. იგივე სურათია დღესაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუნდაც კოვიდ-პანდემია და ომი უკრაინაში გავიხსენოთ...

მეორე მსოფლიო ომის დროს, საბრძოლო მოქმედებებში ჩართული ყველა ქვეყანა აქტიურად იყენებდა ისეთ მძლავრ პროპაგანდისტულ საშუალებას, როგორც არის კინემატოგრაფია. ხელისუფლება სწორედ ხელოვნების ამ დარგის მასობრიობას ანიჭებდა უპირატესობას. მისი მეშვეობით ცდილობდა საკუთარ მოსახლეობაში ერთსულოვნების მიღწევას. ამიტომ იდეოლოგიური დაკვეთა ფართო ტირაჟირებას უწევდა გმირობის ყოველ ცალკეულ გამოვლინებას. იქმნებოდა პათეტიკური, ჰეროიკული ფილმები. მაგრამ, ომის დამთავრების შემდეგ გავიდა გარკვეული დრო და კინემატოგრაფისტებმა სულ სხვა რაკურსით დაინახეს მაშინ მომხდარი, წინა პლანზე წამოვიდა თემა - ადამიანი ექსტრემალურ სიტუაციაში!. რამდენადაა შესაძლებელი ომის ჯოჯოხეთში ჭეშმარიტი ფასეულობების შენარჩუნება?!. აპოკალიფსის წინაშე მდგარნი, რომ არ ვკარგავთ ადამიანურ სახეს?!. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სწორედ ზემოაღნიშნულ პრობლემაზე. ავტორი ამ მიმართულებით განიხილავს რეზო ჩხეიძის ორი ფილმის (ჯარისკაცის მამა“, 1964 წელი და „ღიმილის ბიჭები“, 1969 წ.) რამდენიმე ეპიზოდს.

გიორგი ღვალაძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ასე სხოვრება შიძლება?

ყოველი ისტორიული ეპოქის საზოგადოებრივი ყოფიერების კონკრეტული მდგომარეობა შესაბამის კოლექტიურ ცნობიერებაში აისახება. მასში არ არის ისეთი რამ, რასაც აწმყოს ან წარსულის რეალურ ყოფაში სათავე არ ჰქონდა. ერთ-ერთი ასეთი მოვლენათაგანი იყო ბოროტების იმპერიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლა. ამ ფაქტიდან სამი ათეული წელზე ცოტა მეტი გავიდა. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მსოფლიოს ისტორია, უპირველეს ყოვლისა, კლასთა შორის დაპირისპირების ისტორიაა. თანამედროვე ეტაპზე და ცოტა უფრო ადრე, ე. წ. „ცივი ომის“ ეპოქაში, იგი ყველაზე უფრო შენიღბული, თვალთმაქცური საშუალება იყო, რადგან ამ ომის წარმოება სრულად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ და როგორ აშუქებდა მიმდინარე მოვლენებს

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამ ნათელი გახადა, რომ იმჟამინდელ იმპერიალიზმსა და სრულიად არაადამიანურ რეჟიმს ფაშიზმის სახით არ ძალუძდათ ომის გზით გადაეტრათ ეპოქის ძირითადი წინააღმდეგობა – რაც მაშინ, სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის დაპირისპირებაში ვლინდებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლა დააჩქარა მისი ლიდერების ფატალურმა შეცდომებმა და სისტემის არაქმედუნარიანობამ. რამდენიმე წელიწადში ხანდაზმულობითა და ავადმყოფობით ერთმანეთის მიყოლებით საიქიოს გაეშურნენ კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნები: ბრეჟნევი, ანდროპოვი და ჩერნენკო. მაშინდელ ვიცე-პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ უფროსს ყოველწლიურად უწევდა მოსკოვში ჩამოსვლა ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის სამძიმრის გამოსათქმელად.

ეს იდეოლოგიური დაპირისპირება დამთავრდა იმით, რომ 1991 წლის 12 დეკემბერს ბელოვეჟის მშვენიერ ნაკრძალში რუსეთის, უკრაინის, ბელარუსის ყაზახეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც „ბოროტების იმპერიად“ წოდებულმა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა არსებობა შეწყვიტა.

ეს შედეგი რომ დამდგარიყო, ამაში კინემატოგრაფისტებმაც დაიდეს წვლილი. ფილმი, რომელმაც საბოლოოდ ჩააჭედა ბოლო ლურსმანი სასიკვდილოდ განწირული იმპერიის კუბოში, გახლდათ სტანისლავ გავარუხინის „ასე ცხოვრება არ შეიძლება“. ეს კინოპუბლიცისტური ნამუშევარი დამნაშავეებსა და დანაშაულებზეა. ავტორი დამყაყებულ, ძირგამოთხრილ სისტემას ამათრახებს და სათქმელს პირდაპირ ამბობს. ეს რეჟისორის პირველი მცდელობა იყო ძალები მოესინჯა კინოდოკუმენტალისტიკაში. მხატვრულ კინემატოგრაფში მას უკვე ჰქონდა 30-წლიანი გამოცდილება.

ფილმში მოთხრობილი კრიმინალური „თავგადასავლები“ ერთი მეორეზე მძიმე მოსასმენი და სანახავია. ძნელია შეიკავო წონასწორობა, როდესაც ახალგაზრდა დედა მშვიდად გიყვება, როგორ დაახრჩო საკუთარი ჩვილი წყლიან ორმოში, როგორ მოკლა ახალგაზრდა ალკოჰოლიკმა მამა თავში ჩაქუჩის ჩარტყმით, მხოლოდ იმიტომ, რომ არყის საყიდელი ფული არ მისცა. ანაც კიდევ გონებასუსტი მოზარდი, რომელმაც განსაკუთრებული სისასტიკით მოკლა მილიციელი ქალი. ყოველივე ამის ჩვენებით ნათელია, რომ რეჟისორის მიზანია გააზრება იმისა, თუ რატომ დაკარგეს ადამიანებმა პიროვნული სახე და იქცნენ პირუტყვებად.

შემდგომ ირკვევა, რომ პროლეტარიატის ბელადი ლენინი თავისი 54 წლის სიცოცხლის მანძილზე ერთხელაც არ ყოფილა უკრაინის დედაქალაქ კიევში, თუმცა ამან ხელი არ შეუშალა იქაურ კომუნისტებს, „უფროსი ძმის“ - რუსეთის მითითებით იქ მისი სახელობის უზარმაზარი მუზეუმი აეგოთ. ეს ის კიევია, რომელსაც ასეთი ინტენსივობით და დაუნდობლობით ებრძვიან თანამედროვე ფაშისტები, რუსეთის მმარ-

თველობითი სისტემის და მათივე წითელი არმიის სახით. ეს ფაქტი რამდენადაც ჯიუტია, იმდენად – ირონიულია.

ის, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება ყველასათვის ნათელია, მაგრამ აქვე იბადება კითხვა, მაშ როგორღა უნდა იცხოვრო. ამაზე პასუხი გავარუხინს არ აქვს. მან ის იცის თუ როგორ არ უნდა იცხოვრო, რომელიც უკვე თავისთავად იმის ფორმულაა თუ როგორ უნდა იცხოვრო. რღვევის ენერგია ასევე შეიძლება იყოს ერთი კეთილშობილური იდეის ირგვლივ გაერთიანება. შემთხვევითი არ იყო – ფილმის დასრულებამდე რამდენიმე დღით ადრე ბერლინის კედელი დაინგრა. ბუნებრივია, ეს ეპოქალური მოვლენა ნამუშევარშიც აისახა. ამას წინ უძღოდა ჩაუშესკუს დიქტატორული რეჟიმის დაცემა, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება და წარმოუდგენელია.

მანუელა ჩერნატი,

დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ბუქარესტის კინოსა და თეატრის უნივერსიტეტი

**„ოდესა ცაცხლშია“ - რუმინული სრულმეტრაჟიანი
ფილმი, რომელსაც ადევს ცენზურა**

1918 წელს, ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო ხელშეკრულების რატიფიკაციისთვის გამოსვლაში, ლენინმა თქვა: „ისტორია გვასწავლის, რომ მშვიდობა არის საომარ მოქმედებათა შეწყვეტა ომის დროს, ხოლო ომი, რაღაც უკეთესი მშვიდობის მიღების საშუალებაა“. მას შემდეგ, ორჯერ, პირველად 1938 წელს, როდესაც სტალინმა ხელი მოაწერა საიდუმლო ხელშეკრულებას ჰიტლერთან და მეორედ, სამი თვის წინ, რუსეთი მიჰყვა იმ საშინელ პრინციპს, რომლის მიზანი იყო ჩვენი კონტინენტის დაპყრობა.

1945 წლის 1 იანვრის დილის საათებში, რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში, ყოფილმა პრემიერ მინისტრმა იულიუ

მანიუმ, გლახთა პარტიის პრეზიდენტმა, უმასპინძლა საგანგებო შეხვედრას ავერელ ჰარიმანთან, რომელიც იყო აშშ-ის ელჩი მოსკოვში, გენერალ კორტლენდ ვაენ რ. სკაილერთან, რომელიც იყო მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის ამერიკელი წევრი და ბერტონ ბერისთან, აშშ-ის ელჩთან რუმინეთში. თანამოსაუბრეების პოლიტიკური გულუბრყვილობითა და ფარისევლური სიმშვიდით შეძრწუნებულმა მოხუცმა იულიუ მანიუმ გააფრთხილა ისინი: „გვედრებით, არ ითამაშოთ ამ ველური იმპერიალისტების თამაში, ეს აზიური საწყობები, რომლებითაც „დატბორილია“ ევროპა თქვენი ქვეყნის მიერ მოწოდებული ფორდის მანქანებით. თუ რუსული იმპერიალიზმი დარჩება ადგილზე და თუ ევროპის ნახევარზე მეტი, მათ შორის ბალკანეთი დარჩება მის განკარგულებაში, გთხოვთ, ელჩო ჰარიმან, ჩემი სახელით უთხარიტ პრეზიდენტ ტრუმენს, რომ ის აგებს პასუხს მე-3 მსოფლიო ომის დაწყებაზე. ჩემი პარტია ვერ დაეთანხმება მოსკოვის გადაწყვეტილებებს, რომლებიც ყოველგვარი გარანტიის გარეშე გვტოვებს რუსეთის შეხედულებისამებრ. ჩვენ არ შეგვიძლია თვითმკვლელობა“.

იულიუს მანიუს წინასწარმეტყველება ახდა. ერთი წლის შემდეგ მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს და დაიღუპა სიგეტის ციხეში, რუმინეთის პოლიტიკური და კულტურული ელიტის განადგურების ადგილზე, ხოლო კონტინენტი მოიცვა „შავმა ჭირმა“. რუმინელმა პოლიტიკოსმა ვერ განჭვრიტა ის, რომ ნახევარი საუკუნის შემდეგ უახლესი ისტორია უხეშად, ყალბი სიტყვებით გადაიწერებოდა კომუნისტური პროპაგანდისა და ცენზურის მიერ, რომლის პირველი მსხვერპლიც კინო იყო. რუმინეთში 1944 წლამდე გამოშვებული ომის ფილმები ან სასტიკად განადგურდა, ან აკრძალული იყო მათი ჩვენება. სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმები „რუმინეთი ებრძვის ბოლშევიზმს“ და „ჩვენს წმინდა ომს“, აგრეთვე მხატვრული ფილმი „ოდესა ცეცხლშია“, მტკიცებულებები წითელი არმიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩადენილი სისასტიკეების შესახებ, ახლახან გაქრა. უახლოე-

სი წარსულის მთელი თავების წაშლით, ახლშექმნილი ძალა უკეთ აკონტროლებდა აწმყოს. კინოისტორიკოსთა ახალი თაობის ამოცანაა სამართლიანობის აღსრულება და ევროპული კინოს ისტორიის აღდგენა იმ ადგილზე, რომელზე ყოფნასაც იმსახურებს.

სამწუხაროდ, დღესდღეობით მხოლოდ დიდ კინოინდუსტრიებს შეუძლიათ ომის ფილმების წარმოება. ევროპის ამ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ახალი სახის ცენზურა უშლის კინორეჟისორებს ხელს ეკრანზე გამოიტანონ ის, რაც აკრძალული იყო 1989 წლამდე ან შემდგომ მძიმე წლებში. დღეისათვის პოლიტიკური ცენზურა შეცვალა ფინანსურმა ან პოლიტკორექტულობის ბარიერებმა. აქამდე ვერც ერთმა რეჟისორმა ვერ გაბედა ეკრანზე 1992 წლის სისხლიანი ბესარაბიის ომის ჩვენება.

მარიან ცუცუი,
პროფესორი, კინომცოდნე,
ჰიპერიონის უნივერსიტეტი (რუმინეთი)

უპოვებია გჟონდეს ცუდი იმიჯი თუ საერთოდ არ გჟონდეს?

რუმინელები ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას იმის თაობაზე, რომ ისინი ზერელედ და ნეგატიურად არიან წარმოდგენილი დასავლურ და ამერიკულ პრესაში, ლიტერატურასა და ფილმებში. მე-20 საუკუნეში მთავრობები ან, რიგ შემთხვევაში, მეფეებიც კი იყვნენ ფილმის შექმნის პროცესში ჩართულნი და ეს არ ეხებოდა მხოლოდ დოკუმენტურ ფილმებს, რაც აძლევდა მათ საშუალებას ხელი შეეწყოთ რუმინეთისთვის შესაფერისი იმიჯის შექმნაში. ამგვარად, პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი „რუმინეთის დამოუკიდებლობა“ (1912, გრიგორე ბრეგვანუ, არისტოდე დემეტრიადე), როგორც სათაურიდან ჩანს, ასახავს დამოუ-

კიდებლობის მოპოვებას 1878 წელს, შეიქმნა მეფე კაროლ I-ის მხარდაჭერით, რომელიც თავადაც ფიგურირებს ფილმში ჯარისა და ეროვნული თეატრის ზოგიერთ მსახიობთან ერთად და ფილმი დიდი წარმატებით სარგებლობდა როგორც ტრანსილვანიასა და ბუკოვინაში ავსტრია-უნგრეთის მმართველობის ქვეშ, აგრეთვე საზღვარგარეთ 1918 წლამდე. მეორე მხრივ, რუმინელმა თაღლითმა და ძვირფასეულობის ქურდმა ჯორჯე მანოლესკუმ (1871-1908) თავისი წვლილი შეიტანა გერმანიაში, საფრანგეთსა და აშშ-ში ფილმების გადაღებაში, რომლებმაც წარმოაჩინეს რუმინელის იმიჯი, როგორც არისტოკრატულად მიმზიდველი და სენტიმენტალური თაღლითისა. ცხადია, არ უნდა დაგვავიწყდეს ბრემ სტოკერის რომანი „დრაკულა“ (1897), რომელიც კინოში ყველა დროის მეორე ყველაზე ხშირად გამოყენებული პერსონაჟის წყარო იყო.

თუმცა საკითხავია, უმჯობესია თუ არა ნეგატიური იმიჯი, ვიდრე მისი საერთოდ უქონლობა. მიმაჩნია, რომ სჯობს გქონდეს იმიჯი, თუნდაც უარყოფითი, ვიდრე საერთოდ არ არსებობდე უნივერსალურ სამყაროში. იმავეს ადასტურებს ფილმში „სიყვარული პირველი კბენით“ (1979, სტენ დრაგოტი) – თავად დრაკულას ნათქვამიც: “ჩემ გარეშე ტრანსილვანია ისეთივე საინტერესო იქნება, როგორც ბუქარესტი ... ორშაბათს ღამით“.

თეო ხატიაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

საულის ვაჟი - ვერარტიკულირებული ტკივილის „ბარბაროსული“ გამოხატვა

მეოცე საუკუნემ, რომელშიც ემანსიპაციის ცნებასა და ჰუმანიზმზე დაფუძნებულ მოდერნულობის იდეას თითქოს ყველაზე წარმატებულად უნდა შესხმოდა ხორცი, იმავდროულად წარმოშვა, ძველი ტირანიებისგან განსხვავებით, იდეოლოგიებზე დაფუძნებული ტოტალიტარული რეჟიმები ახლებური, უსახო და ბიუროკრატიული ბოროტებით, რასაც ჰანა არენდტი ბოროტების ბანალურობას უწოდებს. ჰოლოკოსტი იცევა მეოცე საუკუნის ადამიანის ერთ-ერთ ყველაზე შემზარავ და მასშტაბურ გამოცდილებად, რომლის გადმოცემა - ადორნოს ტერმინი რომ გამოვიყენოთ - შესაძლებელია მხოლოდ „ბარბაროსული“ ენით. „აუშვიცის მერე პოემიის წერა არის ბარბაროსობა/შეუძლებელი“ ნიშნავს არა იმდენად იმას, რომ ჰოლოკოსტის რეპრეზენტირება შეუძლებელია ან შესაძლებელია მხოლოდ ლინგვისტური სინუმიტ ანდაც უბრალოდ ამორალურია - როგორადაც ხშირად არის წაკითხული, არამედ იმას, რომ შესაძლებელია მხოლოდ უხეში, შემაწუხებელი, უხერხულობის შემქმნელი ენით.

უნგრელი რეჟისორის, ლასლო ნემეშის „საულის ვაჟი“ ამგვარი წერის შესანიშნავი ნიმუშია. რეჟისორი აუშვიცის ტრაგედიის გადმოსაცემად არ მიმართავს დრამატურგიულად დატვირთულ ნარატივს; ამისთვის ის ყველა კინემატოგრაფიულ კომპონენტს ისე გამოიყენებს, რომ დისკომფორტი შეგიქმნას:

1. აუშვიცის ჯოჯოხეთური რუტინა დაძაბული, შეუნელებელი ტემპით აისახება, რომელიც არ გაძლევს ამოსუნთქვის საშუალებას და სულის შეხუთვისა თუ თავბრუსხვევის შეგრძნებას გიტოვებს.

2. კადრში მოქმედება უკანა პლანზეა გადატანილი, გამო-სახულება გადაბნეული, მაცურებელი დაძაბული ცდი-ლობს, გაარჩიოს, რა ხდება იქ, უკან.
3. ერთადერთი ფოკუსირებული პერსონაჟია ზონდერ-კომანდო საული, რომლის ნერვიულ მოძრაობებს „აკიდებული“ ექსპრესიული კამერა მაცურებელშიც ფო-რიაქს იწვევს.
4. არადიეგეტური ხმა/ხმაურები ქაოსური, ფრაგმენტული და მოზუზუნია.
ამ ხერხებით იბადება „ჰოლოკოსტის ბუტბუტი“, „ბარბაროსული“ ენა, რომლითაც ლასლო ნემეში ქმნის ტო-ტალური განადგურების, აბსოლუტური დესტრუქციულობის სურათს, სადაც ყველაფერი ქაოსშია გახვეული.

ხელოვნებათმცოდნეობა

ძალაუფლება და ორნამენტის კამეგორიები

მოხსენების მიზანია, ორნამენტის თეორიის ჭრილში განვიხილოთ, თუ როგორ ხდება ძალაუფლებისადმი დამოკიდებულების გამოვლენა სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების ნიმუშებში.

მოხსენების თეორიული ნაწილი მოიცავს ორნამენტის თეორეტიკოს გ. ზემპერის, ხელოვნებათმცოდნე ე. გომბრიხის და ფილოსოფოს ჟ. დერიდას ორნამენტის თეორიების გააზრების ფონზე ორნამენტის კატეგორიებისა და მათი გამოყენების შესაძლებლობის განხილვას კონკრეტული ნამუშევრების ანალიზის დროს.

ანთროპო-ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, ორნამენტის კატეგორიების მიგრაციას და მასალაში ლოგიკური სტრუქტურის აპრიორი მოცემულობას გ. ზემპერის პრაქტიკული ესთეტიკა ავლენს. ე. გომბრიხის ორნამენტის თეორია წესრიგის აპრიორულ შეგრძნებას გულისხმობს, რომლისგანაც მომდინარეობს ადამიანის ჩვევა და რომლის ფონზეც წესრიგისა და უწესრიგობის დიქტომია იშლება. ორნამენტის უკიდველობაში ჩართვის თემას ხსნის ჟ. დერიდაც „მიზანაბიმის“ (წყვილიაღში მოქცევა) ცნებით და კოლონა/კოლოსის დიალექტიკის ფონზე „ეკონომიმების“ კონცეფციებზე მიუთითებს.

ორნამენტის კატეგორიები, როგორებიცაა წესი, ჩარჩო, რიგი, წესრიგი, რიტმი, ზომა და მეტრი, სერიულობა და პატერნულობა, ვლინდება ანტიკურ არქიტექტურაში, კერძოდ, კი ბერძნულ ორდერში (ორდერ წესდება/წესრიგს ნიშნავს). ანტიკურ ორდერებში მოქმედებს გარკვეული დადგენილი კანონები, რომლებიც წესრიგს ქმნის. ნებისმიერ ორდერს ახასიათებს რიტმულობა (სვეტებისა და სხვა ელემენტების რიტმული განმეორება), სერიულობა (ცალკეული მსგავსი

ელემენტების გამოყენება), ზომა (ელემენტების პროპორციული ურთიერთშეთანხმება) და ასევე ამ ორდერების სტრუქტურა იერარქიული პრინციპით იგება. ამდენად, ანტიკური არქიტექტურის სტრუქტურა ორნამენტის კატეგორიებით იგება. რომაულ არქიტექტურაში განსაკუთრებულად იკვეთება იერარქიულობის პრინციპი. რომაული სვეტის/ბურჯის/კოლონის წარმოშობა სავარაუდოდ უკავშირდება ე.წ. ფასციას, რომელიც შეკონილი ღეროებისა და ნაჯახისაგან შედგებოდა და ეტრუსკულ-რომაულ კულტურაში ძალაუფლების სიმბოლოს წარმოადგენდა.

ორნამენტის ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიები რომ ყველა ეპოქაში ხელოვნების ყველა დარგში ვლინდება, კარგად ჩანს თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების ანალიზის შედეგად. ამის გათვალსაზრისათვის ჩვენ განვიხილავთ პ. ოცხელისა და თანამედროვე გერმანელი არტისტის, პ. მოენიგის რამდენიმე ნამუშევარს, რომელთა ანალიზი ცხადყოფს ორნამენტის პრინციპებისა და კატეგორიების გამოყენებას და წარმოაჩენს მათ დამოკიდებულებას ძალაუფლების თემისადმი.

ამგვარად, ორნამენტის კატეგორიები უნივერსალურია, ხელოვნების ნებისმიერ დარგში მოქმედებს და გარკვეულწილად ასახავს ხელოვანის, საზოგადოების, ეპოქის ძალაუფლებისადმი დამოკიდებულებას.

ნატო გენგიური,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი

**ომის დეჰროიზაცია ქართულ საბჭოთა
მოდერნიზმის ეპოქის ქანდაკებაში**
(ვაჟა მელიქიშვილის ხსოვნის კუბი სენაკში)

„დიდი ომი ... სტიქიურ ძალას ემსგავსება, დიდი წარღ-
ვნის ტოლია“ – წერდა მოქანდაკე ვაჟა მელიქიშვილი, რო-
ცა „ხსოვნის კუბს“ ქმნიდა. „ხსოვნის კუბი“, როგორც მეორე
მსოფილო ომისადმი მიძღვნილი მემორიალი, საქართვე-
ლოს პატარა ქალაქ სენაკში დაიდგა ჯერ კიდევ საბჭოთა პე-
რიოდში (1977-1982), თუმცა მასში გამოვლენილი ომის გან-
სხვავებული, „არასაბჭოური“ ხედვა აშკარად ჩანს. ჩვენ ამ
დავიწყებულ მონუმენტზე ვამახვილებთ ყურადღებას. მას
განვიხილავთ იმ მემორიალური ქანდაკებების კონტექსტ-
ში, რომელიც საბჭოთა პერიოდის საქართველოში შეიქმნა
და მიძღვნა მეორე მსოფლიო ომის (საბჭოთა კავშირში
– „დიდ სამამულო ომის“ სახელწოდებით ცნობილი). ისეთ
იდეოლოგიურ ქვეყანაში, როგორც საბჭოთა კავშირი იყო,
ომის თემაც მკაცრად რეგლამენტირებული გახდა და მი-
სი იდეოლოგიისთვის მისაღები ასახვა, ყველაზე თვალსა-
ჩინოდ ომისადმი მიძღვნილ მემორიალურ სკულპტურაში
გამოვლინდა. საბჭოთა იდეოლოგიურ ხელოვნებაში ომი-
სადმი მიძღვნილი მონუმენტების თემები – გმირი საბჭოთა
ჯარისკაცის სახე, მტრის მიმართ უღმობლობა, გმირული
წარსული, გამარჯვების პათოსი, საბჭოთა მოდერნიზმის
ეპოქის ქართულ ქანდაკებაში (მ. ბერძენიშვილი, ე. ამაშუ-
კელის მონუმენტები) განსხვავებული აქცენტებით იცვლება.
ვაჟა მელიქიშვილის ხსოვნის კუბში კი არა მხოლოდ იდეა
და შინაარსი, არამედ გამოსახვის ფორმაც მკვეთრად ახლე-
ბურ მხატვრულ ხედვაში ხორცშესმული წარმოგვიდგება.

ირმა დოლიძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის
დირექტორი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-
კვლევითი ინსტიტუტი

საოკუპაციო ხაზთან

ომები, ბუნებრივი კატაკლიზმები, პანდემიები ყოველთვის რჩება კაცობრიობის უმთავრეს გამოწვევებად. გამონაკლისი, ამ მხრივ, არც XXI საუკუნე აღმოჩნდა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველომ ურთულესი პერიოდები განვლო - რამდენიმე ომი, ოკუპირებული ტერიტორიები, მავთულხლართებით გავლებული „საზღვრები“, დაცლილი სოფლები და ქალაქები, ათეულ ათასობით დევნილი მოსახლეობა, ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ დაწესებული თვითნებური რეჟიმები მოქალაქეებზე მუდმივი ზეწოლით საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს. მცოცავი ოკუპაცია, რომელიც დღესაც ჩვენი რეალობის შემადგენელია.

ადამიანების ტრაგიკული ისტორიებით გაჯერებული უახლესი წარსული დღეს უკრაინაში განვითარებული მოვლენებით გაცოცხლდა. თანამედროვე ტექნოლოგიები ომის მიმდინარეობის თვითმხილველებს გვხდის - თვალს ვადევნებთ ტელეეკრანებიდან, სოციალური ქსელებით, პირდაპირ ეთერში. მსგავსი გამოცდილება კაცობრიობას აქამდე არ ჰქონია. 1992 ან 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომების დროს ინფორმაციის მსგავსად გავრცელება-გაზიარების შესაძლებლობა რომ ყოფილიყო, დღეს, სავარაუდოდ, სხვა რეალობაში ვიცხოვრებდით და, სავარაუდოდ, არც რუსეთ-უკრაინის ომი იქნებოდა ასობით და ათასობით მსხვერპლით.

საომარ ვითარებაშიც საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები მოქმედებს და ყველა სფე-

როს მოიცავს. მათ შორისაა კულტურული მემკვიდრეობა: ძეგლები, ობიექტები, მუზეუმები. 1954 წლის ჰააგის კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ და მისი ოქმები (1954 და 1999) ადგენს მხარეთა პასუხისმგებლობებს მსგავს ვითარებაში. მაგრამ რა ხდება საომარი მოქმედებების შემდეგ? ჩვენს სინამდვილეში რუსეთის მიერ ოკუპირებული დასახლებები ცხინვალის რეგიონში „საოკუპაციო ხაზითაა“ გამოჯნული. ქვეყნის ოკუპირებულ ნაწილში საქართველოს მოქალაქეებისათვის გადაადგილება აკრძალულია. იქ მიმდინარე პროცესებზე წვდომა მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობითაა შესაძლებელი. მიძიმე ვითარებაა ე.წ. „საოკუპაციო ხაზთან“ – მცოცავი ოკუპაციის, მოქალაქეთა გატაცების, დატყვევებისა და სხვადასხვა ინციდენტთა ჩათვლით.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ სოფელ ოძისში (დუშეთის მუნიციპალიტეტი) მდებარე, XIX საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, მამა-შვილის, გიორგი და დავით ერისთავების სახლ-მუზეუმი საოკუპაციო ხაზიდან 500 მეტრში აღმოჩნდა, XIX საუკუნის დასაწყისში აგებულ ერისთავების სასახლეში (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი) მუზეუმი 1961 წლიდან ფუნქციონირებს და ერისთავების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ უაღრესად საინტერესო კოლექციებს აერთიანებს.

რა გამოწვევების წინაშეა საოკუპაციო ხაზთან მდებარე მუზეუმი? რა გამოარჩევს მას სხვათაგან? როგორია მისი როლი და მნიშვნელობა?

ეკატერინა კენიგსბერგი,
ბელარუსის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის
ასოცირებული პროფესორი

**იაპონური თანამედროვე ხელოვნების
ტრიენალეების გლობალური და ლოკალური
კონთექსტი**

იაპონიაში თანამედროვე ხელოვნების მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება იმართება, როგორებიცაა „Setouchi Triennale“, „Ichiara ArtxMix“, „Echigo-Tsumari Art Triennale“, „Oku-Noto Triennale“, „The Northern Japan Alps Art Festival“. ფრამ კიტაგავა, ამ ხუთი ტრიენალეს გენერალური დირექტორი, რომელსაც მრავალწლიანი და წარმატებული გამოცდილება აქვს მნიშვნელოვანი საერთაშორისო კულტურული ღონისძიებების მართვაში, იწვევს კურატორებს ინდივიდუალური გამოფენებისა თუ პროექტებისთვის და კოორდინაციას უწევს ადგილობრივი და საერთაშორისო ხელოვნების მონაწილეობას.

„Echigo-Tsumari Art Triennale“ 2000 წლით თარიღდება. ფრამ კიტაგავა მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია: „უნივერსალური სივრცისგან განსხვავებული სივრცეების აღმოჩენა ხელოვნების ნიმუშების საშუალებით, რომლებიც საბოლოოდ ხსნიან ეჩიგო-ცუმარის რეგიონის მომავალს“.

„Setouchi Triennale“-ს კურატორული გუნდისა და მოწვეული მხატვრების მისიაა გამოავლინონ და გამოკვეთონ თითოეული კუნძულის უნიკალურობა და ინდივიდუალურობა რეგიონსა და იაპონიის შიგა ზღვის მიმდებარე კუნძულებზე. ფრამ კიტაგავა „სეტუჩის ტრიენალეს“ „ჩვენი დნმ-ის აღმოსაჩენ მოგზაურობას“ უწოდებს.

„Ichiara ArtxMix“, რომელიც 2014 წელს დაიწყო, მიჩნეულია როგორც ხელოვნების ახალი სახეობის ფესტივალი, სადაც თანამედროვე ხელოვნება ჰარმონიულად ერწყმის გარემოს: ბუნება და ტრადიცია, შესაძლებლობები და ისტორია, კულტურა და სარკინიგზო ინფრასტრუქტურა, რომე-

ლიც ტრიენალეს ცენტრებს/ლოკაციებს აერთიანებს.

„Oku-Noto Triennale“, რომელიც 2017 წლიდან იმართება, იაპონიის იზოლირებული ტერიტორიის ადგილობრივ საზოგადოებასა და თანამედროვე ხელოვანებს შორის ურთიერთქმედების იდეას ეფუძნება და თავს იმკვიდრებს როგორც ხელოვნების უმნიშვნელოვანესი ფესტივალი მსოფლიოს უკიდურეს ნაწილში.

„The Northern Japan Alps Art Festival“, რომელიც აგრეთვე 2017 წლიდან იმართება, მიზნად ისახავს ქალაქ ომაჩის (ნაგანოს პრეფექტურა) შემოგარენის ხიბლის აღდგენასა და გამოცოცხლებას თანამედროვე ხელოვნების მრავალფეროვანი ღონისძიებების ჩატარების საშუალებით.

ამგვარად, ხუთივე ტრიენალეს აერთიანებს ადგილობრივი კონტექსტი და თანამედროვე ხელოვნება. ცნობილი კურატორების მიერ შექმნილი და რეგულარულად ჩატარებული თანამედროვე ხელოვნების პროექტები, რომლებიც დამთვალეიერებელთა დიდ რაოდენობას იზიდავს, ხელს უწყობს ტერიტორიების კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებას. ქვეყნის შემოქმედებითი თემები ხელოვნების გლობალური მსჯელობის ნაწილი ხდება.

ანა კლდიაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ხელოვნება „წინასწარმთქველეს“

(ლია ბაგრატიონის გამოფენა „ვარდნის საშიშროება“)

მოხსენებაში განხილულია თანამედროვე ქართველი არტისტის - ლია ბაგრატიონის გამოფენა „ვარდნის საშიშროება“, რომელიც 2021 წლის დეკემბერში თბილისში გაიმართა. გამოფენის კონცეფცია ე.წ. რბილი ქანდაკების პრინციპს ეფუძნება.

„რბილი ქანდაკება“ სიახლე როდია თანამედროვე

მსოფლიო სახელოვნებო სივრცეში; დასავლურ ხელოვნებაში მისი უამრავი ნიმუში არსებობს, თუმცა ღია ბაგრატიონი ამ სფეროში სრულიად ახალ კონცეპტუალურ-საზრისობრივ შრეს ხსნის.

არტიისტი თავად მასალას „ამეტყველებს“ და მის სირბილეს გამოფენის კონცეფციის/საზრისის საფუძვლად აქცევს. ერთი შეხედვით, სრულიად რეალურად წარმოდგენილ რუხი ფერის პარალონისაგან დამზადებულ საყოფაცხოვრებო ნივთებს (სკამები, მაგიდა, სავარძელი, კიბე და სხვ.) დაკარგული აქვთ ფუნქცია; ისინი არსებობენ, მაგრამ მათ ვერ გამოიყენებ. მასალის სირბილის გამო, მნახველში არამდგრადობის, აბსურდულობის, მერყეობის და, შესაბამისად, ვარდნის განცდას ბადებს.

ამ ინსტალაციების სოციალურ, პოლიტიკურ, მორალურ-ფსიქოლოგიურ ჭრილში განხილვა წარმოაჩენს, რომ არტიისტი მიგვითითებს უკანასკნელ რამდენიმე ათწლეულში საზოგადოებაში გაბატონებულ მოქნილობაზე, ინსტიტუციათა „სირბილეზე“, მოჩვენებით ლოიალობასა და უფლებათა და თავისუფლებათა ფორმალურ დაცვაზე, რაც სინამდვილეში კაცობრიობის მიერ გამომუშავებულ მარადიულ ღირებულებათა შესუსტებას, ან სულაც გაუქმებას ნიღბავს და, საბოლოოდ, ძალაუფლების პრობლემას წამოსწევს წინ. ლ. ბაგრატიონი მეტაფორულად ასახავს თანამედროვე საზოგადოების ამ მდგომარეობას და მის უსასრულო ვარდნას, დაცემას აფიქსირებს, რაც საშუალებას გვაძლევს, ვთქვათ, რომ არტიისტი ამ ინსტალაციებით, ერთი მხრივ, პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებელ „კრიზისის კონსტატაციას“ ახდენს, მეორე მხრივ კი, ამ მდგომარეობიდან გამოსავალსაც გვთავაზობს, რითაც პოსტმოდერნიზმის ფარგლებს სცდება და ახალი პარადიგმის – მყარ ღირებულებათა მოხელთებისა და დამკვიდრების ჩანასახებსაც მონიშნავს. ამ მხრივ, ეს ნამუშევარი ერთგვარად „წინასწარმეტყველებდა“ დამკვიდრებული პარადიგმის ცვლილებას, რაც გაცხადდა კიდევ უკრაინის ომის ფონზე არსებული მსოფლიო წესრიგის რღვევით.

დავით ნიორაძე,
ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი,
ქართველოლოგიური სახლის მკვლევარი

**ბუნების დამორჩილების იდეა
1920-1930-იანი წლების ქართულ საბჭოთა
ხელოვნებაში**

(ზაჰესის მშენებლობის მაგალითზე)

ინდუსტრიალიზაცია - პროპაგანდისტული საბჭოთა ხელოვნების ერთ-ერთი უმთავრესი თემა იყო. მასშტაბური მშენებლობები საუკეთესოდ გამოხატავდა „საბჭოთა ადამიანის“ მიერ ბუნების დამორჩილების, მასზე გამარჯვების და მისი გმირული სულისკვეთების იდეას, რაც იდეოლოგიური ხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა გახდა. შთაბეჭდილებას ქვეყნის სწრაფ განვითარებაზე ქმნიდა ვ. ი. ლენინის მიერ პრიორიტეტულად დასახული ელექტროფიკაციის პროცესი და მასთან დაკავშირებული მშენებლობები მთელი კავშირის მასშტაბით, რომელიც ფართოდ აისახა საბჭოთა, მათ შორის ქართულ სახვით ხელოვნებაშიც.

საბჭოთა საქართველოს ელექტროფიკაციის საკვანძო პროექტი - ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური - ზაჰესი, რომელიც 1923-1927 წლებში შენდებოდა, დიდი ხნის განმავლობაში იქცა ქართული მხატვრობის, ქანდაკების, კინოს, ფოტოგრაფიის, ლიტერატურის, მუსიკის და თეატრის ერთ-ერთ მთავარ თემად. თითოეული დარგი საკუთარი მხატვრული ენით ასახავდა მშენებლობის პროცესს და შესაბამის მხატვრულ-იდეოლოგიური გზავნილების გადმოცემას ემსახურებოდა.

ლალი ოსეფაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი

მკურნალ ნმიდანთა გამოსახულებანი ქართულ ხელოვნებაში

ქართულ სახვით ხელოვნებაში უძველესი დროიდან მოყოლებული კურნების თემას დიდი ადგილი ეთმობოდა, რადგან ეპიდემია, სნეულება საზოგადოების ყველა წევრს გამოწვევის წინაშე აყენებს. არქეოლოგიური მასალებით ირკვევა, რომ საქართველოს ძირძველი მოსახლეობა გარკვეულ სამედიცინო ცოდნას ფლობდა, გააჩნდათ ზოგიერთი იარაღი, რომელთაც სამედიცინო დანიშნულება ჰქონდა (მაგალითისათვის მოვიტან საკაჟიას გამოქვაბულში აღმოჩენილ ცხოველის თავის ტვინისა და ქონის ნაზავს, რომელიც სამკურნალო მაღამოდაა მიჩნეული). კაცობრიობის განვითარების ყოველ ეტაპზე მოიძიება სამკურნალო საშუალებები, შუა საუკუნეებში კი, სენტან ბრძოლა თვით სახარებაში ჰპოვებს ასახვას. ქრისტეს, როგორც სასწაულთმოქმედის ფენომენს 2000-წლოვანი ისტორია აქვს, ხოლო ვიზუალური მასალა ქართულ ხელოვნებაში პირველად ჯრუჭის I ოთხთავში დასტურდება, შესაძლოა, არსებობდა უფრო ძველი პროტოტიპი, რომლითაც ხელმძღვანელობდა ამ ოთხთავის მხატვარი - კამარათმწერალი თევდორე; XII-XIV სს. ქართულ დასურათებულ ოთხთავებში ქრისტეს ცხოვრების ამსახველ სიუჟეტებს ასევე ახლავს მის მიერ განკურნებათა თემები და სცენები.

განკურნებათა თემა ქრისტიანულ ხელოვნებაში, მხოლოდ ქრისტეს როდი უკავშირდება, ქრისტიანი წმიდანები კურნების მაღლით არიან აღსავსენი და ვითარცა მკურნალნი ქრისტიანული ეკლესიების კედლებზე, ხატებზე თუ ხელ-

ნაწერთა მინიატიურებში იკავებენ ადგილს. შევეცდები ნაშრომში წარმოვაჩინო წმ. ბარბარეს, წმ. პანტელეიმონის, წმ. კოზმას და წმ. დამიანეს გამოსახულებები.

მართლმადიდებლურ აღმოსავლეთში ძველადვე გავრცელებულა რწმენა წმიდა ბარბარეს შესახებ. იგი ითვლებოდა სხვადასხვა სენისაგან მკურნალად და ავადმყოფობისგან მფარველად და დამცველად. წმიდა ბარბარეს გამოსახულებანი ქართულ ხელოვნებაში, უმეტესად სვანეთის ეკლესიათა კედლის მხატვრობასა და ჭედურ და ფერწერულ ხატებზე გვხვდება. ამათგან უადრესი XI საუკუნის დასაწყისით თარიღდება.

ასევე ქართულ კედლის მხატვრობაში XIII საუკუნის დასაწყისით თარიღდება კაზრეთის წმიდა სამების ეკლესიის მოხატულობა, რომლის ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი - „ზიარების“ ქვემოთ, საკურთხევლის ცენტრისკენ მიმართული, ეკლესიის მამების გამოსახულებებია გრაგნილებითურთ, ხოლო სარკმლის წირთხლებზე წმიდა დიაკვნების - კოზმან (N) და დამიანეს (O) ფიგურები.

შევეცდები ნაშრომში ვაჩვენო, ასევე, ბიზანტიური ნიმუშებიც, სადაც ანალოგიურად გამოსახებოდნენ წმ. ბარბარე, წმ. პანტელეიმონი, წმ. კოზმა და წმ. დამიანე. მაგ. 1100 წლით დათარიღებულ სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტრის ხატზე ერთად არიან წარმოდგენილნი წმ. პანტელეიმონი, წმ. კოზმა და წმ. დამიანე, ვითარცა მკურნალნი.

და ბოლოს, შევეცდები განვიხილო თამარ გოჩიაშვილის მიერ დაწერილი და ოქრომჭედელ გიორგი (გეგი) ქურდიანის მიერ მოჭედილი ხატი, სადაც წარმოდგენილნი არიან ის წმიდანნი, რომელთაც ჟამიანობისას ევედრებოდნენ ხოლმე; შეასრულეს ორი რედაქცია, ვრცელი (15 წმიდანით) და მცირე (9 წმიდანით).

ნაშრომი იმით წარმოადგენს სიახლეს, რომ ასე ერთად იქნება თავმოყრილი მკურნალ წმიდანთა გამოსახულებანი, რომელთა მეოხება საუკუნეთა სიღრმეებიდან თანამედროვეობას სწვდება.

ქეთევან ოჩიკიძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხელოვნებათმცოდნეობის
მიმართულების დოქტორანტი, ასისტენტი

„დღე განკითხვისა“ პარადიგმა აღმოსავლეთ და დასავლეთქრისტიანული ტაძრების რელიეფურ ქანდაკებაში

შუა საუკუნეების განმავლობაში მძაფრი იყო ინტერესი და მოლოდინი მეორედ მოსვლისა, განსაკუთრებით ბუნებრივი კატაკლიზმების, ომიანობისა თუ ჟამიანობის დროს. აქედან გამომდინარე, შუა საუკუნეების ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება სამყაროს აღსასრულის მოლოდინით იყო განმსჭვალული და სულის გადარჩენაზე მუდმივ ზრუნვას განაპირობებდა. ადამიანებს ჰქონდათ იმედი გადარჩენისა, „ახალი წესრიგის“ დამყარებისა, აპოკალიფსისის შემდეგ.

აღნიშნული პროცესი იყო ყოვლისმომცველი და გლობალური. მეორედ მოსვლისა და განკითხვის თემებისადმი ინტერესი გამომჟღავნდა როგორც მედიევალურ სახვით ხელოვნებასა და ქანდაკებაში, ისე - ლიტერატურაშიც. დაიწერა სპეციალური თხზულებები, რომლებშიც ცდილობდნენ გამოეთვალათ სამყაროს კოსმოსური აღსასრულის თარიღი, რის შემდეგაც დადგებოდა დაუსრულებელი ცხოვრების ეტაპი.

ესქატოლოგიური ინტერესი აღმოსავლეთ და დასავლეთქრისტიანული ქვეყნების შუა საუკუნეების ხელოვნებაში - მონუმენტურ მხატვრობაში, რელიეფურ ქანდაკებაში, წიგნის ილუსტრაციაში არაერთგვაროვნად გამოვლინდა. ქართული ქრისტიანული ცნობიერება, აღმოსავლეთქრისტიანულისათვის დამახასიათებელი ლაკონიური მანერით, სიმბოლოების მეშვეობით გადმოსცემს სათქმელს რელიეფურ მქანდაკებლობაში, რითაც უპირისპირდება დასავლეთქრისტიანული ტაძრების ტიმპანებზე განფენილ თხრო-

ბით ციკლებს. აქ დეტალურად არის გადმოცემული „დღე განკითხვისა“, მსჯავრი და საიქიო ცხოვრება.

აღმოსავლეთქრისტიანული (ქართული, სომხური, სლავური) და დასავლეთქრისტიანული (ფრანგული, გერმანული) ტაძრების „დღე განკითხვისას“ რელიეფური მაგალითების შესწავლის საფუძველზე, ცხადი ხდება, რომ ქრისტიანობის საყოველთაო დოგმატი - ქრისტეს მეორედ მოსვლა, უკანასკნელი მსჯავრი და მისი ესქატოლოგიური საზრისი, ორივე შემთხვევაში, განსხვავებულად არის გააზრებული და თავისებური მხატვრულ-კომპოზიციური აგებულებით გამოირჩევა.

შორენა ფხაკაძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი

მდგრადი განვითარების მიზნებისა და სახელოვნებო-კულტურული მემკვიდრეობის საკითხისათვის

გლობალური გამოწვევები ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროში იჩენს თავს და რა თქმა უნდა, არც კულტურა და ხელოვნება გამონაკლისი. მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ მსჯელობას ვაწყდებით ყოველ ნაბიჯზე, განვიხილავთ, ვკამათობთ და საბოლოოდ ვთანხმდებით, რომ გლობალური გამოწვევები ნამდვილად ეხება თითოეულ ჩვენგანს.

როდესაც ვსაუბრობთ მდგრადი განვითარების 17 მიზანზე, უნდა აღინიშნოს, რომ ის პირდაპირ არის ნახსენები მე-4 მიზნის მე-11 ინდიკატორში: „მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობების დაცვა და დაცვის მცდელობების გაძლიერება“, მაგრამ კულტურა განიხილება, როგორც გამჭოლი თემა, რადგან ის გავლენას ახდენს რამდენიმე მიზანზე ერთდროულად. ესენია:

- გარემო და მდგრადობა (მიზნები 11.4 კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა, 11.7 ინკლუზიური საჯარო სივრცეები, 12.ბ მდგრადი ტურიზმის მართვა, 16.4 მოპარული აქტივების აღდგენა);
- კეთილდღეობა და საარსებო წყარო (მიზნები 8.3 სამუშაო ადგილები, მეწარმეობა და ინოვაციები; 8.9 პოლიტიკა მდგრადი ტურიზმისათვის);
- ცოდნა და უნარები;
- ჩართვა და მონაწილეობა (მიზნები 11.7 ინკლუზიური საჯარო სივრცეები, 16.7 მონაწილეობითი გადაწყვეტილებების მიღება).

რამდენად სწორად ხდება ორიენტირება აღნიშნულ მიზნებზე? რა მაგალითებს ვხვდებით სახელოვნებო-კულტურულ სფეროში? რამდენად ინფორმირებულია საზოგადოება მდგრადი განვითარების 17 მიზნისა და მიზნებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ? აღნიშნულ თემაზე განხორციელებული კვლევა საინტერესო და მრავალფეროვან სურათს იძლევა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფსა და პროფესიასთან მიმართებაში.

თამარ (თამთა) შავგულიძე,
აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

**XX-XXI საუკუნეების დასავლურ და ქართულ
ვიზუალურ ხელოვნებაში სხეულის რეპრეზენტაციის
კრიზისებით გაპირობებული სვლილების გაანალიზების
მცდელობა**

გლობალური კრიზისებით – პანდემია, ომი, ეკოლოგია, გამოწვეული საფრთხეები მჭიდრო კორელაციაშია ადამიანის სხეულთან და ხშირად მისი ბიოლოგიური, კულტურული, სოციალური კონსტრუქციების მთლიანობის დეკონსტრუქციის პროცესის განმაპირობებელი ხდება. თავისთავად

მძიმე პროცესი გართულებულია კულტურული კოლიზიებით. გლობალური გამოწვევები კულტურებში, მშვენიერისა და სხეულებრივი დეგრადაციით გამოწვეული სიმახინჯის „პარადიგმული ცვლილების“ მიზეზი ხდება.

ომისა და პანდემიის, გლობალური გამოწვევებით ნაადრევად დეფორმირებული და დამახინჯებული სხეულების ასახვა, მშვენიერი სხეულის, დასავლურ კულტურაში საუკუნეების განმავლობაში კანონიზებული ნორმისგან დისტანცირების და უცხო, სხვის, მარგინალიზებულის, მსხვერპლის ტერიტორიაზე შესვლის ტოლფასია. ამ ველის აღმწერები, ხშირად, თანამედროვე ხელოვანები არიან. ისინი პანდემიებით, ვირუსებით დამახინჯებული სხეულების ტკივილის, ტანჯვისა და ტრავმების მხატვრულ ფორმაში მოხელთებით კულტურის მეხსიერებაში მათ სამუდამოდ ინახავენ, ისევე, როგორც თვისობრივად ცვლიან ვიზუალურ ხელოვნებაში სხეულის გამოსახვის მხატვრულ ფორმებსა და სტრატეგიებს.

ქართული კულტურა, დასავლურის მსგავსად, საუკუნეების მანძილზე იცავდა მშვენიერსა და დამახინჯებულს შორის არსებულ კულტურულ კორელაციას. ჩვენთვის უშნო, როგორც არასრულყოფილი აქამდე არ იყო ესთეტიკურ კატეგორიად ქცეული. ჯერ კიდევ ვდისტანცირდებით ამ ფენომენისგან. თუმცა, დღეს პანდემიით და მანამდე სხვადასხვა კრიზისით დევალიზირებულ რეალობაში, ქართულ კულტურაშიც ისევე იცვლება ეს პარადიგმა, როგორც არაერთხელ მომხდარა დასავლურ კულტურაში. რისი დასტურიც, თანამედროვე ქართული არტ სცენის წარმომადგენელთა მხრიდან სხეულის არასრულფასოვნების, მისი ტრავმის, ვულგარიზაციის, ვიტალურობისა და ტანჯვის წარმოჩენის მანამდე უპრეცედენტო სითამამე გახლავთ.

ქორეოლოგია

ეკატერინე გელიაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ქორეოგრაფიული სივრცითი საქართველოში გლობალური პანდემიის გამოწვევების პირისპირ

2020 წლიდან მიმდინარე მსოფლიო პანდემიამ თანამედროვე ადამიანთა ცხოვრება სრულიად შეცვალა. იმ მასშტაბის გათვალისწინებით, როგორც ვირუსი გავრცელდა, მას შეუძლია ღრმა ნაიარევი დატოვოს სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კრიზისების სახით.

ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა კარგად დაგვანახა, რომ პანდემიის შლეიფი მთელ მსოფლიოში და რასაკვირველია საქართველოშიც, პირველ რიგში, სწორედ საშემსრულებლო ხელოვნებას მისწვდა. განვითარებული მოვლენების ფონზე, ძალიან ბევრი ხელოვანისგან თუ ხელოვნებათმცოდნისგან გვესმის, რომ ამ სფეროს განსაკუთრებული ზიანი მიადგა.

სოციალური დისტანცირება და სახლიდან მუშაობა ამჯერად ყველაზე სწორი გამოსავალი აღმოჩნდა პანდემიასთან გასამკლავებლად. ონლაინ რესურსებმა, ხელმისაწვდომობამ დისტანციურ სერვისებთან და ზოგადად ინტერნეტ კავშირმა უალტერნატივო მნიშვნელობა შეიძინა.

2020-ის ახალი რეალობის საპასუხოდ, ქორეოგრაფიული სექტორის ფუნქციონირების ძირითადი აქცენტიც ციფრულ არხებზე გაკეთდა. ისევე როგორც სხვა საჭიროების ორგანიზაციები, სახელოვნებო საგანმანათლებლო უმაღლესი და პროფესიული დაწესებულებები, შემოქმედებითი ცენტრები საქართველოში, სიტუაციიდან გამომდინარე, იძულებით გადავიდნენ სწავლების ონლაინ რეჟიმზე.

აუდიტორიასთან ურთიერთობის ახალი გზები და არსებობის ახალი ფორმები შედარებით მარტივად მონახა საქართველოში თანამედროვე ქორეოგრაფიულმა დასებ-

მა და ამ მიმართულების ხელოვანებმა. შედარებით რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ ის კერძო ქორეოგრაფიული სტუდიები, რომელთა პედაგოგ-ქორეოგრაფებსაც არ ჰქონდათ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გამოცდილება. ან ჰქონდათ, მაგრამ არ მიეცათ ქორეოგრაფიის დისტანციურ მეცადინეობებზე მოსწავლეების დასწრების საშუალება, მშობელთა ინტერესის არქონის გამო.

პანდემიის პერიოდში, ყველაზე მეტად დაზარალდა ქართულ სასცენო ქორეოგრაფიაში მოღვაწე შემოქმედებითი ორგანიზაციები - ანსამბლები, სახელოვნებო სტუდიები. ქართულმა სასცენო ხალხურმა ცეკვამ, რეალურად, ვეღარ მოახდინა ადაპტაცია გარემო პირობებთან ტრადიციული ფორმით და სამუშაო პროცესი დროებით შეჩერდა.

იმის გასარკვევად, თუ როგორი გავლენა იქონია გლობალური პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა ორწლიანი წყვეტის პერიოდში სასცენო-ხალხური ქორეოგრაფიის სექტორზე საქართველოში, შევიმუშავეთ კითხვარი. კვლევის შედეგებს აღნიშნულ ნაშრომში წარმოგიდგენთ.

ანანო სამსონაძე,

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ქორეოგრაფ-ქორეოლოგი

“Danse Macabre” – სიკვდილის ცეკვა

Danse Macabre არის მიმდინარეობა ხელოვნებაში, რომელიც წარმოადგენს გამოძახილს შუასაუკუნეების ეპოქალურ გამოწვევებზე. ამ პერიოდში ომი, შიმშილი, ეპიდემიები ევროპის ყველა ქვეყანას განსაკუთრებული სიმრავლით მოედო, რამაც უზომოდ დიდი სიკვდილიანობა გამოიწვია. სიკვდილთან „შეგუების“ ერთ-ერთ საშუალებას მისი, რო-

გორც სიცოცხლის დასასრულის ფილოსოფიური გააზრება და ალევორიული ფორმით წარმოსახვა წარმოადგენდა.

ტრაგიკული მოვლენების სურათები ხელოვნების სხვადასხვა დარგში პოულობდა ასახვას და რეალისტური ფორმით აღიბეჭდებოდა შუასაუკუნეების ლიტერატურულ, მუსიკალურ თუ მხატვრულ ნაწარმოებებში. კედლის მხატვრობაში, რელიეფებში, გრაფიურებში გამოსახული სიკვდილის პერსონაჟი შიშველი ჩონჩხის ან გრძელ სუდარაში გახვეული ფიგურის სახით გვევლინება. იგი ესტუმრება ადამიანებს და მიაცილებს მათ სამარემდე. სიკვდილის წინაშე ყველა თანასწორია ასაკის, პროფესიის, სოციალური თუ სასულიერო სტატუსის მიუხედავად. ყოველივე ეს ხაზს უსვამს წუთისოფლის ამაოებასა და სიცოცხლის წარმავლობას.

სიკვდილი არის ფერხულის წინამძღოლი. იგი ფლეიტაზე მომნუსხველ ჰანგებს აჟღერებს და განწირულ ადამიანებს საცეკვაო მორევში ახვევს. კრუნჩხვითი, კლაკნილი და გრეხილი მოძრაობებით მორჩილად მიუყვებიან სხვადასხვა პერსონაჟები სიკვდილს. დიალოგი სიკვდილთან სევდიანი და, ამავდროულად, სატირული თხრობაა, რომელიც აძლიერებს ადამიანს გარდაუვალი უბედურების მოლოდინში.

„Danse Macabre“-ს ჟანრი არა მხოლოდ შუასაუკუნეების ხელოვნებაში იყო აქტუალური, არამედ ისტორიის მომდევნო პერიოდებში, როდესაც კაცობრიობა მორიგი საფრთხის წინაშე დგებოდა, სიკვდილი კვლავ იჩენდა თავს სახელოვნებო სივრცეში. მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები და რეჟისორები უბრუნდებოდნენ სიკვდილის თემას და „აცოცხლებდნენ“ მას თავიანთ ნაწარმოებებში. სიკვდილის პერსონიფიცირების ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს კურტ იოსის ბალეტი „მწვანე მაგიდა“ წარმოადგენს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის მომასწავებელი გახდა.

სალომე შეთეკაური,
ქორეოლოგიის მიმართულების დოქტორანტი
ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ანანო სამსონაძე

გლობალიზაცია, როგორც გამოწვევა ქართულ სახეკვანო კულტურაში

21-ე საუკუნეში კაცობრიობა მრავალი გლობალური გამოწვევის წინაშე დადგა: კლიმატის ცვლილება, ომი, პანდემია, ეკოლოგიური და ეკონომიკური კრიზისები. გლობალური გამოწვევების ვრცელ ჩამონათვალში, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას გლობალიზაცია წარმოადგენს. მიუხედავად მისი დადებითი მხარეებისა ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, სოციალურ თუ პოლიტიკურ ასპექტში, ზოგიერთი სფეროსთვის იგი გარკვეული საფრთხეების მომტანია. ასე, კულტურული გლობალიზაცია ერთსახოვანი კულტურის ფორმირებას იწვევს და ეს პროცესი საფრთხეს უქმნის მცირე ერების იდენტობის შენარჩუნებას.

გლობალიზაციის პროცესის საპირწონედ, მწვავედ დგას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი. გლობალიზაციის საფრთხეებისაგან დაცვის მიზნით, 2003 წელს, UNESCO-მ მიიღო კონვენცია, სადაც ვკითხულობთ: „გლობალიზაცია, რომელიც ქმნის თანამეგობრობათა შორის დიალოგის განახლების პირობებს, ამავე დროს წარმოადგენს, დეგრადაციის, გაქრობისა და რღვევის სერიოზულ წყაროს, რომლის საშიშროების წინაშეც დგას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“.

ჩემი კვლევის საგანს ქართული საცეკვაო ტრადიციები და მასზე გლობალიზაციის გავლენის შესწავლა წარმოადგენს. ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნება ჩვენი ქვეყნის ეროვნული საგანძურია, აუცილებელია დავინახოთ და სწორად შევაფასოთ გლობალიზაციის პროცესებით გამოწვეული რისკები. კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადაცემის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით, მი-

საღებია ქართული საცეკვაო კულტურის „კონსერვაციის“ შესაბამისი ზომები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ქართული ქორეოგრაფიული ნიმუშების სიცოცხლისუნარიანობა. ეს პროცესი გულისხმობს მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებას: ინფორმაციის შეგროვება, ჩაწერა, სისტემიზირება, კატალოგიზაცია, დიגיტალიზაცია და ა.შ.

მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს „ქართული საცეკვაო ტრადიციების“, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის საერთაშორისო ბარათის მომზადება და UNESCO-ში წარდგენა. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ქართული საცეკვაო კულტურის თვითმყოფადობისა და უნიკალურობის შენარჩუნებას.

მუსიკოლოგია

**სონორული სისტემის გამოვლენის თავისებურებები
იოსებ კეჭავაძის საგუნდო ციკლში „ფშაური
იდილიები“**

ქართულ პროფესიულ მუსიკაში იოსებ კეჭავაძე ერთ-ერთი გამორჩეული კომპოზიტორია, რომლის შემოქმედებაში ეროვნულმა საგუნდო მუსიკამ მნიშვნელოვანი ფორმირება და განვითარება განიცადა. სამოციანელთა თაობის წარმომადგენელი მეტად საინტერესო პერიოდში გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე. საყოველთაოდ ცნობილი პოლიტიკურ-ფორმაციული მოვლენების გამო, ქართული მუსიკა სწორედ ამ პერიოდიდან ეზიარა მეოცე საუკუნის დასავლური მუსიკის ტენდენციებს, რამაც გავლენა მოახდინა ქართული მუსიკის სტილურ-ინტონაციურ სამყაროზე. მეოცე საუკუნის მუსიკის საკომპოზიტორო ტექნოლოგიური სიახლეებისკენ აღებულმა გეზმა ქართულ მუსიკაში მხატვრული სახეების ინდივიდუალიზების პროცესი და ფსიქოლოგიზმის გამძაფრება გამოიწვია. სწორედ ამ გარდამტეხ პერიოდში გამოდის ასპარეზზე კომპოზიტორი იოსებ კეჭავაძე, რომელიც ეროვნულ ფესვებთან ღრმა კავშირში მყოფი კომპოზიტორია, თანამედროვე მუსიკალურ ენას უთავსებს მრავალსაუკუნოვან ტრადიციულ აზროვნებას და ქმნის ინდივიდუალურ საკომპოზიტორო ხელწერას.

სტატიაში განხილულია იოსებ კეჭავაძის საგუნდო ციკლი „ფშაური იდილიები“ (ანა კალანდაძის ლექსებზე), სადაც მკვეთრად ვლინდება თანამედროვე საკომპოზიტორო ტექნიკის მრავალფეროვანი პალიტრა და მისი ურთიერთქმედება ეროვნულ ტრადიციულ საგუნდო მრავალხმიანობასთან.

სტატიაში ყურადღებას გავამახვილებ სონორული ტექნიკის გამოვლინების თავისებურებაზე კეჭავაძის მუსიკაში. სონორულობა საგუნდო მუსიკაში მრავალფეროვან მაგალითებს ითვლის. ტექნიკის ჩამოყალიბება ევროპულ

პროფესიულ მუსიკაში გასული საუკუნის 60-იან წლებს უკავ-
შირდება, თუმცა მისი ნიშან-თვისებები ჯერ კიდევ ალორ-
ძინების ეპოქაშიც გვხვდება. სონორული სისტემის ფორმი-
რება ევროპის პროფესიულ მუსიკაში მდიდარ ტრადიციას
ეფუძნება. სონორი ხმოვანებას, ჟღერადობას აღნიშნავს.
იგი, როგორც ტექნიკა, ბგერის ფიზიკურ ბუნებაზე ახდენს
ფოკუსირებას და მის ფერადოვან აღქმას უწყობს ხელს.

იოსებ კეჭაყმაძის საგუნდო ციკლში „ფშაური იდილიე-
ბი“ სონორული ტექნიკის მახასიათებლები მრავალფერო-
ვან ასახვას პოვებს, მათ შორის ტემბრული კოლორიზაციის
სახით, მუსიკალური გამომსახველობითი ხერხებით, ფაქტუ-
რასა და ჰარმონიულ ენაში მისი გამოვლინებით. შედარე-
ბითი ანალიზის პრინციპით აღნიშნული ციკლი განხილული
იქნება დიერდ ლიგეტის, ქშიშტოფ პენდერეცკის საგუნდო
თხზულებებთან ერთად, რომლებიც სონორული სისტემის
ერთ-ერთ ქრესტომათიულ ნიმუშებს წარმოადგენს.

მარინა ქავთარაძე,

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო
კონსერვატორიის პროფესორი

ეროვნული ჰიმნი, როგორც პოლიტიკური დისკურსის ჟანრი და მისი სემიოტიკა

ჰიმნი არის ჰიბრიდული ლიტერატურული ჟანრი, რომე-
ლიც განასახიერებს სხვადასხვა დისკურსულ სახეობას და
აქვს იდენტიფიცირების, გაერთიანების, აქსიოლოგიური,
„ოპტიმისტური“, იდეოლოგიური, ლაუდატორული, ექსპრე-
სიული ფუნქციები.

სახელმწიფო ჰიმნი არის სახელმწიფო იდეოლოგიის,
ეროვნული იდეის კონცენტრირებული გამოხატულება; ადა-
მიანის ემოციებზე მუსიკით, სიტყვებით კი – ცნობიერებაზე
ზემოქმედებით, მსმენელს მოუწოდებს იდენტიფიცირება
მოახდინოს ერთან, სახელმწიფოსთან.

ეროვნულ ჰიმნს, როგორც მუსიკალურ ჟანრს შეუძლია დროში „ცხოვრება“ და თავისუფლად „გადაადგილება“ სივრცეში; ის ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე „ცნობადი მუსიკალური სახეა“. მას, როგორც ქვეყნის ერთგვარ მუსიკალურ „სლოგანს“, უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული თვისებები, რომლებიც პირობითად შეიძლება შევადაროთ გარკვეული პროდუქტის სამარკეტინგო თვისებებს მაღალი ასოციაციურობით და ციტირების შესაძლებლობით.

ბევრი ეროვნული ჰიმნი თავდაპირველად იღებდა ლოცვის ფორმას ღმერთის, მონარქისა და სამშობლოსათვის, ან შეიცავდა ზეციდან კურთხევის მოწოდებას სუვერენისთვის (მმართველის პირად კეთილდღეობას უკავშირებდნენ მთელი ერის კეთილდღეობას), როგორცაა უძველესი ბრიტანული ჰიმნი Save the King . მაგრამ დაცულია თუ არა რელიგიური პათოსის კვალი ათეისტური სახელმწიფოების საგალობლებში? მოხსენებაში ამ და სხვა საკითხების გათვალისწინებით, განიხილება სხვადასხვა, მათ შორის საქართველოს და სსრკ-ის ყოფილი რესპუბლიკების ჰიმნები.

მოხსენება ძირითადად ფოკუსირებულია ეროვნული ჰიმნის, როგორც პოლიტიკური დისკურსის ჟანრის თავისებურებებზე. ის ეხება ეროვნული ჰიმნის ფუნქციებს, ფუნდამენტურ პოლიტიკურ ღირებულებებს, პოლიტიკური მეტაფორების გამოყენებას. პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს ნიშანთა კორპუსს, რომელიც ქმნის პოლიტიკური ენის სემიოტიკურ ველს.

მოხსენებაში სხვადასხვა ეროვნული ჰიმნების ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ მიუხედავად მათი ოფიციალურ სახელმწიფო სიმბოლოდ აღიარებისა, ისინი განსხვავდებიან ჟანრული წარმომავლობით და სემანტიკური მახასიათებლებით. ჰიმნის ტექსტები შეიცავს ინფორმაციას ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიისა და პოლიტიკური სტრუქტურის შესახებ. სხვადასხვა ქვეყნის ჰიმნების სპეციფიკური ხასიათი იქმნება მათი სემანტიკური მახასიათებლების კომბინაციით.

გვანცა ღვინჯილია,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
ასოცირებული პროფესორი

საბჭოთა იდეოლოგია და მუსიკალური საქმისრულებლო ხელოვნება

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის კანონები თანაბრად ვრცელდებოდა მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე ყველა სფეროში, მათ შორის მუსიკის საშემსრულებლო ცხოვრებაში და მუსიკალურ განათლებაშიც. მიკრო დონეზე გამოხატული თავისუფლებისა და დამოუკიდებელი აზროვნების შეზღუდვა საბჭოთა რეალობაში სწორედ მეზო და მაკრო დონეზე არსებული პროცესების შედეგია. ამიტომ დღევანდელ თანამედროვე რეალობაში ჯერ კიდევ არსებული პრობლემები და გამოწვევები მუსიკალურ-საშემსრულებლო თუ მუსიკალურ-საგანმანათლებლო სფეროში იმ საბჭოთა რეალობის და იდეოლოგიის მტკიცეული მემკვიდრეობაა, რომელსაც თავისებურად ესმოდა არტისტული თავისუფლების და დამოუკიდებელი აზროვნების ფენომენი.

საბჭოთა კავშირმა შექმნა უპრეცედენტოდ „გენიალური“ წესრიგი, რომელიც ორიენტირებული იყო არა თავისუფლებაზე ან ინოვაციების მიმღებლობაზე, არამედ შიშზე. ხელოვნება იდეოლოგიზაციის პირობებში, თავისუფალი აზროვნება აღიქმებოდა საფრთხედ, რადგან იგი თავის თავში ბუნებრივად გულისხმობდა ორიგინალურ აზროვნებას. ძალაუფლების კულტზე ორიენტირებულმა ტოტალიტარულმა სისტემამ დაარღვია ადამიანთა სოციალური კავშირები და გამოიწვია საზოგადოების „სოციალური ატომიზაცია“, ამ ტიპის სახელმწიფოში, ცხადია, თავისუფალი აზროვნება აკრძალული იყო. ავტოკრატიის პირობებში, ნებისმიერი სახის ინიციატივა, მათ შორის მუსიკალურ-საშემსრულებლო სფეროში მიუღებელი იყო იდეოლოგიისთვის. საბჭოთა კავ-

შირმა არტისტული ცხოვრების ყველა სფერო პოლიტიკურ კონტექსტში მოაქცია და შექმნა ხელოვანის იდეოლოგიური ჰაბიტატის მთელი პაკეტი, რომელშიც თავისუფლება მრავალ-მიმართულებით იზღუდებოდა. თავისუფალი აზროვნების შეზღუდვას ხელი შეუწყო საბჭოთა პერიოდის ხელოვნებაში დამკვიდრებულმა მხატვრული აზროვნების მეთოდმა – სოციალისტურმა რეალიზმმა, რომელმაც აღმოფხვრა ორიგინალური აზროვნებისა და ინოვაციების საფრთხე.

საბჭოთა კავშირს ჰქონდა კონცერტების მოწყობის ცენტრალიზებული სისტემა, რომელსაც მართავდნენ გიგანტური კორპორაციები ბიუროკრატიული სამხატვრო საბჭოებით. საბჭოთა კავშირში რეპერტუარიც იდეოლოგიზებული იყო – სრულდებოდა უმეტესად ბაროკოს, კლასიციზტური და რომანტიზმის ეპოქის მუსიკა. მეოცე საუკუნის დასავლური სამყაროს მუსიკა რეპერტუარში პრაქტიკულად არ ხვდებოდა ან რელიგიური შეხედულებებით, ან როგორც კაპიტალისტური სამყაროს პროდუქტი. მუსიკალურ-საშემსრულებლო კონკურსები ორიენტირებული იყო არა გამოცდილების შეძენაზე, არამედ წარმოადგენდა „ცივი ომის“ ნაირსახეობას სახელოვნებო სფეროში.

ამრიგად, ცვალებადი ისტორიის მქონე საბჭოთა კავშირი, როგორც ერთგვარი სამხედრო-ინდუსტრიული კომპლექსი, თავისი რეჟიმული დიქტომიით, საბჭოთა არსებობის მონოქრომატულობით, საფუძველშივე გამორიცხავდა შინაგან თავისუფლებას მუსიკალურ-საშემსრულებლო ხელოვნების სფეროში; მეტიც, საბჭოთა იდეოლოგია გულისხმობდა თავისუფალი აზროვნების ყველა შრის ელიმინირებას და სამუსიკო-საშემსრულებლო ცხოვრების ტოტალურ კონტროლს ყველა პარამეტრით.

თამარ ჩხეიძე

**ლიტურგიული დროის აღქმა შუა საუკუნეების
გალობის ხელოვნებაში**

(დასავლური და აღმოსავლური ქრისტიანობის
მუსიკალური გამოცდილება)

შუა საუკუნეების გალობის ხელოვნება, ლიტურგიკული შინაარსიდან გამომდინარე, ეფუძნება სამყაროს ქრისტიანულ აღქმასა და ევქარისტული დროის კონცეფციას. დრო მარადიულია, სამყარო უსასრულო.

შუა საუკუნეებში სამყაროს აღქმის მუსიკალური ხატი ადგილობრივ საგალობელო ტრადიციებში სხვაგვარადაა წარმოდგენილი. თუმცა მათ შორის საერთო თავისებურებები შეინიშნება.

ნაშრომში განხილულია სამყაროს მდგრადობის, დროის მარადისობისა და ციკლურობის (ციკლური პროცესის) გამოვლენის თავისებურებები მუსიკალური ენის სხვადასხვა პარამეტრში შუა საუკუნეების (აღმოსავლეთ და დასავლეთ საქრისტიანოს) სამგალობლო ტრადიციების მაგალითებზე.

თამარ წულუკიძე,

მუსიკოლოგიის დოქტორი,

თბილისის მუზეუმების გაერთიანების ზაქარია

ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის ექსპოზიციის მენეჯერი

**ეროვნული ოპერის დაბადება
ამიერკავკასიის ქვეყნებში**

ნაშრომში ასახულია ამიერკავკასიის სამ ქვეყანაში – საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ეროვნული ოპერის დაბადება პოლიტიკური და სოციალური პროცესების ტრილში.

ამიერკავკასიის სამ ქვეყანაში სხვადასხვა დროს შეიქმნა ეროვნული ოპერა, მაგრამ სამივე ქვეყანაში მისი დაბადება უკავშირდებოდა პოლიტიკურ-სოციალურ მოვლენებს.

ამიერკავკასიაში პირველი საოპერო ნაწარმოები იყო სომეხი კომპოზიტორის, ტიგრან ჩუხაჯიანის ოპერა „არშაკ II“, რომელიც შეიქმნა 1868 წელს. მაგრამ ეს არ იყო ეროვნული ოპერის ნიმუში. ეროვნული ოპერის დაბადებამდე სომეხი კომპოზიტორები ქმნიდნენ ნიადაგს. აღსანიშნავია, რომ მათ მშობლიურ ქვეყანაში არ ჰქონდათ ცხოვრებისა და მუშაობის პირობები. ისინი იღვწოდნენ კონსტანტინოპოლსა და თბილისში. აქ აყალიბებდნენ ეროვნულ ხალხურ გუნდებს, ანსამბლებს, მუსიკალურ საზოგადოებებს.

პირველი სომხური ეროვნული ოპერა არის ალექსანდრე სპენდიაროვის „ალმასტი“. 1915 წელს თურქების მიერ კონსტანტინოპოლში განხორციელებული სომხების გენოციდის შემდეგ, კომპოზიტორს გაუჩნდა სურვილი დაეწერა ოპერა პატრიოტულ თემაზე. ამ მიზნით ის მოსკოვიდან ჩამოვიდა თბილისში, სადაც შეხვდა მწერალ ოვანეს თუმანიანს, რომელთან მსჯელობის შედეგადაც გადაწყდა, თუ რომელი ლიტერატურული ნაწარმოები დაედებოდა ოპერას საფუძვლად.

პირველი აზერბაიჯანული ოპერა „ლეილი და მეჯნუნი“ შეიქმნა 1908 წელს. მისმა ავტორმა, კომპოზიტორმა უზეირ ჰაჯიბეკოვმა ჩამოაყალიბა პირველი ეროვნული საოპერო დასი, რომლის ძალებითაც წარმოადგინა ეს ნაწარმოები. ამ დროს ქვეყანაში მიმდინარეობდა იდეოლოგიური ბრძოლა რეაქციულ ძალებს - კონსერვატორებსა და ნიჰილისტებს შორის. ორივე მხარე სხვადასხვაგვარად ეწინააღმდეგებოდა ეროვნული ოპერის დაბადებას. ჰაჯიბეკოვს უხდებოდა მათი მოგერიება. ამ პერიოდში კომპოზიტორს წინააღმდეგობები ექმნებოდა სოციალური გარემოდანაც, საზოგადოებრივი მენტალიტეტიდან. მაგალითად, არ შეიძლებოდა აზერბაიჯანულ სცენაზე ქალის გამოსვლა. „ლეილი და მეჯნუნიში“ ქალის როლს კაცი ასრულებდა.

ქართული ოპერის შექმნის საკითხი პირველად მე-19 საუკუნის 80-იან წლებში, ეროვნულმა მოღვაწეებმა, უწინარესად, ილია ჭავჭავაძემ წამოაყენა. ამ მიზნის განხორციელებამდე დიდი გზის გავლა გახდა საჭირო. საამისო ნიადაგის მოსამზადებლად იღვწოდა „ქართულ ენაზე ოპერების გამმართველი საზოგადოება“, „ქართული ფილარმონიული საზოგადოება“. პირველი ქართული ოპერის, მელიტონ ბალანჩივაძის „თამარ ცბიერის“ ფრაგმენტები მე-19 საუკუნის ბოლოს შესრულდა.

თბილისის ოპერის თეატრში ქართული ოპერის დადგმაზე ფიქრი გამორიცხული იყო იქამდე, სანამ ქვეყანა არ განთავისუფლდა რუსეთის დაქვემდებარებისაგან და დამოუკიდებლობა არ მოიპოვა. 1918 წელს ოპერის თეატრის კომისრად რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა დაინიშნა, რომელმაც უპირველეს ამოცანად დასის გაქართულება და ეროვნული პოლიტიკის გატარება დაისახა. 1918-19 წლებში თბილისის ოპერის თეატრში ოთხი ქართული ოპერა დაიდგა: რევამ გოგნიაშვილის „ქრისტინე“, დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე, ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“. ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ სახით ქართული ეროვნული ოპერა დაიბადა.

მედიის კვლევები

ნანა დოლიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და მასობრივი
კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

მეორე ფრონტი - კოვიდის ფანომენიდან მსოფლიო საინფორმაციო ომამდე

2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დირექტორმა, ტედროს ადჰანომ გებრეიესუსმა კორონავირუსის ეპიდემია გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. სამყარო ონლაინ რეჟიმზე გადავიდა და ციფრულ თავშესაფარში გადაიტანა ცხოვრების წესი, პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა და ყოველდღიურობა. ფიზიკური განადგურების შიშით შეპყრობილი კაცობრიობა ვერ ბედავდა ოფლაინ გასვლას. მატერიალური სამყაროს წარმომადგენელი ციფრულ მოქალაქედ იქცა. ცვლილებები შეეხო ყველას და ყველაფერს, ადამიანთაშორისი ურთიერთობებიდან დაწყებული გლობალური კომუნიკაციებით დასრულებული, კიბერ სივრცეში კომუნიკაცია გახდა ერთგვარი შემზადება მეორე ფრონტისთვის, სადაც ციფრული მოქალაქე ციფრულ მებრძოლად იქცა, პანდემია კი 2022 წლის 24 თებერვალს გამოცხადებულმა „სპეციალურმა სამხედრო ოპერაციამ“, სინამდვილეში კი პირველმა გლობალურმა საინფორმაციო ომმა ჩაანაცვლა. უცნობი ვირუსით მოსალოდნელი სიკვდილის შიშით შეპყრობილი საზოგადოება, რომელიც შეცვლილი ცხოვრების წესით ციფრულ თავშესაფარში იმალებოდა, კვლავ ფიზიკური განადგურების შიშით თავშესაფარშივე დარჩა, თუმცა „უცნობი ვირუსის“ საფრთხე, ასევე, მანამდე მისთვის „უცნობმა ომის“ საფრთხემ ჩაანაცვლა, გაცილებით საშიშმა და არაპროგნოზირებადმა.

„არასდროს გვინახავს პანდემია, რომელიც შეიძლება

ამავე დროს გაკონტროლდეს“¹ - განაცხადა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დირექტორმა კოვიდთან დაკავშირებით და სამყარომ კონტროლის მექანიზმები გაიდლაინების სახით დაგეგმა. მონაცემთა ციფრული მონიტორინგისა და კონტროლის ერთიანი მექანიზმის დანერგვით, სტანდარტული გაიდლაინების სისტემაში თანაბარი იყო ყველა, სოციალური, თუ პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენელი, კანის ფერის, სქესისა თუ ასაკის განურჩევლად. აღნიშნულმა სისტემამ მოითხოვა მოქალაქისგან ციფრული უნარჩვევების გამომუშავება და ონლაინზე ადაპტირება. „გადარჩებოდა“ ის ვისაც ინფორმაციაზე წვდომა ჰქონდა, ვინაიდან სწორედ ინფორმაცია გახდა ის აუცილებელი ღირებულება, რომლის მოპოვების გარეშეც „უსაფრთხო“ კონტროლირებად გარემოში არ დაიშვებოდი. ვებსერფინგის გამომუშავებული ეს უნარ-ჩვევები, ერთგვარი „პირბადის“ ფუნქციის შემსრულებელი აღმოჩნდა დღეს მიმდინარე საინფორმაციო ომში, სადაც ვირუსი „დემინფორმაცია“, ხოლო გადარჩენისთვის შექმნილ გაიდლაინად, სოციალური მედიის დანაღმულ ველზე, ნაღმის ადგილსამყოფლის წინასწარი განსაზღვრა გახდა.

კოვიდის ფენომენმა შეცვალა მსოფლიო ადამიანის დამოკიდებულება ინფორმაციისადმი და ერთგვარად შეამზადა საინფორმაციო ომისთვის, სადაც სოციალური მედია ინფორმაციის გავრცელების უპრეცედენტო სისწრაფით და მასზე გლობალური წვდომით თანამონაწილეს გზის მიმდინარე ომის. და თუ პანდემია კონტროლირებად მართვას და დაგეგმვას ექვემდებარებოდა, საინფორმაციო ომი არაკონტროლირებად, მრავალ დროებით, თუ გამჭოლ მოთამაშეთა ჩართვას, გეგმისა და თავისუფალი ქმედების, საინფორმაციო ბრძოლებში დანტერესებული ერთეულების, ჯგუფების, სტრუქტურებისა თუ სახელმწიფოების მონაწილეობას გულისხმობს და სადაც საინფორმაციო ნაკადის

1 <https://itv.ge/news/jandacvis-msoflio-organizaciam-akhali-koronavirusi-pandemiad-gamoackhada/>

სისწრაფე ფაქტების გადამოწმებისთვის დროს არ ტოვებს, ხოლო „წყარო“ ბოლომდე ინარჩუნებს კონფიდენციალურობას.

„ჰიბრიდული ომის“ რუსულ თეორიაში, ე.წ. „გერასიმოვის დოქტრინაში“ აღწერილია «ახალი თაობის ომის» ბრძოლის ველი, სადაც საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს არა 3, არამედ 4 სივრცეში: ხმელეთზე, ჰაერში, ზღვაში და საინფორმაციო ველზე, რომელშიც აქტივობა «ახალი თაობის ომის» ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტია. მიზნის მისაღწევი არასამხედრო მოქმედებები, ცვლის თანამედროვე მსოფლიოში ომის წესებს და თავად ბრძოლის ველს. პოლიტიკური, ეკონომიკური თუ საინფორმაციო არხებით შესაძლებელს ხდის „წარმატებული სახელმწიფოც კი რამდენიმე თვეში ან დღეში შეიარაღებული კონფლიქტის არენად იქცეს“¹ და უფრო მეტიც, კონფლიქტში ჩართულმა მხარემ სხვა სახელმწიფოში გახსნას მეორე ფრონტი, შექმნას რა გრავიტაციის ცენტრად ადგილობრივი მოსახლეობის პოზიცია.

როგორ აღმოჩნდა მეორე ფრონტის წინა ხაზზე, მესამე სახელმწიფო საინფორმაციო ომის „ვირუსის“ წინაშე? როგორ შეასრულა „პირბადის“ დამცველობითი ფუნქცია სამკურნალო გაიდლაინმა „აბა, ომი გინდათ“?

2020 წლიდან 2022 წლამდე კაცობრიობა გლობალური პანდემიიდან - გლობალურ საინფორმაციო ომში ჩაერთო, ფეისბუქიდან - ტელეგრამში გადაინაცვლა, ტელეგრამით მიღებული გზავნილებით ფეისბუქის ადგილობრივ მომხმარებლებში საზოგადოებრივი აზრი შექმნა და ციფრულ მედიაში არსებული გამოწვევები საზოგადოების თითოეული წევრისთვის გლობალურ საფრთხედ აქცია.

¹ <http://eugeorgia.info/ka/article/637/hibriduli-omi-rusul-samxedro-teoriashi/>

ვაჟა ზუბაშვილი,
აუდიოვიზუალური ხელოვნების დოქტორი,
საქართველის შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კინოქრონიკა გუშინ, დღეს, ხვალ?

დღეს ძალიან პოპულარულია ფილმები თუ ნარკვევები, სადაც უბრალოდ გვაჩვენებენ რა ხდებოდა ვთქვათ 1984 წლის 2 ნოემბერს მსოფლიოში, გნებავთ თბილისში ან საქართველოში; ან მსოფლიო მასშტაბის ფაქტი - 11 სექტემბერი, ნიუ იორკის ტერაქტი, „ტყუპების“ დანგრევა. რა ხდება ამ დროს საქართველოში, როგორია რეაქციები? და ასეთ შემთხვევაში ყველაზე დამაჯერებელი ეფექტი კინოქრონიკას აქვს, ვიდრე თვითმხილველების აღწერას, ან თუნდაც ფოტოგრაფიას. ისტორიული კინოქრონიკა ისტორიული მოვლენების თვალსაჩინო მოწმობაა. რა თქმა უნდა, ეს უფრო მოვლენათა სიმბოლოა, ვიდრე მათი სრული აღწერა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მასში მაინც არის დაშიფრული დროის მაგია.

ზოგადი განმარტებით, კინოქრონიკა „ეს არის ფორმა მოკლე დოკუმენტური ფილმისა, რომელიც გავრცელდა მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში საზოგადოებრივ ადგილებში წარსადგენად (გასაქირავებლად) და შეიცავდა ახალ ამბებს და სენსაციურ მოვლენებს“. დიდი საბჭოთა ენციკლოპედია კინოქრონიკას განმარტავდა, როგორც „ოპერატიულ კინოინფორმაციას თანამედროვე ცხოვრების აქტუალურ მოვლენებსა და ფაქტებზე“.

კინოქრონიკა ერთიანდებოდა სხვადასხვა ტიპის თემატურ კინოჟურნალებში და ამას ყველა ქვეყანაში აკეთებდნენ თითქმის მთელი XX საუკუნის მანძილზე. უკვე 1960-70-იანი წლებიდან, ტელევიზიის განვითარებასთან ერთად, რომელმაც თავის თავზე აიღო ოპერატიული ჟურნალისტიკის ფუნქცია, კინოქრონიკა როგორც კინოდოკუმენტალისტი-

კის ცალკე სახეობა, კარგავს ფუნქციას. 90-იანი წლებისთვის მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა აგრძელებდა კინოქრონიკის წარმოებას: კუბა, ესპანეთი იაპონია და საბჭოთა კავშირი, ბუნებრივია, საქართველოც. საქართველოს ტელეფილმების გაერთიანება კი 90-იანი წლების შემდეგ, როცა პრაქტიკულად სრულად შეწყდა კინოფირზე მუშაობა, 2000 წლამდე აგრძელებდა ე. წ. საფონდო სიუჟეტების გადაღებას SVHS და BETACAM ვიდეო ფორმატებზე,

20 წელზე მეტია, რაც ჩვენს ქვეყანაში კინოქრონიკა აღარ არსებობს. ამ პერიოდში ინტერესი წარსულის ვიზუალური და აუდიოვიზუალური მასალის მიმართ ყოველდღე მატულობს. გამოიკვეთა ინტერესები, რომელიც წარსულის კინოთვალის მიღმა აღმოჩნდა, გაჩნდა კითხვები: გვჭირდება თუ არა კინოქრონიკა, იქმნება თუ არა დღეს აუდიოვიზუალური მატთანე, ან ვინ უნდა ქმნიდეს ამ მატთანეს. შეუძლია თუ არა, სატელევიზიო ახალ ამბებს, რომელიც უმეტესწილად პოლიტიზებულია, სამომავლოდ შეასრულოს ქვეყნის ცხოვრების ვიზუალური ქრონიკის ფუნქცია?

ლაურა კუტუბიძე,
ჟურნალისტიკის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ლალი ძამუკაშვილი,
განათლების მეცნიერებათა დოქტორი,
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ინფორმაცია, დემინფორმაცია და პროპაგანდა ომის არსენალში

უკვე შემდგარ გლობალურ საინფორმაციო საზოგადოებაში, როცა მიიჩნეოდა რომ მესამე მსოფლიო ომი საინფორმაციო ომი იქნება და, არათუ იქნება, არის კიდევ, „ნამდვილი“, „ტრადიციული“ მსოფლიო ომის საფრთხის წინაშე აღმოჩნდით: ტანკებით, დაბომბვებით, სარაკეტო იერიშებით და პლუს, წინა ორი მსოფლიო ომისაგან განსხვავებით - დრონებით! მთავარი განსხვავება მაინც მძლავრი საინფორმაციო იარაღია. რუსეთ-უკრაინის ომს, რომელმაც უკრაინის არნახულ მობილიზებასთან ერთად, რუსული აგრესიის წინააღმდეგ დასავლეთის შეკავშირებაც გამოიწვია, „მედიამანქანის“, როგორც თანამედროვე სამყაროს მძლავრი არსენალის მაქსიმალური ამოქმედება გამოარჩევს. ტრადიციული მედიასაშუალებების პოტენციალი ვერც შეედრება იმ უსაზღვრო შესაძლებლობებს, რასაც სოციალური მედია ფლობს ინფორმაციისა თუ დემინფორმაციის გავრცელებით, სათვის, ფაქტობრივად შეუზღუდავ დროსა და სივრცეში.

რუსეთ-უკრაინის ომის მეინსტრიმულ საინფორმაციო ნაკადებში აშკარად შეიმჩნევა, რომ რუსული პროპაგანდისა და კონსპიროლოგიის „ოვერტონის ფანჯრები“ ძირითადად „შიგნით იღება“, ანუ რუსეთის უზარმაზარი შიდა აუდიტორიისკენ არის მიმართული, ხოლო უკრაინის საინფორმაციო არსენალი ეფექტურად მუშაობს გლობალურ საინფორმაციო რეჟიმში.

გიორგი ჩართოლანი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო
მეცნიერებების, მედიის და მენეჯმენტის ფაკულტეტის
მედიის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების
პროფესორი

კულტურა ჰიბრიდული ომის მედიაკლამფორმაცია

- ჰიბრიდული ომი მრავალი კომპონენტისგან შედგება, მაგრამ ჩვენ ყურადღებას ამაჯერად ამ ომის ორ მნიშვნელოვან მდგენელზე: რბილ ძალასა და საინფორმაციო ომზე შევაჩერებთ, რამდენადაც ისინი აქტიურად იყენებენ კულტურას და ხელოვნებას.
- საინფორმაციო ომის მიზანია გარემომცველი სამყარო, საკუთარი და დასაპყრობი ქვეყნის მოსახლეობა შეამზადოს და დაარწმუნოს ომის წარმოების აუცილებლობა-სა და სამართლიანობაში. საინფორმაციო ომი არის ე.წ. რბილი ძალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საყრდენი, რადგან იგი უპირატესად მასობრივი ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებების დახმარებით მიმდინარეობს.
- რბილი ძალა განსაკუთრებით შედეგიანია ისეთ ქვეყნებში, სადაც შიდა პოლიტიკური პროცესები ძალაუფლების მოპოვებისთვის აქტიური დაპირისპირებების ფონზე მიმდინარეობს, სადაც საზოგადოება გახლეჩილია, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი და მოსახლეობის ცხოვრების დონე კი უკიდურესად დაბალი. ასეთ დროს ძლიერი ეკონომიკის, ან სამხედრო ძალის მქონე ქვეყანა, რომლის მიზანია საკუთარი გავლენის არეალის გაფართოება, მიმართავს რბილი ძალის ეფექტს. იყენებს ე.წ. იდეოლოგიურ პროპაგანდას, რასაც ახორციელებს მედიის და კულტურის დახმარებით.

- საბჭოური მემკვიდრეობის გავლენით, ახალი დემოკრატიის ქვეყნების საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ურჩევნია სხვას ანდოს საკუთარი მომავალი. რაც უფრო პოპულარულია ადამიანი, მით უფრო დამაჯერებელია მისი ყოველი მოსაზრება. ასეთ ადამიანებს არ უჭირთ მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დარწმუნება იმაში, რომ უბრუნველ ცხოვრებას მათ სხვა ადამიანები, უფრო კი სხვა, ძლიერი ქვეყნები შექმნიან. საზოგადოებაზე ზემოქმედების სწორედ ამ რბილ ძალას იყენებს უცხო ქვეყანა დასახული მიზნების მისაღწევად ღია სამხედრო ჩარევის გარეშე.
- ჰიბრიდული ომის რბილი ძალის გამოყენების კიდევ ერთი ასპარეზი არის სახელოვნებო სივრცე. კულტურის კომერციალიზაციამ ხელი შეუწყო ჰიბრიდულ ომში მის რბილ ძალად გამოყენებას. განსაკუთრებით ე.წ. მესამე ქვეყნებში, სადაც კულტურა დამოკიდებულია დოტაციაზე, რაც უკიდურესად მინიმალურია. სახელმწიფოდან და კერძო ბიზნესიდან მიღებული სასპონსორო და სარეკლამო შემოსავალი ხშირად დარგის შენარჩუნებისთვისაც კი არ არის საკმარისი. შესაბამისად, კულტურის ფინანსური მდგრადობის ერთ-ერთ წყაროს, სამწუხაროდ, უცხო ქვეყნის მიერ წარმოებულ ჰიბრიდულ ომში იძულებითი თუ ნებაყოფლობითი ჩართვა და რბილ ძალად ქცევა წარმოადგენს.
- კულტურის პროპაგანდისტად ქვეყნის ყველაზე ძლიერი საშუალება არის მედია, სადაც ჰიბრიდული ომის მწარმოებელ ქვეყანას ასპარეზზე გამოჰყავს სახელოვნებო სივრცის პროპაგანდისტი წარმომადგენლები. ეს პლატფორმები არ მოიცავს მხოლოდ ტრადიციულ მედიას, ის უწყვეტად ავრცელებს საკუთარ იდეოლოგიას ახალ მედიაპლატფორმებზე, სოციალურ ქსელებში.
- სსრკ-ის დაშლის შემდეგ ამ ქვეყნებს გაუჩნდა სურვილი შეერთებოდა დასავლურ ცივილიზებულ სამყაროს. დასავლეთიც დაჰპირდა, თუმცა 30 წლის განმავლობა-

ში ქმედითი ნაბიჯები მის შესასრულებლად არ გადაიდგა. ამან საზოგადოებაში გააჩინა ერთგვარი ნიჰილიზმი, რითაც ისარგებლა რუსეთის პოლიტიკურმა ტაქტიკამ და საკმაოდ ადვილად წამოიწყო ფართომასშტაბიანი ჰიბრიდული ომი, რომლის მიზანიც იყო საზოგადოების მომზადება უკან სსრკ-ში დასაბრუნებლად.

- ჰიბრიდულის ეფექტური წარმოებისთვის აუცილებელია მტრის ხატის შექმნა. რუსეთის ფედერაციამ პოსტსაბჭოთა ევროპული ნაწილის ქვეყნებს ასეთ მტრად დასავლური ლიბერალური სამყარო წარმოუდგინა. ჰიბრიდულ ომში ჩართული მედიაპლატფორმები დაეთმო კულტურის და ხელოვნების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც საუბრობდნენ დასავლურ, ლიბერალურ საფრთხეებზე და ეროვნული და რელიგიური თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე.
- ჰიბრიდულ ომში ჩართული მასობრივი ინფორმაციის ტრადიციული საშუალებები იყენებენ ორ მიმართულებას: ღია პროპაგანდა, რაც გულისხმობს საზოგადოებრივ-პოლიტიკური შოუების სადისკუსიო სივრცეში კულტურის წარმომადგენლების აქტიურ მონაწილეობას და დახურული, როდესაც რბილი ძალის პლატფორმის სამაუწყებლო მედიები სამაუწყებლო ბადეს უთმობენ იმ არტისტების მხატვრულ პროდუქციას, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ჰიბრიდული ომის კულტურის პოლიტიკას.
- ჰიბრიდული ომის რბილ ძალად კულტურის და მისი წარმომადგენლების გამოყენება არ არის დამახასიათებელი მხოლოდ ტოტალიტარული ან ავტორიტარული მმართველობის ქვეყნებისთვის. ამ ძალას იყენებს ე.წ. დემოკრატიული სამყარო, რომელსაც ხშირად გაცილებით დახვეწილი, შეფარული და მოქნილი მექანიზმები და დიდი ფინანსური პოტენციალი გააჩნია. ე.წ. მესამე ქვეყნები კი, უკეთეს შემთხვევაში, ცუდსა და უარესს შორის დგებიან არჩევანის წინაშე და ძალიან უხარიათ, თუ

დამოუკიდებელი არჩევანის უფლებას შეინარჩუნებენ და რბილი თუ ძლიერი ძალის გამოყენებით სხვა არ გადაწყვეტს მათ მომავალს.

თამთა ცინცაძე,
ხელოვნების დოქტორი
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

თანამედროვე მულტიმოდალური ფრაზა

საკვლევი თემა - ფსიქო-ლინგვისტური პარადიგმა, ანუ თვალთ დახახულსა და გაგონილს შორის კონტექსტი.

აქტუალობა - მინიმალურ დროში მაქსიმალური ინფორმაციის მიღების აუცილებლობა წარმოშობს აკუმულირებული ინფორმაციის მიღების მოთხოვნას. მოცემულ მომენტში მაყურებლის ყურადღების არეში არსებული კონკრეტული ინფორმაციული ელემენტები ქმნიან ერთიან ამბავს. ასეთი თხრობა გულისხმობს ნარატივის სემიოტიკურ სტრუქტურას.

პრობლემა - კომუნიკაციის ხელოვნების თვისობრივი გაუმჯობესებისთვის საჭიროა გააზრებული იყოს თანამედროვე მულტიმოდალური ფრაზის სტრუქტურა. სანდოობის, მკაფიოდ გაგების, დასამახსოვრებლის, „გადამდებობის“ და სხვ. შთაბეჭდილებებში ვიღებთ თითქოს უმნიშვნელო, უმცირესი სემიოტიკური ელემენტების შედეგებს.

მეთოდი - მეთოდოლოგიურ აპარატში გამოყენებულია ექსპერტული შეფასების თეორია, სემიოტიკის პრაქტიკული და სინერგეტიკის თეორიული მეთოდოლოგია.

დასკვნა - ყოველი ელემენტი კონცეფციის ჩარჩოში! მაყურებელს საკმაოდ დიდი არჩევანი აქვს ამიტომ მნიშვნელოვანია სემიოტიკური ელემენტების გააზრებული გამოყენება.

რევამ ჭიჭინაძე,
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე მოქალაქე, როგორც მედიის ბამონჯევა

- ტექნოლოგიების გაჩენისთანავე მედიამ პროდუქტის მობილობაზე იბრუნა და საზოგადოების მსგავსად, გახდა მეტად სწრაფი და მოქნილი. მედიაინდუსტრიის წარმომადგენლები, მედიაპროდუქტის ინტერნეტთან ადაპტაციის გზაზე, ბევრ სირთულეს აწყდებიან. მრავალ ქვეყანაში დღემდე იხვეწება საკანონმდებლო ბაზა და რეგულაციები, სარეკლამო ბაზრის წილი, საგადასახადო სისტემა, ე.წ. ტრადიციული მედიის „ჩანაცვლების“ საფრთხე და ა.შ.
- დიგიტალიზაციის გზაზე, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ მედიამ დაკარგა ექსკლუზივი ინფორმაციის გავრცელებაზე. ექსკლუზიურობის დაკარგვა ნებისმიერი ბიზნესისთვის ყველაზე მძიმე დარტყმაა, შესაბამისად, სერიოზული გამოწვევის წინაშე დადგა მედია ინდუსტრიაც. მით უფრო თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ ყველა მოქალაქე, რომელსაც აქვს სმარტ ტელეფონი და აქვს ინტერნეტზე წვდომა, პოტენციურად მედიის კონკურენტია.
- მოქალაქე რეპორტიორი ვერ უზრუნველყოფს ბაზისური ინფორმაციის მიწოდებას აუდიტორიისთვის, მეტიც, არც მომხმარებლებს აქვთ ამის მოლოდინი, რადგან გლობალურ ქსელში ჩართული აუდიტორიის თითოეული წევრი პოტენციურად თავად არის მოქალაქე ჟურნალისტი და იცის, თუ რა ტიპის, რა ინფორმაციის მატარებელი გზავნილის გაცემა შეუძლია მას. ამას ემატება მთელი რიგი ნიუანსები იმის შესახებ, თუ რომელ მედია გამტარზე რა მოცულობისა და ფორმის საინფორმაციო ნაკადი უნდა

გავიდეს, რომ მასალა მეტად მიმზიდველი იყოს მომხმარებლისთვის.

- „კლავს“ თუ არა სოციალური ქსელი ჟურნალისტიკას. საკითხის ასე დაყენებისას მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ გლობალური ქსელი კლასიკურ ჟურნალისტიკას ანადგურებს, ნაწილი კი, მათ შორის ჩვენც, ვფიქრობთ, რომ აუდიტორიის მაღალი ხარისხის ჩართულობამ და ტექნოლოგიების განვითარებამ პროფესია ჟურნალისტს ახალი შესაძლებლობების ფანჯარა გაუხსნა.
- აღსანიშნავია მარტივი ჭეშმარიტებაც, რომ სოციალური ქსელები დღეს პროფესიული მედიის გარეშე უპრობლემოდ იცხოვრებს, აი პროფესიული მედია კი სოციალური ქსელების გარეშე ციფრულ სამყაროში ნამდვილად შეწყვეტს არსებობას. შესაბამისად, პროფესიონალი ჟურნალისტებისთვის ეს გამოწვევა ერთგვარ შესაძლებლობად უნდა იქცეს.

თავისუფალი თემების საქცია

კინომსოლდნობა

ქეთევან პატარაია,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინომსოლდნობის
მიმართულების დოქტორანტი
ხელმძღვანელი: პროფ. ლელა ოჩიაური

ქუთაისი, რეზო გაბრიძე, რეზო ჭიჭილაძე

„ქუთაისი ქალაქია“ – ასე ჰქვია რეზო გაბრიძის რომანს, რომელიც საფუძვლად დაედო ანიმაციურ ფილმს „ჰარი-ჰარალე, დედაო!“, თუმცა ამ ქუთაისის ქალაქობის არაფერი ეტყობა არც აქ და არც გაბრიძის სხვა რომელიმე ნაწარმოებში. ის პატარა დასახლებაა, მომცრო უბნებით, შესახვევებით, ხიდებით, სასაფლაოთი... გაბრიძის ნაწარმოებებში პერსონაჟებად ქუთაისური საზოგადოების რეალური წარმომადგენლები გვხვდებიან (ხშირად, საკუთარივე გვარ-სახელებით): ყველაფრით შემკული დიმიტრი გელოვანი, ექიმი ისაკ მინოვიჩი, მხატვარი ვალიკო მიზანდარი, ილო ფოტოგრაფი, ბორია ბრეგაძე, ბებია დომნა და სხვანი, მაგრამ ეს რეალური ადამიანები შემოქმედის ხელში ახალ თვისებებსა და განზომილებას იძენენ.

რეზო გაბრიძის ქუთაისი მხოლოდ მისია, ამ შემოქმედის რაკურსიდან დანახული და განუმეორებელი. იგი თავის ქუთაისზე გვიყვება, ისევე, როგორც თავის ქუთაისზე გვიყვება მეორე რეზო, ისიც ქუთაისელი და ისიც მწერალი, სცენარისტი რეზო ჭიჭილაძე.

მისი გმირების პროტოტიპებიც რეალური ადამიანები, ჩვეულებრივი ქუთაისელები არიან: ქალბატონი მანანა, გუია, ბურნუყელი მეთევზეები, ჭონია უკლება, უშანგია, ქუთაისელი ებრაელები თავიანთი რიტუალებით... ავტორი გადმოსცემს მათ სევდას, სიხარულს, სიყვარულს, უცნაურ, თითქოსდა ალოგიკურ თავგადასავლებს.

ორივე რეზო, დაახლოებით, ერთ პერიოდში დაიბადა (გაბრიაცე - 1936 წელს, ჭეიშვილი - 1933-ში), მათმა ბავშვობამ ერთ ქალაქში გაიარა, ერთი და იგივე ადგილები, მოვლენები, ხალხი ახდენდა მათზე გავლენას, ერთი იუმორი ესმოდათ, თუმცა, ამ ყოველივემ მათ შემოქმედებაში სრულიად განსხვავებული სახე მიიღო. ერთი ქუთაისიც კი არ ჰგავს მეორეს ქუთაისს, თუმცა, ორივე საოცრად ინტიმური, დაუვიწყარი, პატარა და მთელი სამყაროს დამტევია, ამასთან, ორივე XX საუკუნის მნიშვნელოვანი, გლობალური მოვლენების შესახებ გვიყვება.

ხელოვნებათმცოდნეობა

რუსუდან დოლიძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი
ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ეკა კიკნაძე

ევროპული მხატვრობის ტენდენციები ქართული მხატვრობის შემოქმედებაში XIX -XX საუკუნეების მიჯნაზე

(გიგო გაბაშვილის და მოსე თოიძის შემოქმედების მაგალითზე)

საკონფერენციო ნაშრომში განხილულია უფროსი თაობის მხატვრების - გიგო გაბაშვილის და მოსე თოიძის შემოქმედებაში გამოკვეთილი მოდერნისტული ნიშნები და ინტერესები, რომლებიც საბოლოოდ სტილისტურად მხოლოდ შემდგომი თაობის მხატვრების შემოქმედებაში ჩამოყალიბდა.

დაზგური მხატვრობის ჩამოყალიბება საქართველოში XVIII-XIX მიჯნაზე იწყება, ხოლო პირველი პროფესიონალი მხატვრები მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოდიან ასპარეზზე. ქართულ მხატვრობას არ გაუვლია ფორმის განვითარების ის ეტაპები, რომელთა შედეგად, თანადროულ ევროპაში სტილი იმპრესიონიზმი და პოსტიმპრესიონისტული ძიებები დაიწყო.

მოხსენებაში განვიხილავთ მოსე თოიძისა და გიგო გაბაშვილის მხატვრობის კონკრეტულ მონაკვეთებს, როდესაც მათ შემოქმედებაში ქართული მხატვრობისთვის ეტაპური ნამუშევრები იქმნება. ჩვენი მიზანია, ანალიზის საფუძველზე ამ მონაკვეთის საერთო ეპოქალურ სურათში განთავსება.

ვფიქრობთ, მოცემული ნაშრომით კიდევ ერთ საინტერესო ასპექტს წარმოვაჩინთ ქართული ფერწერის ისტორიის

შესწავლის კუთხით, რაც თავისთავად ნათელს მოჰფენს და მეტად გასაგებს გახდის ქართული მხატვრობის შემდგომი განვითარების სურათს.

მზია მილაშვილი,
არქიტექტურის დოქტორი, სტუ. პროფესორი
ვალერი მჭედლიშვილი,
არქიტექტურის დოქტორი, სტუ. ასოცირებული
პროფესორი

სერაფიმე საროველის სახელობის პირველი ტაძარი საქართველოში

*საკვანძო სიტყვები: ტაძარი, სამრეკლო, ფასადი, ინტერიერი,
დეკორატიული, პორტალი, ჯვარი, სარკმელი, აფსიდა.*

მოხსენებაში განხილულია წმინდანის, მამა სერაფიმე საროველის სახელობის მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ტაძრის არქიტექტურული სახე, რომელიც საქართველოში, კახეთში, კერძოდ ქიზიყში, დედოფლისწყაროს სოფელ სამრეკლოში მდებარეობს.

ტაძრის მშენებლობა 1903 წელს დასრულებულა და იმავე წელს წმინდა სერაფიმეს სახელზე ეკურთხა. არსებობს გადაუმოწმებელი მოსაზრება, რომ ტაძარი წმინდა სერაფიმე საროველის სახელზე აგებული პირველი ტაძარია მსოფლიოში.

ტაძარი რუსული სატაძრო არქიტექტურული ტრადიციებითაა აგებული. პირვანდელ ტაძარს ჰქონდა ხახვისებრი გუმბათი. შენობის კედლები გათლილი, მოთეთრო-რძისფერი ქვის კვადრებითაა ნაგები. აგურითაა გამოყვანილი კარ-სარკმელთა ღიობები, კონსტრუქციული ნაწილები და ფასადების დეკორატიული ელემენტები.

ტაძრის შიდა სივრცეს გუმბათქვეშა რვაკუთხედი ქმნის, რომელსაც ოთხივე მხრიდან სწორკუთხა, კამარით გადახუ-

რული მკლავები აქვს. აღმოსავლეთის მკლავი დასრულებულია ნახევარწრიული, ძირითადი სივრცისგან გამოყოფილი აფსიდით.

ტაძრის დასავლეთ ფასადზე დაშენებულია სამსართულიანი სამრეკლო, რომლის პირველი სართული სამი სივრცისაგან შედგება. ერთ-ერთ სივრცეში მოწყობილია მეორე სართულზე ასასვლელი კიბე.

2012 წელს, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის სამღვდელოების ძალისხმევითა და ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით, ტაძარი განახლდა. გამაგრდა საძირკველი და შეკეთდა დაზიანებული კედლები. სამწუხაროდ, განახლებას რიგი ხარვეზები ახლავს. კერძოდ, ტაძრის ცენტრალური ნაწილი და მკლავები, არა პირვანდელი ფორმის გუმბათებით, არამედ ნახევრად სფეროსებური თუნუქის სახურავით გადაიხურა. შეილესა ინტერიერში შემორჩენილი მხატვრობის ფრაგმენტებიც.

მიუხედავად არასრულყოფილი აღდგენისა, სერაფიმე საროველის სახელობის პირველი ტაძარი განადგურებისაგან გადარჩა და საქართველოში, ბეციური დედოფლის ერთგული მლოცველი წმინდანის სახელზე აშენებული ერთ-ერთ პირველი ტაძარი არსებობს.

სანდრო მირცხულავა,
თბილისის აპ. ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტაჟიორი

გია ბულაძის ფერწერული სერია „სტუმრები“ და ეროვნული თვითმამორკვევის პრობლემა 1980-იანი წლების ქართულ დაზგურ ფერწერაში

1980-იანი წლების დასაწყისი მნიშვნელოვანი ეტაპია საქართველოს ისტორიაში. სწორედ ამ დროს იწყება ეროვნული მოძრაობის გამოღვიძება და მისი თანდათანობითი გააქტიურება. ამ პერიოდიდან სათავეს იღებს მთელი რიგი პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული პროცესები, რომლებიც 1989 წლის 9 აპრილითა და საბოლოოდ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებით სრულდება.

ამ პროცესში ჩართულია ქართული კულტურაც. სწორედ 1980-იანი წლების დასაწყისში გამოდის ასპარეზზე ახალი თაობა, რომელსაც 80-იანელებს უწოდებენ და რომელიც გარკვეულწილად ფეხს უწყობს არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, ახალი მხატვრული ფორმებითა და თემებით ერთვება საზოგადოებაში მიმდინარე საერთო პროცესებში. ამ თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია მხატვარი გია ბულაძე, რომელსაც, სხვა მხატვრებთან ერთად (ლ. ჭოლოშვილი, ი. ფარჯიანი, მ. აბრამიშვილი და სხვ.), ქართულ ფერწერაში შემოაქვს ახალი თემატიკა, იქნება ეს საქართველოს ისტორია თუ რელიგიური სიუჟეტები, რომლებიც აქამდე ერთგვარად უგულვებელყოფილი იყო და სპორადულ ხასიათს ატარებდა.

გ. ბულაძის 1982 წელს ე.წ. ფარულთქმის მეთოდით შექმნილი ერთ-ერთი განსაკუთრებულად საგულისხმო ფერწერული სერია „სტუმრები“, რომელიც რელიგიურ-მისტიკური კონოტაციის მქონე ნამუშევრებისაგან შედგება, წარმოაჩენს ამ პერიოდში გაჩენილ ახალ კულტურულ და ეროვნულ ფასეულობებს, ახალ საზრისებს და ამ თვალსაზრისით ეხმი-

ანება მაშინდელ საზოგადოებაში მიმდინარე ეროვნული თვითშეგნების ფორმირების პროცესს. ამ სერიის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს მხატვრის დამოკიდებულებას და მის როლს ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესში ეროვნული ცნობიერების, ეროვნულ ღირებულებათა ჩამოყალიბების საქმეში.

ამ სერიის ანალიზი ცხადყოფს, რომ გ. ბუღაძე ეძებს ახალ მხატვრულ საშუალებებსა და ფორმებს ტრადიციული საზრისების ახლებურად გადმოსაცემად, რომლებიც ქვეყნის ფსიქოლოგიური, რელიგიური, კულტურული, ეროვნულ-ისტორიული, სოციო-პოლიტიკური და გეოპოლიტიკური პრობლემების მთელ სპექტრს მოიცავს და ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელ ახალ პარადიგმას ამკვიდრებს ახალი ქართული სახელმწიფოსა და ეროვნული თვითშეგნების ფორმირებისას გაჩენილ ღირებულებით ამპლიტუდაში.

ხელოვნების ფილოსოფია

სოფიო მოდებაძე,
ფილოსოფიის დოქტორი,
ვანო სარაჯიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მოწვეული
ლექტორი
საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული ლექტორი

შემოქმედების თავისუფლების პრობლემა

შემოქმედების თემას თავისუფლების თემასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფილოსოფიურ საკითხთა შორის.

სწორედ შემოქმედებაში მჟღავნდება ადამიანის ჭეშმარიტი დანიშნულება და მხოლოდ შემოქმედების გზით შეიძლება იქნას მიგნებული ადამიანის სიღრმისეული ეგზისტენცია, რადგან შემოქმედება, შემოქმედებითი საქმიანობა არის ადამიანის არსებობის გამართლება. იგი ანთროპოლოციაა.

საინტერესოა კამიუს „ესე აბსურდზე“, სადაც ის აღნიშნავს, რომ შემოქმედება არის მოწმობა ადამიანის ერთადერთი ღირსებისა ადამიანის ამბოხებისა თავისი ხვედრის წინააღმდეგ. კამიუს მიხედვით, ხელოვნება ადამიანს აძლევს საშუალებას გაუძლოს იმ ჭეშმარიტებათა სიძნელეს, რომელიც მას აქვს. სწორედ ამიტომ შემოქმედება არის ამბოხება. ეს არის ბრძოლა უსაზრისობის და სასრულობის წინააღმდეგ წესრიგისთვის.

კამიუსთვის შემოქმედების დადებითი ნიშანია ის, რომ „შემოქმედება ნიშნავს მისცე ფორმა ბედს“. კამიუსთან შემოქმედება არის ადამიანის ნებისა და გონების სინთეზი. ადამიანის ყოფიერების წარმმართველი უნდა იყოს ნება პა-

სუხისმგებლობისკენ და არა ბატონობისკენ ასე შეძლებს იგი ადამიანური ყოფიერების შენარჩუნებას, წესრიგსა და გარკვეულობას მიანიჭებს მას.

კამიუს თანახმად, აბსურდული ცნობიერებისთვის დამახასიათებელია ყველაფრის ნებადართულობა – „ყველაფერი ნებადართულია“, მაგრამ მეამბოხეებისთვის ეს არის არა სიხარულის, არამედ სინანულის მიზეზი. ადამიანს არც სურს და ვერ აიტანს ასეთ აბსურდულ თავისუფლებას. მისი აზრით, ყველაფრის ნებადართვა ყველაფრის აკრძალვას ნიშნავს.

ადამიანის ყოფიერებას ქაოსისგან იცავს დროის წესრიგი და პასუხისმგებლობა მომავალზე. აბსურდის ადამიანი უარყოფს ასეთ მომავალს და დღევანდელი დღით არის დაინტერესებული და დაკავებული.

ფილოსოფოსი ზურაბ კაკაბაძის მიხედვით, გამოსავალი თანამედროვე კრიტიკული სიტუაციიდან გულისხმობს ადამიანთა ცხოვრების ჰარმონიულობის მიღწევას, თანაც ისე, რომ შენარჩუნებული იყოს ადამიანის, როგორც პიროვნების თავისუფლების, აქტივობის, შემოქმედების უფლებები.

ცხოვრების ჰარმონიულობის მიღწევაში დიდი როლი ეკისრება, როგორც ხელოვნებას, ასევე ფილოსოფიას, რომელიც ქმნის ეპოქის სულიერ სახეს. ხელოვნებას აქვს დიდი ძალა დააფიქროს ადამიანი და უბიძგოს აზროვნებისკენ.

ქორეოლოგია

ლევან ალიაშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქორეოლოგიის მიმართულების დოქტორანტი
ხელმძღვანელი: პროფ. ანანო სამსონაძე

ქადაგობის რიტუალის ლაშარობის დღესასწაულზე

მისწერი საცეკვაო რიტუალების წარმომავლობის საკითხი ქართული ხალხური ქორეოგრაფიის კვლევის საკითხებს მიეკუთვნება. ამ რიტუალებს გააჩნია მკაფიო მახასიათებლები, გამოკვეთილი ფუნქცია-დანიშნულება და მიზნობრიობა. იგი წარმოადგენს კოსტიუმირებულ მსვლელობას საკულტო დანიშნულების ადგილამდე, სადაც რელიგიურ ექსტაზში მყოფი ქადაგი საცეკვაო ქმედებას ახორციელებს.

ლაშარობის დროს შესრულებული ქადაგობის რიტუალის შესახებ მრავალი ეთნოგრაფიულ-ლიტერატურული წყარო მოწმობს. მონა ქალის ფენომენის განსაზღვრა და რიტუალის დეტალური აღწერა (ფიცის დადება, შეთქმულების ინსტიტუტი, ფეხშიშველი მსვლელობა, რელიგიური მორჩილება, წრიული საცეკვაო ქმედება და ა.შ.) უტყუარი მტკიცებულებაა ამ რელიგიური მისტიკის არქაული წარმომავლობისა.

რიტუალის დრამატურგიული ანალიზი და მასში შემავალი კომპონენტების აღწერა გვეხმარება სარიტუალო ქმედების მოვლენათა რიგის დადგენაში, რაც, საჭიროების შემთხვევაში, მისი დეტალური რეკონსტრუირების საშუალებას იძლევა. ქმედების წინაპირობა, მისი დინამიკა, განვითარების ეტაპები, დასკვნითი ფაზა, ქმედებათა თანმიმდევრობა ჩამოყალიბებულ დრამატურგიულ სტრუქტურას წარმოადგენს, სადაც წრის შიგნით მოთამაშის დაძაბული ფსიქო-ე-

მოციური ქმედება გადამწყვეტი და საკვანძო კომპონენტებია. ასევე, საგულისხმოა საცეკვაო ქმედებაში მლოცველთა აქტიური მონაწილეობა, საკრავიერი მუსიკის გავლენა საცეკვაო ლექსიკაზე და მთავარი პერსონაჟის ურთიერთობა სხვა მლოცველებთან.

რიტუალის ქორეოგრაფიულ-მუსიკალური და მხატვრული ასპექტები ზოგადქართულ საწესჩვეულებო ნიშან-თვისებებს ატარებს. შეინიშნება ქართული წყვილური ცეკვების ტრადიციული ფორმიდან გადახვევა, რაც გამოიხატება ქალის მიერ ვაჟის საცეკვაოდ გამოწვევაში. ქადაგი ქალის საცეკვაო პლასტიკის თავისებურება წარმოადგენს ზებუნებრივ ძალებთან საურთიერთობო უძველეს ფორმას. დედის მიერ ფანდურზე საცეკვაოს დაკვრაც საკრალური ქმედების ნაწილია.

ქადაგობის აღნიშნული რიტუალი შესაძლებელია მივაკუთვნოთ ქართული კულტურული მემკვიდრეობის არამატერიალურ ძეგლთა ნუსხას. ავთენტურ ყოფაში მისი შესრულება უკანასკნელად მე-20 საუკუნის ორმოციან წლებში დაფიქსირდა, რაც ამ რიტუალის შენახვა-შენარჩუნების საჭიროებაზე მეტყველებს. ამის ერთ-ერთ გზად ქადაგობის რიტუალის სასცენო რეკონსტრუირება მიგვაჩნია.

ხათუნა დამჩიძე,

ქორეოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის
სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-
თანამშრომელი

სართულებიანი ფერხულები ქართულ საცეკვაო დიალექტებში

სართულებიანი ფერხულები საქართველოში წარმოადგენდა საერო-საწესჩვეულებო დღესასწაულების შემადგენელ ნაწილს, სადაც მათ ნაყოფიერებასთან, მის გამოსათხოვარ საწესო ქმედებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. შემდგომ ეპოქაში, სართულებიანი ფერხულების შინაარსსა და ფუნქციურ დანიშნულებას დაემატა ზედფენილი შრე საბრძოლო-მეომრული შინაარსით, გამომდინარე საქართველოს ისტორიული წარსულიდან.

ამჟამად სართულებიანი ფერხულები სრულდება ავთენტურ გარემოში როგორც საწესო რიტუალების შემადგენელი ნაწილი (ფშავი, სვანეთი) და სცენაზე ქორეოგრაფიული ანსამბლების მიერ, როგორც საავტორო საცეკვაო ნაწარმოები. ფერხულების შესრულების ტრადიცია ავთენტურ გარემოში შემორჩენილია საწესო რიტუალებისას სვანეთში „მურყვამობასა“ და თუშეთში „ათანგენობას“.

ორგანულ გარემოში სართულებიანი ფერხულების შესრულების შესახებ ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროები გვამცნობენ. საქართველოს უმეტეს კუთხეებში მათი არსებობა დადასტურებულია სვანეთში, გურიაში, იმერეთში, ლაზეთში, მესხეთ-ჯავახეთში, ქართლში, კახეთში, ხევსა და თუშეთში. რაც შეეხება სასცენო ვერსიებს, სართულებიანი ფერხულების შესრულებას ვხედავთ გურული ფერხულის „ფარცას“, „ხორუმის“, რაჭული ფერხულის სახით (თუმცა

ავთენტურ გარემოში რაჭაში მრავალსართულიანი ფერხული არ ფიქსირდება, ის უფრო საავტორო ინტერპრეტაციაა).

სართულებიანი ფერხულების წარმოშობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია არ გაგვაჩნია, რადგან, როგორც ფოლკლორულ ნიმუშს, შექმნის დადგენილი დრო არ აქვს. ისევე როგორც ხალხური ხელოვნების სხვა ნიმუშები, თაობიდან თაობას ზეპირსიტყვიერი გზით გადაეცემოდა. ცეკვას სწავლობდნენ უშუალოდ ხალხში, ბუნებრივ გარემოში. სართულებიანი ფერხულები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელწოდებას ატარებს და შესრულების წესიც, რიგ შემთხვევაში, განსხვავებულია. ესენია: ქართლში - „მემყრელო“ ან „ზემყრელო“, კახეთში - „ვაი, საბრა“, მესხეთში - „სამყრელო“, იმერეთში - „ოკრიალე“, „ფერხა“, გურიაში - სახელწოდებით - „ორსართულიანი“, ლაზეთში - „მხუჯიში“, სვანეთში - „მორიალ-მიქელა“, თუშეთში - „ქობებელა“, ხევში - „აბარბარე“.

სართულებიანი ფერხულის ძირითად გამოსახულებას წარმოადგენს მეფერხულეთა წრე, რომელთაც სართულის სახით შემსრულებელთა მეორე და ზოგჯერ მესამე სართული ადგას მხრებზე. სართულების განაწილების პრინციპი ასეთია: ზედა სართულზე მდგომის მარჯვენა ფეხი ქვედა სართულის შემადგენელი მეფერხულის ერთ მხარზე დგას, ხოლო მარცხენა მის გვერდით მდგომის მხარზე - ზედა ერთი ეყრდნობა ქვედა ორს. სურათი ორ ქვედას შორის ერთი ზედას გამოსახულებას იძლევა და ა. შ. ფერხულთა შესრულების წესთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ სამეტყველო ენა, ანუ საცეკვაო ლექსიკა ძირითადად წარმოადგენს მარტივ ნაბიჯს, რადგან ქვედა სართულს მეორე სართულის სიმძიმიდან გამომდინარე, არ აქვს საშუალება ერთ რიტმზე აწყობილი რთული სინქრონული მოძრაობა შეასრულოს. გარდა ამისა, რიგ შემთხვევაში, ფერხულს არა მხოლოდ წრეზე ბრუნვა, არამედ გარკვეულ მანძილზე გადაადგილებაც უწევს. აქედან გამომდინარეობს სართულებიანი ფერხულის საცეკვაო ლექსიკის სიმარტივე.

ანა ღვინიაშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული
ხელოვნების მიმართულების დოქტორანტი

ინკლუზიური ცეკვის დისტანციური გაკვეთილის მოდელის ხარისხის კვლევა

2020 წელს, COVID 19-ის პანდემიისას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანის შემცირების მიზნით, ასევე, ინკლუზიური ცეკვის გაკვეთილის ონლაინ ფორმატში ადაპტირებისათვის, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა კვლევითი პროექტი: „სტუმრად ინკლუზიური ცეკვის დისტანციურ გაკვეთილზე“ (ავტორი: ანა ღვინიაშვილი). პროექტი მიმდინარეობდა 4 თვის მანძილზე (2020.05.01 – 2020.08.31).

კვლევა ჩატარდა ონლაინ ფორმატში. 4 თვის განმავლობაში ყოველ მესამე გაკვეთილზე ესწრებოდა სხვადასხვა დამკვირვებელი/რესპონდენტი და აფასებდა საგაკვეთილო პროცესს. გარდა ამისა, გამოკითხვა ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით. გაკეთდა ყოველი მესამე გაკვეთილის ვიდეო-ჩანაწერი და გაიშიფრა.

კვლევა მოიცავს ორ კომპონენტს: 1. რაოდენობრივს და 2. თვისებრივს. თვისებრივი კვლევის ანალიზი დაყოფილია ანკეტაში დასმული კითხვების მიხედვით.

„ინკლუზიური ცეკვის გაკვეთილის მოდელმა“ პოპულარიზაციისა და ფართო მასშტაბით დანერგვის თვალსაზრისით, ძალიან კარგი შედეგები აჩვენა. კერძოდ, 2021 წელს UNDP Georgia-ს სწრაფი განვითარების ლაბორატორიისა და მუზეუმის პანდემიური გამოგონებების კონკურსის გამარჯვებული გახდა. მოიპოვა პირველი ადგილი და ქართული გამოგონებების მუზეუმში დაიდო ბინა. გარდა ამისა, „ინკლუზიური ცეკვის დისტანციური გაკვეთილის მოდელი“ დაინერგა ორ ორგანიზაციაში და დღემდე მუშაობს. 1. ინკ-

ლუმიური თეატრალური სკოლა-სტუდია „ამდაკის ბალი“ და 2. ინკლუზიური საცეკვაო სკოლა „ანისი“.

აღსანიშნავია, რომ ინკლუზიური ცეკვის დისტანციური გაკვეთილების სერვისის 2021 წელს Usaid საგრანტო პროექტის - „საქართველოს მაღალმთიან სოფლებში ინკლუზიურ ხელოვნებასა და სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა“ ფარგლებში საქართველოს 5 რეგიონში მცხოვრებ შშმ ბავშვებსა და პირებს მიეწოდათ. პროექტი განახორციელა - ა(ა)იპ „ახალგაზრდობა სოციალური თანასწორობისთვის“.

„ინკლუზიური ცეკვის დისტანციური გაკვეთილის მოდელს“ აქვს ერთდროულად სოციალური და თერაპიული დანიშნულება. ის ხელს უწყობს მოსწავლეების საბაზო საცეკვაო უნარების (14 საც. უნარი), ფსიქომოტორულ, ემოციურ, კოგნიტიურ და სოციალურ განვითარებას. აღნიშნული გაკვეთილის აპრობაცია ამ დრომდე 100 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლესთან მოხდა. ის თანდათან იხვეწება და არ კარგავს აქტუალობას.

დილარა შომაევა,

ყაზახეთის ხელოვნების ეროვნული აკადემიის
ქორეოგრაფიული მიმართულების დოქტორანტი

**ფემინისტური კრიტიკის მეთოდების შესახებ
სახეიკვანო ხელოვნების ისტორიული ანალიზის
კონტექსტში**

მოცემულ სტატიაში ასახულია დასავლური საცეკვაო ხელოვნების ისტორიული ანალიზის პრობლემები. ფემინისტური კრიტიკის პრინციპები განხილულია, როგორც მეთოდოლოგიური კონცეფცია. გამომსახველობითი საშუალებების არსენალში ცეკვას გააჩნია მთავარი ინსტრუმენტი - ადამიანის სხეული, რაც განასხვავებს მას ხელოვნების სხვა დარგებისაგან. ამავდროულად, ფემინიზმი სხეულს განიხილავს,

როგორც სოციალურ პროდუქტს, რომელიც განსაზღვრავს მის საზოგადოებრივ არსებობასა და ცნობიერებას. ამ კონტექსტში, ცეკვა მოქმედებს, როგორც კულტურული პრაქტიკა, რომელშიც ფიზიკურობა დამოკიდებულია სხვადასხვა ჟანრში და პერიოდში არსებულ წესებსა და ნორმებზე. ისინი, თავის მხრივ, პირდაპირ კავშირშია საზოგადოებაში გაბატონებულ იდეოლოგიასთან.

ფემინისტური აზროვნების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ცეკვის შესწავლის პროცესში გამოიყოფა რამდენიმე ძირითადი მიდგომა: ხელოვანი ქალების ინდივიდუალური მიღწევების გაჟღერება და შეფასება, „ქალის სახის“ პორტრეტული ანალიზი, სექსუალობის წარმოჩენა ქორეოგრაფიულ ნაწარმოებებში, სუბიექტურობის გადააზრების პოსტსტრუქტურალისტური პრობლემები და ა.შ.

სტატიაში წარმოდგენილია ქორეოგრაფიის ისტორიაში რამდენიმე ნაკლებადცნობილი ფაქტი ქალი-ქორეოგრაფების მოღვაწეობის შესახებ, რომელთა მიღწევები იგნორირებულია ცეკვის ისტორიკოსთა მიერ. აკადემიური ბალეტი, მისი წარმოშობიდან დღემდე, აგრძელებს უმრავლესობაში გაბატონებულ გენდერული მიკერძოებულობის ტრადიციას. მე-20 საუკუნის შუა ხანებამდე უმეტესად მამაკაცები ქმნიდნენ ქორეოგრაფიული ლიტერატურას, სადაც ბალერინას წარმოაჩენდნენ მხოლოდ თაყვანისცემის და ტრფობის ობიექტად.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ცეკვის გააზრების ალტერნატიული გზების ძიება, რაც მოცეკვავე სხეულის ახალ შესაძლებლობებს დაგვანახებს, მათ შორის ფემინისტური კრიტიკის კუთხით.

მედიის კვლევები

თეა ჭანტურია,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
კინო-ტელე ფაკულტეტის საშემსრულებლო-
შემოქმედებითი ხელოვნების აუდიო-ვიზუალური
რეჟისურის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის
დოქტორანტი

ეკრანული კულტურა - თანამედროვე ცივილიზაციის ფლაგმანი

დღეს, როდესაც მსოფლიო ჯერ კიდევ არ არის გამოჯან-
მრთელებული კოვიდ პანდემიისგან, ეკონომიკა უმძიმეს პი-
რობებშია, კულტურა კი კრიზისში, გვიწევს გავუმკლავდეთ
მესამე ასიმეტრიულ შოკს და კაცობრიობა ისევ გამოწვევის
წინაშე დგას. თანამედროვე სამყაროში, გლობალური გა-
მოწვევებისას, კაცობრიობის წინაშე მნიშვნელოვანი მისია
აუდიოვიზუალურმა კულტურამ აიღო. მან ძალიან სწრაფად
განიცადა ტრანსფორმაცია და თითქმის ყველა პროფესი-
ის ადამიანისთვის ერთგული მსახური გახდა. გლობალური
გამოწვევებისას ეკრანული კულტურა აღმოჩნდა კომუნი-
კაციის, ადამიანური ურთიერთობების, თანამედროვე ცივი-
ლიზა-ციის ფლაგმანი. ეკრანული კულტურა მასობრივი კო-
მუნიკაციის ყველაზე საუკეთესო და ეფექტური საშუალებაა,
რომელიც გავლენას ახდენს მსოფლიოს ესთეტიკურ სურათ-
ზე, არის ხალხის შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი და
ხელოვნების ობიექტი. ეკრანული შემოქმედების სხვადასხ-
ვა ფორმის განვითარებამ შემოგვთავაზა მრავალი სიახლე,
დაფუძნებული ტექნოლოგიების და შემოქმედების სინთეზ-
ზე. ჩვენს ჰიპერრეალურ და პოსტმოდერნულ გარემოში, სა-
დაც ყველაფერი ვირტუალურია, როგორც მარშალ მაკლუ-
ანი ამბობდა თავის ნაშრომში, დედამიწა კი „გლობალური

სოფელი“, სადაც ყველანი გავხდით ეკრანზე დამოკიდებუ-
ლი, ჩნდება კითხვა: რას გვთავაზობს თანამედროვე ეკრა-
ნი? პანდემიის დროს ეკრანმა ყველა ფუნქცია შეითავსა. ის
გახდა მედიუმი, კომუნიკატორი, მოტივატორი, სასწავლო
და სამუშაო პლატფორმა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ
ვირტუალურმა სამყარომ არ დატოვა მოსწავლე სწავლის
გარეშე, სტუდენტი ლექციების და სემინარების, მეცნიერი
კონფერენციის, ექიმებს მისცა საშუალება მაქსიმალურად
შეესრულებინათ საკუთარი მოვალეობა, ადამიანებს კი,
ვინც საჭიროებდა სამედიცინო დახმარებას, მისცა შანსი -
სწორი, ადეკვატური დიაგნოსტიკის და მკურნალობის.

შეიძლება დავასკვნათ, რომ, გლობალურ ეპოქაში ტე-
ლე-სივრცის პროფესიულ ვექტორზე მიმდინარეობს ეკრა-
ნული პროდუქტის შემოქმედებითი კრედოს გადახედვის
პროცესი, სადაც ახალი სტანდარტების, კრიტერიუმების და
ფორმულირებების დაუფლება ხდება. ეკრანული შემოქმე-
დების, ეკოსისტემის ციფრული სამყარო გვთავაზობს ჰიბ-
რიდულ, ინოვაციურ ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას,
მოქნილ გარემოს, პარადიგმას „ახალი ეკრანული ენა“. ეს
კი ნიშნავს, რომ იწყება ეკრანული კულტურის ახალი ერა.

ლევან ჯუღელი,

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი,
აუდიო-ვიზუალური რეჟისურა „ტელერეჟისურა“ -
სადოქტორო პროგრამის სტუდენტი
ხელმძღვანელი: პროფ. ალექსანდრე ვახტანგოვი

თელევიზიიდან ნეტფლიქსამდე - XXI საუკუნის ახალი მედიუმი ალგორითმები და გემოვნების მოდელიკაცია

*საკვანძო სიტყვები: ნაკადოვანი სერვისები, ნეტფლიქსი,
ტელევიზია, ალგორითმები, თანამედროვე აუდიოვიზუალური
მედიუმები, ხელოვნური ინტელექტი, გემოვნების ჩამოყალიბება*

ნაკადოვანი სერვისები და მედია, მიუხედავად იმისა , რომ მხოლოდ ორ ათწლეულზე ნაკლებს ითვლის, მარტივად მოექცა საზოგადოებრივი ინტერესის და აქტუალობის ეპიცენტრში. ისეთი პლატფორმები და კომპანიები როგორცაა ნეტფლიქსი, ამაზონ Prime Video, ჰულუ, იოკუ და იუთუბი, არსებობის მოკლე პერიოდის მიუხედავად, უდიდეს კონკურენციას უწევენ და შესაძლოა ითქვას ანაცვლებენ ტელევიზიის, როგორც საოჯახო გასართობი ბიზნესის (Home Entertainment Business), თითქმის ასწლოვან მონოპოლიას. ალგორითმებზე აგებული ძიების ინსტრუმენტები, მომხმარებლის მიერ უკვე ნანახ მასალაზე დაყრდნობით, გვთავაზობენ იმას, რაც მათ ინტერესებთან ყველაზე ახლოს შეიძლება იყოს. ეს ინოვაციური იდეა, ერთსახად აკნინებს ტელევიზიის როლსა და სარგებლიანობას, რომელიც მიუხედავად დიდი მცდელობისა, რთულად ახერხებს ტრანსფორმაციას 21-ე საუკუნის მოდელზე.

შეუძლიათ თუ არა ალგორითმების სისტემას და ხელოვნურ ინტელექტს მოახდინონ გავლენა ჩვენს არჩევანზე? მოახდენს თუ არა ალგორითმები ჩვენი გემოვნების და შეხე-

დუღებების ცვლილებას? უნდა ვანდოთ თუ არა ადამიანის მიერ შექმნილ მექანიზმებს კაცობრიობის ბედი?

ფილოსოფოსი როგორიცაა იუვალ ნოა ჰარარი და მრავალი მკვლევარი სხვადასხვა ინსტიტუციიდან ეჭვქვეშ აყენებენ ალგორითმების მიერ ბალანსის დაცვის შესაძლებლობას და იმ ფაქტს რომ ისინი არ შეეცდებიან ჩვენს კონტროლს. ეს საკონფერენციო ნაშრომი განიხილავს როგორ იყენებენ ნაკადოვანი სერვისის წარმომადგენლები ალგორითმებზე დაფუძნებულ სისტემას საკუთარი ბიზნესის გასაფართოებლად და როგორ იქცა ეს სისტემა ნაკადოვანი სერვისების ფუნქციონირების განუყოფელ ნაწილად.

ხელოვნების მენეჯმენტი და კულტურული ტურიზმი

ნაირა გალახვარიძე,

ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველი თეატრისა და კინოს
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ინვესტიციები, კულტურის დიფუზიის განვითარებაში

საქართველოში მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან განვითარებულმა მოვლენებმა მრავალი პრობლემისა და მიმართულების ახლებურად გააზრებისა და წარმოჩენის აუცილებლობა განაპირობა. მათ შორის თავისი აქტუალობითა და მნიშვნელობით გამოირჩევა საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრების პრობლემა და გლობალიზაცია.

ტერმინი გლობალიზაცია სულ უფრო მეტად აღნიშნავს ურთიერთდაკავშირულ მსოფლიოს, კაპიტალისტური ეკონომიკისა და პოლიტიკის პრინციპებზე დაყრდნობით, რომელშიც საერთაშორისო საზღვრების როლი შემცირებულია და შექმნილია მსოფლიო მასშტაბის ბაზარი. ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობდა, რომ გლობალიზაციის პროცესი კულტურის რეგიონების რღვევასა და ერთიანი გლობალური კულტურის შექმნას გამოიწვევდა, თუმცაღა ამ კონცეფციის სიცოცხლისუნარიანობისა და მისი შედეგების შესახებ განსხვავებული სურათი მივიღეთ. ასეთ სიტუაციაში საქართველომ ყველა შემთხვევაში უნდა შეინარჩუნოს უნიკალურობა, დაიმკვიდროს თვითმყოფადობა დასავლეთის, თუ ჩრდილო აღმოსავლეთის კულტურათა ფონზე.

კულტურის ფორმირება ხდება ცოდნის, რწმენის, ხელოვნების, მორალის, კანონების, ადათწესებისა და ნებისმიერი სხვა უნარების, ჩვევების ზეგავლენით, რომლებიც შეიძინა საზოგადოებამ საკუთარი განვითარების პროცესში.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კულტურის გავლენა საზოგადოების ეკონომიკის სფეროზე, საქმიან გარემოზე, მოგების მიღებისა და განაწილების პროცესზე.

კულტურას გააჩნია მრავალღონიანი სტრუქტურა, რაც ასახავს მისი ფუნქციების მრავალფეროვნებას ნებისმიერი საზოგადოების ცხოვრებაში. მისი ძირითადი ფუნქციებია:

- საინფორმაციო (თაობიდან თაობაზე, ეპოქიდან ეპოქაზე, სოციალური გამოცდილების გადაცემის საშუალება).
- შემეცნებითი (სამყაროს შესახებ ცოდნის დაგროვების, მისი გაგებისა და შეთვისების საშუალებას იძლევა).
- ნორმატიული (დაკავშირებულია ადამიანებისა და საზოგადოების ცხოველმყოფელობის სხვადასხვა მხარეთა განსაზღვრასთან ყოფის ნებისმიერ სფეროში: შრომა, ყოფაცხოვრება, პიროვნებათაშორისი კავშირები, ურთიერთობების რეგულირება და ასე შემდეგ)
- მანიშნებელი (ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა კულტურის მთელ სისტემაში . ამ ფუნქციისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენას, რომელიც ადამიანებს შორის ურთიერთობის საშუალებაა)
- ღირებულებითი (ადამიანს უყალიბდება ღირებულებებისა და ორიენტაციების გარკვეული სისტემა).

კულტურის დიფუზიის შესწავლა - იდეებისა და ინოვაციების გავრცელება აქტუალური თემაა. მეცნიერები ტორსტენ ჰეგერსტრანდის კვლევებზე დაყრდნობით ასხვავებენ დიფუზიის სხვადასხვა სახეს:

- რელოკაციური დიფუზია, რომელსაც შეიძლება „გადაადგილებითი დიფუზია“ ეწოდოს, წარმოიშობა როცა გარკვეული იდეის ან პრაქტიკის მატარებელი ინდივიდუალები, ან ჯგუფები მიგრირებენ ერთ ადგილიდან მეორეში. თავისი იდეები, ჩვეულებანი თან გადააქვთ თავიანთ ახალ საცხოვრებელ ადგილას.
- ექსპანსიური დიფუზია, რომელსაც „გაფართოებითი დიფუზია“ შეესატყვისება. ამ დროს იდეები და წეს-ჩვეულებები ადამიანებს შორის ვრცელდება თოვლის გუნდის ან

ზგავის პრინციპით. ახალი იდეების, ჩვეულებების გამზარებელთა და მომხმარებელთა რაოდენობა, გავრცელების არეალი იზრდება.

ექსპანსიური დიფუზია თავის მხრივ სამ ქვეტიპად იყოფა:

- იერარქიული დიფუზია, ამ დროს იდეები გადახტებიან ერთი მნიშვნელოვანი ტიპიდან მეორეზე, ერთი საქალაქო ცენტრიდან მეორეში.
- გადამდები დიფუზია, იწვევს იდეების ტალღისებრ გავრცელებას, გადამდები ავადმყოფობის მსგავსად.
- მასტიმულირებელი დიფუზია, ზოგჯერ ინოვაციის სპეციფიკური ნიშან-თვისება უარყოფილია, მაგრამ მის საფუძველში არსებული იდეა მიღებულია და მხარდაჭერილია.

აქვე უნდა განვიხილოთ, გეოგრაფიული პოსიბილიზმის (შესაძლებელი) მიმართულება, რომელიც არ უარყოფს ფიზიკური გარემოს გავლენის როლს კულტურაზე და რომლის მიხედვით კულტურა განსაზღვრულია სოციალური გარემოებებით. ამ თეორიის მიხედვით, თვით ადამიანები არიან კულტურის ძირითადი არქიტექტორები, ხოლო ნებისმიერი ფიზიკური გარემო იძლევა მრავალ შესაძლებლობას სხვადასხვა კულტურათა განვითარებისათვის.

ეკონომიკის გლობალიზაციის საერთო ტენდენციები, ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარება, კულტურის ფაქტორის როლის ზრდა, კულტურათა დიფუზია ქვეყნებისა და ფირმების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, აქტუალურს ხდის ინვესტიციების როლს.

ამრიგად, გლობალიზაცია ნიშნავს კონკურენციის გაღრმავებას, რაც აიძულებს კომპანიებს, ყველაფერი გააკეთონ ყველაზე უკეთესად და იაფად. გლობალიზაციას კომპანიისათვის მოაქვს უპირატესობა და მოგება, მომხმარებლისათვის იაფი და მაღალხარისხიანი პროდუქცია, დასაქმებულებისათვის გულმოდგინედ მუშაობა და კულტურათა დიფუზია.

ზურაბ მანგურაშვილი,
ხელოვნების დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
მალხაზ ჭემმარიტაშვილი,
ქიმიის დოქტორი, საქართველოს ეროვნული
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**ეთნოგრაფიული მუზეუმის როლი
კულტურულ ტურიზმში**
(საქართველოს მაგალითზე)

*საკვანძო სიტყვები: ეთნოგრაფია, მუზეუმები,
კულტურული ტურიზმი.*

ნაშრომი ეხება როგორც კულტურულ ტურიზმს, მის განვითარებას, პერსპექტივას და მნიშვნელობას საქართველოში, ასევე ქართველთა ეთნოლოგიურ წარმომავლობას და ეთნოგრაფიული მუზეუმების როლს ტურიზმის განვითარებაში. კვლევის მიზანია შეისწავლოს ქართული კულტურული ღირშესანიშნავი ადგილების მდებარეობა საქართველოში და მათი მნიშვნელობა ქვეყნის ტურიზმის განვითარებაში.

ნაშრომში განხილულია ტურიზმის როლი 21-ე საუკუნეში, სადაც წარმოდგენილია კულტურული არსი, მნიშვნელობა და ტურიზმის განვითარების ძირითადი მიმართულებები. ნაჩვენებია ტურიზმის განვითარებაში კულტურული მემკვიდრეობის როლი საქართველოს იმერეთისა და სვანეთის რეგიონის მაგალითზე, საუბარია ეთნოგრაფიის მნიშვნელობაზე, ასევე ქართველი ხალხის ეთნიკურ ისტორიასა და წარმომავლობაზე, უშუალოდ ტურიზმის მრავალსახეობაზე, ქართულ ტრადიციებზე და ტურისტული ინდუსტრიის მნიშვნელობაზე. წარმოდგენილია ამ საკითხების ერთგვარი შეჯამება და ანალიზი.

ნიკო კვარაცხელია,

საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

კულტურული მემკვიდრის პერსპექტივაში რეგიონული დენტინაციების დონეზე (შაბილი)

კვლევის საგანი და რელევანტურობა: კვლევა ეხება ხევ-სურეთში, კერძოდ შატილში და მის მიმდებარე სოფლებში მრავლად არსებული ციხეების, ეკლესიების, ადრინდელი დროის საცხოვრებლების გამოყენებას კულტურულ ტურიზმში, რომლებიც სამშენებლო კულტურის შესახებ ამაღლებელ შთაბეჭდილებებს ტოვებენ. კვლევის მიზანია გვიჩვენოს შატილის მაგალითზე, თუ როგორ იყენებენ ტურიზმში კულტურას, ეთნოგრაფიას, არქიტექტურას დანიშნულების ადგილები, მათი პროვაიდერი ტუროპერატორები და გიდები.

ლიტერატურის მიმოხილვა: თემის შესახებ არსებული ლიტერატურა დაჯგუფებულია სამი მიმართულებით: 1. შატილის არქიტექტურა, რომელიც კარგადაა შესწავლილი კულტურის ისტორიკოსების მიერ (ვახტანგ დოლიძე. 1970; ანზორ ქალდანი. 1990; ინგა გაბაშვილი. 2012; ვიქტორია ბერიძე. 2015); 2. კარგადაა შესწავლილი ხევსურეთის ეთნოლოგიაც (სერგი მაკალათია. 1934;1984; თინათინ ოჩიაური. 1977; ივანე წიკლაური. 2010); 3. ნაკლებადაა შესწავლილი ტურიზმში საჩვენებელი ობიექტების შერჩევის, მათი ჩვენების მეთოდოლოგიის პრობლემა (ამ მიმართებით შესაძლებელი გახდა გზამკვლევის მოძიება: ბუბა კუდავა. 2017; შამილ შეთეკაური. 2017; აგრეთვე სამთო-ტურისტული მარშრუტების შესწავლა და კლასიფიცირება).

ანალიზი და დასკვნა:

შატილის არქიტექტურის ანალიზის საფუძველზე ხდება მთის არქიტექტურის თავისებურებების შესახებ განზოგადება. პირველ რიგში ეს თავისებურებებია:

- კავშირი ბუნებრივ სივრცესთან და ხევსურეთის კულტურის ისტორიასთან. ბევრი ტიპური ციხე ფშავ-ხევსურეთში შეიძლება დაკავშირებული იყოს ბუნებრივ გარემოსთან და ისტორიასთან. ასე ხდება უფრო დიდი კონტექსტი ცნობადი. ბუნებრივი პირობების განსხვავება და მრავალფეროვნება ნათლად აისახება საცხოვრებელი არქიტექტურის ტიპების შექმნასა და განვითარებაზე და ყოველი მათგანის როგორც ფუნქციური, ასევე ესთეტიკური თავისებურებანიც დიდწილად სწორედ გარემოს მოცემულობებითაა განსაზღვრული.
- შატილის საამშენებლო ტექნიკა: შატილის კოშკები და ციხე-სახლები ციცაბო ფერდზე, რთულ რელიეფზეა განლაგებული. რამდენიმე მათგანი ერთმანეთზეა მიდგმული და აქვთ საზიარო კედელი. საძირკვლები, კლასიკური გაგებით, არ გააჩნიათ. შატილის ციხის ფიცარნაგი გადასასვლელები სახლებს შორის იმდენად მჭიდროა, რომ მტრის შემოჭრის შემთხვევაში ისე შემოივლი სოფელს, შენობის დატოვება ერთხელაც არ მოგიწევს. შატილის ფუნქციური არქიტექტურა და ესთეტიკური მხარე მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ოთარ კალანდარიშვილისა და გიზო ფოცხიშვილისთვის შთაგონებად იქცა. არქიტექტორებმა თბილისის ახალ განაშენიანებაში შემოიტანეს ტრადიციული დიზაინის ელემენტები.
- შატილის აღქმისათვის აუცილებელია უმდიდრესი ეთნოლოგიური მასალების გაცოცხლება. ხევსურული ორნამენტი, ჩაცმულობა, საკვები უნდა იყოს ტურისტული შეთავაზების მთავარი ელემენტი. ისევე, როგორც უცხოელებისთვის შედგენილი სალაშქრო ტურები.
- ტური ხევსურეთში მოითხოვს ლანდშაფტის წაკითხვას: ეს არის კულტურული პროცესი, რომელიც დამოკიდებულია იმ ელემენტების ერთობლიობაზე, რომლებიც ახასიათებს ობიექტს. ყველა ეს ფაქტორი ფუნდამენტურია ლანდშაფტის ელემენტების წაკითხვასა და ამ ელემენტებს შორის ურთიერთობაში.

ნათია კოპალეიშვილი,
კინომცოდნე, ხელოვნების მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინო
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

კოპროდუქცია - კინონდუსტრიის განვითარების ეტაპი

კინონდუსტრიის განვითარების ყველაზე რადიკალურ ეტაპებზეც კი, საქართველოს კინოწარმოების თავისებურებანი ინარჩუნებს მახასიათებლებს, რომელთა ამოხსნაც შესაძლებელია ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი, რეალური მიზეზებით. ამ დარგში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების განვითარებისთვის აუცილებელ, იმგვარ შესაძლებლობას, როგორცაა მაგალითად კოპროდუქცია - ორი ან რამდენიმე ქვეყნის ერთობლივი პროექტი, სადაც დომინანტური წარმოების ორგანიზების პროცესში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გათვალისწინდეს პროექტის საავტორო ინტერესებიც და პროექტის სხვა საკითხებიც.

კოპროდუქციას თავისი ისტორიული და საინტერესო წარსული აქვს - ცენტრალიზებული დაფინანსების დროს, საბჭოთა ქვეყანაში, საქართველო საბავშვო კინოსა და ფილმ-ბლაპრების მაგალითზე იქმნებოდა კოპროდუქციის ნაკლებად მასშტაბური ნიმუშები. თუმცა, იგივე პრაქტიკის ერთ-ერთი ცნობილი მაგალითი „წითელი კარავი“ (რეჟისორი მიხეილ კალატოზიშვილი), რამდენიმე ქვეყნის ვრცელი და ფართო რესურსის გაერთიანების შედეგად შეიქმნა, რაც განიხილება კვლევაში.

კრიზისის შემდგომ პერიოდში, კინოცენტრის დაარსებამ საქართველოში განსაზღვრა კოპროდუქციისა და ერთობლივი პროექტების განვითარების ერთგვარი ხელშეწყობისა და ორგანიზების ის სისტემა, რომელმაც, თავის მხრივ, რამდენიმე ეტაპად ჩამოაყალიბა წარმოების პროცესი: ა) კოპროდუქციის ერთიანი განხორციელების შედეგებზე მუშაობა; ბ) პროდიუსერების გამოცდილება პირველ ეტაპზე, როგორც

მანვენებელი; გ) პროდიუსირების ერთიანი სისტემის ტრადიციები;

ვლადიმერ კატარავა, არჩილ მენაღარიშვილი, ლევან კორინთელი, არჩილ გელოვანი, ლაშა ხალვაში - ამ პროდიუსერთა გამოცდილება ერთობლივი პროდიუსინგის სფეროში საშუალებას გვაძლევს, ეტაპობრივად გავაანალიზოთ პროცესი ქართული კინოწარმოების განვითარების მიმართულებით და აღვიქვათ მისი პერსპექტივები.

გიორგი ფხაკაძე,

ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი
ხელოვნების მენეჯმენტში, საქართველოს შოთა
რუსთაველის თეატრისა და კინო სახელმწიფო
უნივერსიტეტი

კულტურა, როგორც კრეატიული მქანნიხმი რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში

კულტურა როგორც ფენომენი, რომელიც აღწევს სხვადასხვა სფეროთა ფუნქციონირების გაუმჯობესებას, უკვე არ არის „სამტკიცებელი“ საკითხი მკვლევრებში. მისი მრავალფეროვანი რესურსები საშუალებას იძლევა დავინახოთ ის მასშტაბები, რომელიც სახელმწიფოს აძლევს მისი, თუნდაც ცნობადობის ამალღების საშუალებას, რაც კიდევ ცალკე უფრო ვიწრო სფეროებში გენერირდება და სინერგიული ეფექტების დამატებებით გვაძლევს უძლიერეს ეფექტს, რომელიც აღირიცხება ციფრებში და ვგრძნობთ ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში, განათლებაში, სოფლის მეურნეობაში, ინფრასტრუქტურაში, ტურიზმში და კიდევ ბევრ სხვადასხვა სფეროსა თუ სექტორში.

ქალაქები და რეგიონები მთელ მსოფლიოში ახდენენ კულტურის მობილიზებას, როგორც მდგრადი ურბანული განვითარებისა და სოციალური ერთიანობის მამოძრავებ-

ლის. 2021 წელს კრეატიული ეკონომიკის ხელშეწყობისთვის ევროკავშირმა პრიორიტეტად განსაზღვრა ხელოვნების, კრეატიული ინდუსტრიების და კულტურული მემკვიდრეობის ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე პოპულარიზაცია და აღორძინება. თუნდაც აღსანიშნავია ინიციატივები, რომლებსაც ახალისებენ ევროკავშირში, მაგალითისთვის ევროპა ნოსტრას ინიციატივა - ევროპული კულტურის დედაქალაქის გამორჩევა.

სტატიაში მოცემულია კულტურის ეკონომიკის კონცეპტუალიზაციის ხუთი მიდგომა (კ.დროგაჩი), რომელიც შედგენილია არსებული და მოქმედი სტრატეგიული განვითარების მოდელების, კონცეფციებისა და პოლიტიკის შესწავლის ანალიზით:

1. ჩვეულებრივი მოდელი;
2. შემოქმედებითი ქალაქის მოდელი;
3. კულტურული ინდუსტრიების მოდელი;
4. კულტურული პროფესიების მოდელი;
5. კულტურული დაგეგმვის მოდელი.

